ბეროვი
სანელიძეები

გზა, რომელზედაც ბობოქრობდნენ საუკუნენი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1983

Г 2
899.962 1—3
ს 251

„გზა, რომელზედაც ბობოქრობდნენ საუკუნენი“ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ეძღვნება. მისი მთავარი გმირები თანამედროვე ადამიანებია, ავტორის სურვილით ორი საუკუნის წინათ დატრიალებული მოვლენების შუაგულში რომ აღმოჩნდებიან. მათ წინაშე მომხდარი ყველა მოვლენა და ფაქტი თანადროული თვალსაწიერიდანაა დანახული.

ეს გახლავთ თავისებური მოგზაურობა — თავგადასავალი არცთუ ისე შორეულ წარსულში, მაგრამ ამაღელვებელი და პოეტური.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვ. ითონიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მ. სამსონაძე

© 70101—073 / М 601(68).83 59·83

საქართველოს სამხედრო გზის მაჩვენებელს ჯერ კიდევ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე შეხვდებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენთვის სასურველი მარშრუტი უკვე დაიწყო. მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებლისათვის იგი ნატახტართან, სამი გზის შესაყართან იწყება. მანამდე კი... მანამდე არის მცხეთა, წიწამური, არმაზი...

ამ გაზაფხულზე მე და ჩემმა მეგობარმა ტარიელმა, წარმოშობით ყაზბეგელმა და სოფელ გერგეტის მკვიდრმა, გადავწყვიტეთ ერთხელ კიდევ გაგვევლო ამ გზაზე. თავიდან მეგონა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო (ტარიელი იურისტია, იუსტიციის მრჩეველია) ვერ შეძლებდა ჩემს მეგზურობას. გამგზავრებაც რამდენჯერმე გადავდეთ, და აი, ერთ მშვენიერ დღეს, პირდაპირ მისი სამუშაო კაბინეტიდან დავიძარით ორჯონიკიძისაკენ.

თუ გზამკვლევს მოიშველიებ, საქართველოს სამხედრო გზა თითქოს ხელისგულზე გიდევს თავისი მნიშვნელოვანი პუნქტებით, დასახლებებით, ციხეებით, ისტორიით...

სწორედ აქ, ნატახტართან შევხვდით ახალგაზრდა ცოლ-ქმარს. ქალი ზურგჩანთაზე იჯდა. მეუღ-

ლე გამვლელ მანქანებს იმ საერთაშორისო ნიშნით ესალმებოდა, მძღოლს (თუ თავისუფალი ადგილი აქვს) გაჩერებას რომ ავალდებულებს. ჩვენც ამ დაუწერელ კანონს დავემორჩილეთ. სხვაც რომ არ იყოს, სასიამოვნოცაა უცხო ადამიანებთან ურთიერთობა. მითუმეტეს, მრავალი საათის სავალზე.

როგორ? თქვენც იქითკენ მიეშურებით? დაბრძანდით. მაგრამ წინდაწინ უნდა გაგაფრთხილოთ, გზადაგზა ხშირად მოგვიწევს გაჩერება. იმიტომ, რომ ფრიად სასიამოვნო მისია ვიტვირთეთ — გვინდა ერთხელ კიდევ გადავხედოთ გზას, რომელზედაც ბობოქრობდნენ საუკუნენი... დიახ! დარიალზე მოგახსენებთ. ეს თქვენც გაძლევთ ხელს? უკაცრავად, ვისთან გვაქვს პატივი ერთად მგზავრობისა? პედაგოგები გეორგიევსკიდან? ეს ხომ შესანიშნავია! ჩვენც მოგზაურობის საბოლოო პუნქტად გეორგიევსკი გვაქვს მიჩნეული. იქნებ ჩვენ ერთი და იგივე მისია გვაკისრია?

ვინ იცის... — იღიმებიან ჩვენი ახალგაცნობილი მეგობრები და მოხერხებულად ეწყობიან უკანა სავარძელში. ჩვეულებრივი კითხვები: პირველად ხართ თბილისში? — დიახ, პირველად. შთაბეჭდილებები? — ყველაფერი დიდებულია! — უფრო? — სახელმწიფო მუზეუმის საცავი! — ოო! ეს ჩვენზეც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს! — ვიღიმებით. — ის საცავი კი არა, ჩვენი ერის სულიერი განძია.

გეორგიევსკელი მგზავრები ერთ სკოლაში მსახურობენ.

— ალბათ, ლიტერატურას ასწავლით. — უმალ

აზუსტებს ტარიელი. რა თქმა უნდა! — გაკვირვება ეხატება მამაკაცს. მისი დაჟინებული „რა თქმა უნდა“ — ჩვენს ღიმილს იწვევს.

— მაშ, როგორ, საიდან დავიწყოთ ჩვენი მოგზაურობა? — პათეტიურად ისმის ტარიელის ხმა.

— არ ხუმრობთ? — გვიყურებს ყმაწვილი ქალი. იგი დაბნეული და ამასთან გახარებულიცაა. — სიზმარში მგონია . თავი. — იგი გაღიმებულებს გვხედავს და უცებ გვიშინაურდება. — შეიძლება არმაზის ნახვა?

— კლავა! — დატუქსა მეუღლემ. — იქნებ მეგობრებს ეჩქარებათ? თანაც არმაზი ხომ უკან დაგვრჩა?!

მე, ტარიელს შევხედე. ტარიელმა მანქანის სიჩქარე გამორთო.

— მეგობრებო! — ისევ პათეტიურად წარმოთქვა მან, — არმაზიც ხომ საქართველოს სამხედრო გზის ნაწილია? თუ სიმართლე გინდათ, მისი საწყისი პუნქტიც! ყოველ შემთხვევაში, მე ასე მესახება.

კლავას ბავშვივით უხარია. სახეზე ეტყობა — უყვარს თავგადასავლები! მისი მეუღლე, თეთრფეროვანი, გამხდარი და სათვალიანი მამაკაცი უხერხულად იშმუშნება. თუ ჩვენი გულისთვის აკეთებთ ამას, ღვთის გულისათვის, ნუ გაიმრუდებთ გზას.

— თუ ეგრეა, — იცინის ტარიელი, — მაშინ კენჭი ვუყაროთ.

ასე აღმოვჩნდით არმაზში.

ლოდზე ხვლიკი ზის და ცნობისმოყვარედ მოგ-
ვჩერებია.

ტარიელი მეუბნება!

— მოდი, ამაღამ აქ დავრჩეთ.

თბილისი ჩვენს გვერდითაა, ოცდაოდე კილო-
მეტრის დაშორებით.

— შინ მიბრუნებას იბრძვნი? — მახსენდება
მისი მყუდრო ბინა გლდანში.

— განა ვგავარ ეგეთ კაცს? — წყენა ეხატება
სახეზე. — უბრალოდ, სიჩუმეში მინდა ვიყო! —
იგი განგებ უვლის გვერდს მთავარს. აგერ, „ორ
ნაბიჯზე“ ცხოვრობს არმაზიდან და არასოდეს და-
ბადებია სურვილი აქ ჩამოსვლისა. და შეიძლება
ახლაც აგვევლო გვერდი, გეორგიევსკელი პედა-
გოგები რომ არა.

მიმწუხრის მზე არმაზის ციხის ნანგრევებზე
გაფანტულ სხივებს აგროვებს. არმაზის წყალთან,
მაღალ ხეებს შორის ჩიტები გადაირივნენ: ბინდი
იგრძნეს — ჟრიამულით აიკლეს გარემო. ფეთქავს
დღისა და ღამის შესაყარზე ფიქრის ძარღვი: რო-
დის მოვიდა აქ ჩემი წინაპარი? როდის აღმართა
ეს ჯადოსნური სასახლე და ციხე-კოშკები? ტარი-
ელი საოცარი სიმსუბუქით დადის ნანგრევებს შო-
რის. გინახავთ ბედნიერებისაგან შეწუხებული
ადამიანი? აი, ასეთი გამომეტყველება აქვს ჩემს
მეგობარს. აკვირდება, თითოეულ ჩუქურთმას, ხე-
ლით სინჯავს, თითქოს ეალერსება. ღმერთო! საი-
დან მოდის ჩვენი ერის ფესვი! რა ნოყიერ ნიადაგ-
ზე აღმოცენებულა! ათასწლეული ·ცოტაა მისი

ხნოვანების დასადგენად. უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი საუკუნის იქით. ეს რაც გადმოცემით ვიცით. მაგრამ კიდევ უფრო იქითაც ხომ იყო რაღაც? დღეს დაწყებითი კლასის მოსწავლემაც იცის, რომ მცხეთა საქართველოს უძველესი დედაქალაქი იყო. რომ აქ, მის შემოგარენში აღმართულ ქალაქებში, არმოზიკასა და სევსამორაში ჩქეფდა ცხოვრება, ხოლო სატახტო ქალაქ არმოზიკას (ჯერ კიდევ სტრაბონმაც შენიშნა ეს!) იჯდა მეფე და მის ძლიერებას მფარველობდა არმაზის კერპი.

ადამიანმა ისწავლა წარსულის ამოკითხვაც. არ ვიცი, რამ მისცა დასაბამი არქეოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებას, მაგრამ ერთი ცხადია, — მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია კაცობრიობას. გადაგვიხსნა ათასწლეულთა სქელი მტვერით დაფარული სამყარო. მას ხელით ეხები, გრძნობ, ღელავ.

აქ, ამ ადგილას იყო სამარხი. უცნაური სამარხი: მჯდომარე ქალი ხმლით ხელში. რა არის ეს? მეომარ ქალთა არსებობის დადასტურება? იბერიელი ამორძალნი? იყვნენ კი ისინი?

გუგუნებს ძველი კარსანი, სამთავრო, არმაზისხევი, ბაგინეთი... მიდის სპა... მიდის სიმღერით, იარაღის ჟღარუნით, აპრიალებული შუბებით, დროშების ფრიალით...

რომელი საუკუნის მტვერი ავარდა გზაზე?

რომელი მეფე მიუძღვის ლაშქარს?

მეფე არტაგი. მხოლოდ გასამხნევებლად ჟღარუნებს იარაღი. მხოლოდ გასამხნევებლად ისმის

ლაშქრის სიმღერა. წინ დიდი და სასტიკი მტერი ელით. საუკუნეების შემდეგაც არ დაავიწყდებათ მისი წინამძღოლი: პომპეუსი. პომპეუსმა უკვე დაამარცხა პონტოს მბრძანებელი მითრიდატე და მისი მოკავშირეების — სომხეთის, ალბანეთისა (აზერბაიჯანის) და იბერიის დაპყრობა გადაუწყვეტია. იბერიელნი სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მას. მაგრამ რომის რეგულარული ჯარი გასაოცარი ხელოვნებით იბრძვის, მათ უკვე დაიკავეს არმაზის ციხე-ქალაქი. მეფე არტაგმა მტკვრის მარცხენა მხარეს შეაფარა თავი. პომპეუსი არ ისვენებს. ფეხდაფეხ მისდევს იბერიელთა ლაშქარს. გარშემო გაუვალი ტყეებია. ტყეებში აბა სად გაშლი ნაცად, ათასჯერ გამართლებულ საბრძოლო ტაქტიკას? ტყეები უნდა აიჩეხოს! სიკვდილის განაჩენივით ისმის პომპეუსის ბრძანება. იბერიელთა ჯარი კი უკვე აღარც არსებობს. რამდენმა დასდო სამშობლოსათვის თავი? მატიანე ამბობს — ცხრა ათასმაო! კიდევ მრავალი ცხრა ათასი ლესავს ხმალს მომხდურთან საბრძოლველად. მაგრამ აბა, რას გააწყობ სიკვდილის მანქანასთან? ერის გადარჩენაზე, მისი სიცოცხლის გაგრძელებაზეც უნდა იზრუნოს არტაგმა. ამიტომ არის იგი ერის წინამძღოლი! ომების ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის იმისა, როცა ბევრი გამარჯვება დამარცხების ტოლფასოვანი ყოფილა და პირუკუ. ახლა არტაგს არც ერთი აძლევს ხელს და არც — მეორე. მან ერი უნდა შეინარჩუნოს. და მისი გადაწყვეტილებაც იმ სიბრძნიდან-იღებს სათავეს, რომელმაც ასწავლა მოყვასთა სიყვარული, მზის სადიდებლად

ალმართულ სალოცავთა მოხატვა, ქალაქთა შენება... ზავი ითხოვა და ამ ზავის საფასურად პომპეუსს მძევლად გაუგზავნა თავისი შვილები, საჩუქრად გასცა ოქროს ტახტი და ტაბლა...

მერე რაღა იყო?

ნელა, აუჩქარებლად იხსნება ისტორიის ფარდა:

VI საუკუნე — ირანი;

VII საუკუნე — მურვან ყრუ;

X — XI საუკუნე — სელჯუკნი;

XIII საუკუნე — მონღოლები...

თემურ-ლენგი, ჯაჰან-შახი; შაჰ-აბასი და რა ვიცი, კიდევ ვინ ოხერი და მამაძაღლი არ ეპირებოდა ჩვენი ფესვის მოშლას...

მაინც გაუძლო!

ხმაურით გარბიან საუკუნენი.

გესმის პიტიახშ ასპარუხის ხმა?

გაუხედე სასახლის ბანს? ხედავ ნანგრევებს? მე მინდა გონების თვალით წარმოიდგინო იგი — თავისი სასახლეებით, დარბაზებით, მოჩუქურთმებული სარკმლებით. ხომ იდგა აქ პიტიახში? ხომ გაჰყურებდა ჩვენებრ ჩამავალი მზით დაფერილ სერებს? ხომ ჰქონდა მის სიტყვას ურყევი ძალა? მან თავისი სიკვდილითაც მიგვანიშნა ერის სიდიადეზე: სამარხში შემოინახა დიდი კულტურისა და ისტორიის უტყუარი ნიშნები!

„ბილინგვა!“ — რა ბედნიერია ადამიანი, ამ ორენოვანი წარწერების ამოკითხვა რომ ძალუძს.. თორემ ხომ გაქრებოდნენ ჩვენი ცნობიერებიდან სერაფიტა, ჰსეფარნუფი, ფარსმანი? ან გავიგებ-

დით კი, როგორ გაემგზავრა ფარსმანი სტუმრად რომის კეისართან? ან რა კეთილი ნაყოფი მოჰყვა მის ურთიერთობას ადრიანესთან? ისევ იბერიის სახელით... ისევ იბერიის მომავალზე ფიქრით.

ხდება წარმოუდგენელი რამ: ადრიანე ფარსმანს ნებას რთავს, შესაწირავით ეახლოს კაპიტოლიუმს... ხოლო მის მხლებელ დიდებულებს ბრძოლის ხელოვნებას ასწავლის. ხომ იყო ეს ქართული დიპლომატიის ბრწყინვალე გამარჯვება? აგერ შედეგიც: ადრიანეს ბრძანებით, მარსის ველზე აღიმართა ფარსმანის ქანდაკება...

— ჰო, — მიყურებს ტარიელი. — მე მაინც ვფიქრობ, რომ ამაღამ აქ დავრჩეთ...

სადღაც ჩვენს ახლო ცენტრალური ავტომაგისტრალი გადის.

რა სასაცილოდ გამოიყურება ჩვენი სამგზავრო კარავი სამთავროს მონასტრის ფონზე!

მაგრამ სად არიან ჩვენი ახალგაცნობილი მეგობრები?

რომელ საუკუნეში მოიყარეს მუხლი?

...ღამით მოულოდნელად ვიღვიძებ. ბნელა. უცებ ვერც ვხვდები სადა ვარ. მერე — მახსენდება. ჯერ ისევ თბილისის ახლო ვიმყოფები, რომ ჩემს სახლამდე ოცი წუთის სავალიც არ არის, მე კი ღია ცის ქვეშ, სახელდახელოდ გამართულ კარავში ვწევარ. კარვის კალთას ვწევ და გარეთ ვიხედები. ვარსკვლავები! ამდენი ვარსკვლავი არასოდეს მინახავს ერთად! იქნებ აქ სხვა ცაა? განსაკუთრებული? კარვის კიდეზე, რაღაც უცნაური შუქი ირეკლება. ვდგები. ბებერი ვაშლის ქვეშ

ჩვენს გეორგიევსკელ მეგობრებს კოცონი დაუნთიათ და გარშემო შემოსხდომიან. „რატომ არ გძინავთ?“ „ასეთ ღამეს? — პირაქეთ მეკითხებიან. — ცოდვაც კია“. ცეცხლი საამოდ ტკაცუნებს, ღამეულ სიჩუმეს სერავს ამოსროლილი ნაპერწკალი.

— რა ლამაზი ყოფილა ღამით ჯვარი! — ოცნებით ამბობს კლავდია.

— და დარჩა შთამომავლობას უდიადესი ძეგლი, კავკასიონის უდიადესი ბუნებისა და ტიტანური ნთების შესაფერი... — სვენებ-სვენებით, მაგრამ გამოკვეთილად წარმოთქვამს კლავას მეუღლე.

მურავიოვს ეკუთვნის ეგ გამონათქვამი? რომელ მორავიოვს? კლავას მეუღლეს ეს არ ახსოვს. ახსოვს, ძველად გამოცემული წიგნი საქართველოსა და სომხეთზე. იქნებ ეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვია, რუსეთ-თურქეთის (1828—1829 წლები) ომში რომ მონაწილეობდა, ხოლო უფრო მოგვიანებით კავკასიაში მეფისნაცვალი გახლდათ?

რას გაიგებ. მაშინ ბევრი წერდა. კავკასია და საქართველო ის ოქროს ძარღვი აღმოჩნდა, რომელმაც ერთბაშად მიიზიდა თავგადასავალთა მოყვარულნი... საქართველოზე წერა მოდად იქცა. მაგრამ ამაზე მერე. ჯერ კი მოდი კოცონთან ჩამოვსხდეთ, მითუმეტეს, რომ ჩვენი სტუმარი, უკვე ჩვენს ახლო აღმართულ ბებრისციხის ისტორიას მეკითხება.

— იცით, მის შესახებ რამე?

— ვიცი, — ვამბობ დაჯერებით. — იგი მცხეთას ჩრდილოეთელი მტრებისაგან იცავდა...

— და მეტი არაფერი? — მომაჩერდა კლავდია.

— რა, არ არის საკმარისი? — დაბნეულობა დამეტყო.

— ლეგენდა თუ იცით?

— საქართველოს ამ მონაკვეთში უამრავი ციხესიმაგრეა. ყველას თავისი ლეგენდა აქვს.

— ბებრისციხის ლეგენდა, მე მგონი ყველაზე ლამაზია!

— კლავა, ნუ იცი დაჩემება! — უკმაყოფილება დაეტყო ქმარს.

— აბა ყური დამიგდე. — ცეცხლს ხელები მიუშვირა კლავდიამ.

მე გამეცინა — იყო და არა იყო რა?

ალბათ, იყო... საქართველოს სამხედრო გზას გადმოჰყურებს ძველთაძველი, სანახევროდ დანგრეული ციხე ბებრისა, სხვანაირად ნაციხარსაც რომ უხმობენ. ამ ციხიდან, სანამდეც თვალს მიუწვდენდი, მიწები ციხის მბრძანებელს — ამაყ და უშიშარ რაინდს სიმონს ეკუთვნოდა. ორი შვილი ჰყავდა. ორივ ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნებისა: სიკეთით სავსე — მაკრინე, გულბოროტი და ეშმაკის მსახური — მამუკა. მაგრამ აი, მომხდურთა ბრძოლაში დაიღუპა ციხის მბრძანებელი და მისი ადგილი მემკვიდრის უფლებით დაიკავა მამუკამ... ამიერიდან უკუღმა დატრიალდა ცხოვრების ჩარხი. — კეთილი სიმონის საბრძანებელში სისასტიკე და ადამიანთა ჩაგვრა გაბატონდა. ამაოდ ისარჯებოდა მაკრინე. ვერა და ვერ გაალღო ძმის

გაყინული გული. ერთხელაც... გლეხები კოშკის სიახლოვეს მუშაობდნენ. ცეცხლზე შეჭამანდი იხარშებოდა ვეება ქვაბით. საიდანღაც ყორნები გამოჩნდნენ, ქვაბის გარშემო იწყეს რიალი. ბევრმა მოთუხთუხე ქვაბშიც მოადინა ტყაპანი. გაბრაზებული მამუკა ცხენით მიეჭრა გლეხებს და მათრახით დაუწყო ცემა. და სწორედ ამ დროს... მოთუხთუხე ქვაბიდან გველები გადმოხოხდნენ, ცხენს ფეხები გაუბორკეს და მამუკასაკენ გაიწიეს. მაშინ კი შედრკა გულზვიადი ჭაბუკი. შედრკა და ცოდვების მონანიება იწყო. უფალს ევედრა, ოღონდ ახლა დამიფარე, ოღონდ, ახლა მიხსენი და რაც სიმდიდრე და მამულები გამაჩნია, სუყველაფერს ღატაკთ დავურიგებ, შენს სახელზე კი ეკლესიას ავაშენებო...

მოხდა სასწაული. გაქრნენ ქვეწარმავალნი. ხოლო იმ ადგილას, სადაც ყორნები ჩაყუნცულიყვნენ, ახლა თეთრი მტრედები ღუღუნებდნენ...

ამ სასწაულის შემდეგ თავადის ასულმა მონასტერს მიაშურა — მონაზვნად აღიკვეცა, ხოლო მამუკამ მთელი ქონება ღატაკთ დაურიგა. თავად კი სოფელ-სოფელ გაემართა, რათა შეგროვებული მოწყალებით ეკლესია აეშენებინა...

ამბობენ, სამოცდაათი წლის შემდეგ მაკრინე გარდაიცვალა. ხალხის წრე გაარღვია ღრმად მოხუცებულმა, დაჩაჩანაკებულმა ბერიკაცმა, იგი მოკრძალებულად მიუახლოვდა ცხედარს, შუბლზე ეამბორა და წასჩურჩულა: „დაო ჩემო! ჩვენ არ გვიღალატნია აღთქმისათვის“. — და იქვე, ცხედრის გვერდით განუტევა სული. ხალხს უცნაური სუ-

რათი წარმოუჩნდა: ციხის კოშკზე თეთრი მტრედი მოფრენილიყო.

— ხოლო ციხეს ბებრისციხე დაერქვა, არა? — მრავალმნიშვნელოვნად შევხედე ჩვენს სტუმარს.

— ცუდი ზღაპარია? — გამომწვევად უელავდნენ თვალები კლავდიას.

— თუ თქვენი შეთხზულია, როგორც დამწყებ ავტორს, სამიანს გიწერთ... იცოდეთ, რომ ესეც დიდი გამარჯვებაა იმ ზღაპრებისა და ლეგენდების გვერდით, ნებისმიერი ქვეყნის ოქროს ფონდს, რომ დაამშვენებდა.

— ჩიტმა მიამბო! — ზანზალაკები აწკრიალდნენ გეორგიევსკელი მასწავლებლის ხმაში.

მისმა მეუღლემ ხელი აიქნია.

— ეჰ, კლავდია, კლავა! — აღმოხდა რაღაცნაირი სინანულით. — დიდი ფანტაზიორი ვინმე კი ხარ. სიმონი — ჩვენი თბილისელი მასპინძელია. მაკრინე და მამუკა კი მისი შვილები... მაინც, როგორა გაქვს ეგ გოგრა მოწყობილი, ა?

კლავამ მოიწყინა.

— დედის სულს გეფიცებით, თუ რაიმე მომეგონოს...

— რა ვქნა, — ყრუდ ჩაიცინა კლავას მეუღლემ, — ცოლების შერთვის ლიმიტი ამოწურული მაქვს (კლავა მესამე ცოლი ყოფილა მისი!), თორემ ასეთ ფანტაზიორს იგუებს კაცი?!

...უცნაური იყო, მაგრამ მთელი დილა ბებრისციხის „ლეგენდაზე“ ვფიქრობდით. ჩვენს კლასიკურ ლეგენდებთან მსგავსებას ვეძებდი. იმ წუთს მე ძალიან მინდოდა გამხსენებოდა ყველა ზღაპარი

და თქმულება: გამომერჩია საუკეთესო და გვირ-
გვინივით მომერთმია „ფანტაზიორ“ კლავასათვის.
მაგრამ ჩვენ მანქანას, სწორედ ბებრისციხის წინ,
მუხრანის დაბლობის სანახებში უმტყუნა საბუ-
რავმა... მანქანის ტექნიკური მეთვალყურეობა კი
მე მევალებოდა...

მე ისევ გავხედე ჰორიზონტს — მეწამული გუმ-
ბათები, ცასთან გატოლებული ხეთა წვეროკინე-
ბი, თანადროული სახლები, კოტეჯები. ჯადოსნუ-
რი ფერებით ალიცლიცებული დაბლობი. არავი-
თარი ქარი. არავითარი ღრუბელი. მხოლოდ გატ-
რუნული იძვრისი. ცის ლურჯი ჩარჩო და ოქროს-
ფერი ჰორიზონტი. ოდესღაც აქედან დარიალამდე
ულევი და ურთულესი გზა უნდა გაგევლო. თით-
ქოს სადღაც, დედამიწის ბოლოს იყო ლარსის
საგუშაგო, ბალთა. ჩვენც ისე განვეწყვეთ, თითქოს
ამ „დედამიწის ბოლოს“ ბრძენთა ბრძენი ბერიკა-
ცი გველოდა, ზღაპრული ამბებით სავსე კიდობ-
ნით. განა არ ვიცოდით, რომ ბერიკაცი არ არსე-
ბობდა? ვიცოდით. მაგრამ, ვიმეორებ, განწყობი-
ლება გვქონდა-მეთქი, ასეთი.

ჰოი, გამქრალან ოცნების წლები! თითო თი-
თოდ გაუზიდავთ მერცხლებს და სადღაც, მოუსავ-
ლეთსა თუ ცხრა მთის იქით დაუჭუჭავთ. მაგრამ
სული მაინც ელტვის საიდუმლოს, მაინც აწუხებს
გარდასახვის უცნაურობა.

ხომ ბედნიერებაა, რომ უძველეს მიწაზე დაა-
ბიჯებ? მოასწრე მშობლიური მხარით დატკბობა.

ნუ ებუზღუნები სიცოცხლეს. იგი მართლაც რომ მშვენიერია. მიდიხარ და მთელი მკერდით ისუნთქავ განთიადისეულ სიგრილეს. რამდენიმეჯერ მოხედვაც კი საკმარისია, რათა სამუდამოდ აღიბეჭდო ციხეთა გუმბათები — ლეგენდებისა და თქმულებების საყუდარი. რამდენ ვინმეს ჩაუვლია მათ წინარე! რამდენი ვინმე ისრუტავდა ასე ხარბად მდინარეთა ვერცხლის ზოლს, ბინდისფერ სერებს, გზის პირებზე გამოფენილ ხეებს... კი, ნაღდად ასე იქნებოდა. ხომ ჩაივლიდა ოდესღაც ვინმე? ხომ უცემდა გული ძალუმად? მას საშშობლოც ჰქონდა და სახლიც. ვარსკვლავები დასციმციმებდნენ. ბალახი ეჩურჩულებოდა. ხოლო ჩვენი მომავალი, ჰოი, რა ბუნდოვანი და შორი ჩანდა მისთვის?! ახლა ბუნდოვანი და შორეული გვეჩვენება თვითონ, მისი საზრუნავი, ლაშქრობები, „გადი გამოდი, გუთანო...“

წუთისოფელი რა არის — აგორებული ქვა არის.

ჰოდა, გორავს ქვა... და ჩვენ ხეირიანად ვერც ვასწრებთ აღვიქვათ მისი არსი, ხორცი შევასხათ იდეალებს, გავუთანაბრდეთ ბალახსა და ვარსკვლავთ.

რამდენი რამე მოიქცია თავის ქვეშ წუთისოფლის აგორებულმა ქვამ?

მოდი, ფრთხილად ასწიე იგი...

ნუთუ არაფერს გეუბნება ვახტანგ VI სახელი?

რამ აიძულა, საქართველოს კეთილდღეობისა და ძლიერების მოსურნე მეფე ათასორასკაციანი ამალით განშორებოდა მშობლიურ მხარეს და რუსეთის სამეფო კარზე ეძება თავშესაფარი?

აგერ ყანჩაეთის „ჟამგულანი“:

— მუხრანის: ბატონი: არაგვის: ერისთავი: ქსნის: ერისთავი: ამილახვარი: ესენიც: ერთმანეთის: მტერნი: და: მოქიშპნი: იყვნენ: არცა: ერთმანეთს: ასვენებდნენ: და: არც: ქვეყანას: და: ამით: მტერმა: უფრო: ძალა: წამოატანა: და: დაჩაგრა: თორემ: თუ: ამათ: ერთი: პირი: ექნებოდათ: ვერცარას: უზამდნენ: ვერცარას: სხვა: მტერი: წაარხმევდათ: რასმე: ამათი: საქმე: ნიადაგ: ასე: ერთმანეთის: მოსისხლეობით: გათავებულა: და: წამხდარა: მაგრამ: ამ: საქმეს: არც: მოკლებიან: და: არც: მოუშლიათ...

აქეთ არზრუმის ფაშა იმუქრებოდა...

საქართველოს ყოველ წუთს აოხრება ელოდებოდა.

რუსეთის ჯარი აგვიანებდა.

სასოწარკვეთას მიცემული მეფე რომის პაპსაც მისწვდა საგანგებო წერილით, იქნებ თურქეთის მთავრობასთან გვიშუამდგომლოო...

ამაოდ დაშვრა...

ქართლი ოსმალოებმა დაიჭირეს და მთელ ამიერკავკასიას მოუღერეს მუშტი.

პეტრე! პეტრე პირველი! — აი, ვის შეუძლია საქართველოს ხსნა! — ვახტანგ მეექვსეს გადაწყვეტილება ურყევია და ათასი ვარაუდით გამაგრებული. დგას 1725 წლის თებერვალი. ქარაშოტი და უკიდეგანო ტრამალები! — აი, რა ელის მას. მაგრამ ათასორასიანი ამალიდან მოსკოვში მხოლოდ 84 კაცი ჩაჰყვა მეფეს დანარჩენნი მათ

შორის დედოფალი რუსუდანი და მეფის ძე — ვახუშტი ასტრახანს დაელოდნენ.

რუსეთის მთავრობის პოლიტიკა შეიცვალა. მთელი ათი წლის მანძილზე ხელისუფალთა ყურადღება ტახტისათვის ბრძოლისა და საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყო მიმართული. ეკატერინე პირველის კარი თავს არიდებდა საქართველოსთან რაიმე ოფიციალურ მოლაპარაკებას. ამის მიზეზი რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულება გახლდათ. რუსეთმა საქართველო თურქეთის ხელქვეითად სცნო. მაგრამ უკვე არსებობდა პეტრე პირველის მოსაზრება კასპიისპირეთში ქართველებისა და სომხების დასახლების თაობაზე. საბაბი: აქ შექმნილი დიდი ლაშქარი უზრუნველყოფდა კასპიისპირეთის უშიშროებას. 1725 წლის წმინდა ჯვრის სიმაგრის კომენდანტს გენერალ ერმოლოვს ქართველების დასახლების შესახებ საგანგებო ინსტრუქციაც კი გაეგზავნა.

ვახტანგ მეექვსის პოზიცია: რუსეთმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა თურქეთს ხელი ააღებინოს საქართველოზე. თურქეთს ეშინია, — წერდა იგი, — რომ მას თავს დაესხმიან საქართველოდან, ირანის მხრიდან კი შიში არა აქვს. სწორედ კასპიისპირეთსა და ამიერკავკასიაში რუსეთის გალაშქრებამ შეაშფოთა თურქეთი. დაიპყრო ქართლი, შირვანი, კახეთი. სულთანს ჩრდილო კავკასიაზეც უჭირავს თვალი, რათა კავკასიაში მოწინააღმდეგე აღარ ჰყავდეს. (გ. პაიჭაძე). ამიტომ: **ვახტანგ მეექვსემ სასწრაფოდ უნდა დაიბრუნოს ტახტი. ეს უდავოდ წაახალისებს საქრისტიანოს.**

იგი უკვე ხედავს მის მხარეზე გადმოსულ კახეთს, იმერეთს, მთის პროვინციებს. რა თქმა უნდა, არსებობს კასპიისპირეთის უბრძოლველად დაჭერის გზა: შაჰი თამაზი! იგი ავღანელებს ებრძვის. თუ მას სამხედრო დახმარებას აღმოუჩენენ გილანის მხრიდან, მაშინ შაჰს არაფერი ექნება საწინააღმდეგო... მაგრამ წავა კი თამაზი ამ დათმობაზე? ანდა ვინ შეძლებს მის გადმობირებას? ეკატერინეს კარზე გადაწყვიტეს ჯერჯერობით შაჰთან გაეგზავნათ ვახტანგ მეექვსის წერილი. ქართლის მეფის ეს წერილი მის დაახლოებულ პირს — ვახტანგ ამილახვარს უნდა წაეღო. მაგრამ არც ისე ადვილი გამოდგა შაჰისათვის წერილის გადაცემა. რუსეთის მთავრობის თხოვნით ვახტანგი გილანში აგზავნის მორიგ დესპანს. რაც არ უნდა დაჯდეს, უსათუოდ უნდა მოგვარდეს თამაზთან ურთიერთობა! ასე დაუკავშირდა საქართველოს საკითხი ირან-თურქეთის პრობლემას. შაჰთან უშუალო კონტაქტი ქართლის ტახტის დაბრუნების გასაღები უნდა ყოფილიყო, — ასე ფიქრობდა ვახტანგი.

ამიტომ: 1726 წლის აგვისტოს იგი დარუბანდში ჩადის. ხოლო ერთი თვის შემდეგ უკვე რეშტშია.

საუკუნეთა მიღმიდან ისმის მისი ხმა:

„ქ. ბრწყინვალეევ ღრაფ, ჩემო ბატონო გავრიელ ივანოვიჩ (იგულისხმება რუსეთის უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრი თავადი გოლოვკინი).

ეს მოგახსენეთ:

ათს სეკდენბერგს რაშტს მოველ. მეორესვე დღეს იარონალ მაიორს, საცა მუნასიბი იყო, იქ

გასაგზავნი კაცი ვთხოვე, ორი შათირი მომცა, ერთი ყეენთან გავგზავნე და ერთი მაშინ რომ ყორჩიბაში იყო ახლა რომ სპასალარია, ამასთან გავგზავნე.

ყეენს მივსწერე: თქვენ დაგებარებინეთ, აქ გამოველ, სხუა სიტყვებიც გაქვს. ამისას როგორ მიბრძანებთ, როგორ ვქნა? ერთი ამგვარი წიგნი ამ სპასალარს მივსწერე, რომ ეს წიგნები ყეენს გაუგზავნე-მეთქი და იმასაც ჩემი ამბავი შეატყობინე.

შათირის ხელით რომ წიგნები გავგზავნე ყეენთან, ის გზაზედ დაეჭირათ. ვერ გაევლო. სპასალართან რომ წიგნი გავგზავნე, იმას მწვე თავს შეედვა და მაშინვე გაეგზავნა ყეენთან. თვითონ მაშინვე ერთი ყეენის ყმა გამოეგზავნა, რომ ყეენის ვახმების ვეზირია, მირზა ნასირა ჰქვიან. მშვიდობით გამოსულა მოელოცა და ცხენი შეკაზმული ოქროს რახტითა და უნაგირითა, ყალიონი ოქროსი მინაქარი და სხუა გილანის ხელთნაქნარი. კიდევ ისე ცხენები შეუკაზმავი გამოეგზავნა მოსაკითხავად. მეც, რომელიც მართებული იყო, იმ კაცს ისე დავხუდი.

...ნოენბერს ცხრას შევიყარენით. რაშტიდამ ოცი ვერსი იქნება. მე რომელიც მმართებდა, იმგვარი სიტყვები უთხარ. იმანაც ბევრი თავი იმართლა. ღ[მერ]თ[მა]ნ იცისო, ჩვენ ერთი კაცი არავინ გუყვანდა შუაში, რომ ჴელმწიფისათვის გაეშინჯვინებინათ და მოეხსენებინათ, თვარამ ჩვენ ჴელმწიფის შერიგება და სამსახური დიდად გვინდაო. მაგრამ ზოგიერთს საქმეს შუაში მყოფთ

კაცთ აბრალებდა, რომ ამათ არ მოინდომესო და ამათ არა ქნეს ჩვენი შერიგება, თვარამ ჩვენ არასდროს უარი არ გვითქვამს, თვარამ ახლა ყეენს მოვახსენოთ და რისაც შემძლებელი არის, თუ ყეენი ყველაზედ არ დაგყვესთ, ჩემი ბრალი იყოსო. მაგრამ მე კიდევ მაგათგან ეგ იმედი არა მაქვს, რომ შერიგება მოახდინონ. მე აქათი საქმე თავს დავიდევ, რომ აქათმან კაცმან არცარა ურიგო თქვან და რომელიც შერიგების წიგნში სწერია, არცარას იმას გარდავიდენ და არც ურიგო რამ ქნან.

ყეენს მე ამას წინათ როგორც მოგახსენე, ისე მივსწერე წიგნი და სპასალარმაც ცალკე მისწერა, რომელიც იცოდა თავისი ბატონის რიგი და საქმე. ეს პირობაც დავდევით, რომ ერთმანეთში ჯარის გასევა და მტრობა არა იყოს რა, სანამდის ანბავი მოვიდოდეს. ყეენთან ორი ჩემი კაცი გავგზავნე. იმანაც თავისი კაცი გაატანა. მე გამოვბრუნდი. რაშტს მოველ და ის თავის ალაგს მივიდა. მაგრამ ორი კვირა რომ გამოვიდა, ამათ ჯარი გაუსიეს ჩემს შეუტყობრად. მე არ შემიტყვია, შავთზე ბევრი ალაგი დაწვეს და წაახდინეს. სპასალარს კაცი გამოეგზავნა და შემოეთვალა, რომ პირობა ხომ ასე იყო, მაშ გავს რომ ჩვენგან შეურიგებლობის ნდომა არ არის, მაგრამ მაგათგან გამოჩნდა, რომ მაგათგან უფრო არ არის. ამათ უთხარ და ამათ მითხრეს — ასე სჯობსო. მე ველარა უთხარ რა. ამისთვის, რომ ეგება ამათთვინ ჴელმწიფეს ცალკე რამ ებრძანებინოს მეთქი და მე არ ვიცოდი და ველარა უთხარ რა. მასუკან კიდევ სადაც სპასალა-

რი იდგა, იქ წიგნი მისწერეს, რომ თუ მოხვალთ ის არისო, თვარამ ჩვენ მოვალთ, სულ აგაოხრებთო. იმ წიგნის მუსავადი გამოეგზავნა სპასალარს და წიგნი მოეწერა, რომ ეს საქმე და წიგნი ჩვენის პირობიდამ დიაღ შორ არისო. მიველ ის წიგნიც ვაჩვენე ამათ. ესეც უთხარ, რომ მე თქვენის პირობით და სიტყვით მიველ და დაუდვე ეს პირობა. თქვენ რატომ იქთ ამას მეთქი. იმათ ასე მითხრეს: შენ რომ მაშინ იქ იყაო, პეტრებრუხს ის საქმე გამოიცვალაო. ახლა სხუა საქმე არისო. ჩვენ სხუა ბრძანება მოგვივიდაო. მე ეს სიტყვა მწვე გამიკვირდა ამისთვის, რომ თუ აგრე იყო, უნდა ჩემთვინაც ერთი სიტყვა გებრძანებინათ, რომ მე ამ ქვეყნებში ერთი პირისწყალი მქონდა და მიცნობდნენ, რომ მე ამათში სიტყვა არ წამხდენოდა და არ გავმტყუნებულიყავ, ან ჩემი ამდენი სარჯელი ცუდად არ ყოფილიყო. არც ამდენი დამეხარჯა. მე ამაში რაღას ვეტყოდი. მე ამათ უთხარ, როგორც გეპრიანებოდესთ, ისე ქენით.

...მე რახან ეს მითხრეს, შენს უკან საქმე გამოიცვალაო, მე აღარც ამ საქმეს დავამტკიცებდი, ამ შერიგებას. მართალს მოგახსენებ და არც ამ იარანალს წინ აღუდგებოდი. მაგრამ მანდ თქვენ ამათი შერიგება დიაღ მონდომებით მიბრძანეთ და თუ ეს არ მექნა, ყეენთან კაცის გაგზავნა და შემოცდა ამათში მტერობა შეიქნებოდა. მერმე, ეგება თქვენ კიდევ შერიგება გებრძანათ და გდომოდათ და მტერობას უკანის სამსახური აღარ ქნილიყო. ახლა თქვენთვის მომიხსენებია. კნიაზ ზურაბ და კნიაზ ფრანგისტან მიახლებია. ეს სიტყვე-

ბი მომიხსენებია. თუ ყეენმან, როგორც იარანალ მაიორმან მისწერა იმაში ჭელი ჩართო, ხომ კარგია და თუ ვინ იცის იმაში ჭელი არ ჩართო, მაშ რასაც ესენი თხოულობენ, ეს ყიზილბაშნი, ხომ ყველა მომიხსენებია. თუ შერიგება გეპრიანებათ, რომელსაც ამაში სჯერხართ გვიბძანეთ და იმას ვიქთ. თუ არა და რომელსაც კიდევ გვიბძანებთ, იმის მქნელი ვართ. მაგრამ ამისი ამბავი მალე უნდა გვიბძანოთ და მოვიდეს აქ. ამისთვის რომ ეს იარანალი უბნობს, რომ ამ ორ თვეს უკან მე ჭელმწიფის ბრძანება მაქვს და არც ბრძანება მინდაო, რომ მტერობასაც ვეცდებიო და კიდეც უმტერებო. რახანც ერთხელვე მტერობა ჩამოვარდება, მას უკან შერიგების საქმე ვეჭობ უფრო გაგვიძნელდეს. ნება თქვენია, რომელსაც ბძანებთ, კიდევ ეს მომიხსენებია, თუ ამ ორს თვეში ამისი ამბავი არ მოგვივიდა, ეს მტრობას არ იშლის და ნება თქვენია.

მაშინ რომ მანდ გახლდით, თქვენ ხომ არა მიბძანეთ რა, რომ ამ საქმისა, რომ ასე ქენ, ასე გაარიგეო. მე ხომ არა მოგახსენე რა, რომ ამისი შემძლებელი ვარ, ამისი არა. ეს მიბძანეთ: ისტრუქციას გამოგიგზავნითო, რაც იმაში ეწეროს ისი ქენო. ისტრუქცია მომივიდა თქვენგან. ოთხი სამსახური ეწერა. ერთი ეს ეწერა, ყეენის შერიგება, რისაც გზით იყოს ეცადეო. თუ არა სხუარიგად არ იქნას, მაზანდარა და ასტრაბათიც დაუდევითო. თუ არც ამითი იქნას, გილანისათვის, თუ ერთს რამდენსაც მუნასიბს თეთრს მოგვართმევს, გილანის დადებაც შეგიძლიათ, მაგრამ ჩვენს მოუხსენებლად კი არ იქ-

ნებაო და რომელიც ტრაკტატრავში სწერიაო ისე კიდეც მოვეხმარებითო. მე ხომ თქვენის ბედნიერობით ამდენს ვეცადე. რომ გილანიც დავადებინე. მაზანდარაც და ასტარაბადიც, რომელიც ზეით მომიხსენებია, იმ გზით. გვანდა, ამათ თქვენი ბძანება სხუარიგად მოსვლიათ და ესეები ყველა მოიშალა. თქვენც მოგეხსენებათ, ამისი გარიგება არც უცდელათ და ულაპარაკოთ იქნებოდა და არც უხარჯოთ. თუ ასე იყო, მართებული იყო, რომ ერთი წიგნი ჩემთვისაც გებოძებინათ, რომ არც ამდენი ხარჯი დამმართებოდა, არც ერთი ეს დამრჩომოდა, რომ ჩემი სიტყვა ამათში გავიდოდა და დაიჯერებდნენ, რომ ის არ წამხდენოდა და არც ეხტიბარი გამტეხოდა.

...ჩემის საქმისა ერთი ფიქრი ჰქენით, დამიბარეთ, ან ერთი რამ გამირიგეთ. სხუა ეს მოგახსენოთ: ყეენის წიგნებსაც ნახავთ, რომ ჩემი მამული არც ყეენის მამულია და არც ადრიბეჟანია. არც ყეენის ყმა ვყოფილვარ. მინდობილობის მეტად არც არა ხონთქარზე ჩემი დანაშაული ჩანს, რომ დამეშავებინოს რამე და იმიტომ ხონთქარს ჩემი მამული წაერთმევინოს და აოხრებდეს. მე რა მოგახსენო, ყველა მოგეხსენებათ, რისათვინც მიყო ეს და რისათვინაც ირჯება. თუ ამ წყალობას მიზამთ, რომ ჩემის ქვეყნისა კიდევ ამის უფრო წახდენასა და გაურჯულებას არ მაჩვენებთ და ამას საფლავში არ ჩამატანთ, რომ ის ჩემს შვილსა და შვილიშვილს დაეკარგოს, ხომ კაი წყალობა იქნება. თუ არა და ნება თქვენია. მე ამას არ მოგახსენებ, რომ თქვენის დასაკლისის საქმით ჩვენი

რამ გაკეთდეს. შუამავლობით იყოს. ძალით იყოს. ნებით იყოს, თქვენის დაუკლისის საქმით. თუ არ დაგვაგდებთ და არ დაგვივიწყებთ, კარგია. თვარამ ნება თქვენია“...

მე აქ განგებ მოვიყვანე ქართლის მეფის ეგზომ ვრცელი წერილი. განგებ... რათა ნათლად გაგეგონათ აფორიაქებული სულის ძახილი!

დახმარების ნაცვლად ვახტანგმა ეკატერინესაგან შუაკაცის მანდატი მიიღო. იგი წლების მანძილზე დაეხეტება შუა აზიის ტრამალებსა და შინარეთებს შორის. იგი დამცირებულადაც გრძნობს თავს. ხანდახან ეს უკმაყოფილება იჟონება კიდეც მის წერილებში. მაგრამ იგი მოთმინებით იტანს იმპერატრიცისა და საიდუმლო საბჭოს კაპრიზებს.

ისევ საქართველოს სახელით...

ისევ საქართველოს გადარჩენის იმედით..

როგორ უყურებდნენ ვახტანგის საქმიანობას რუსეთის კარზე?

აქ მეორე აზრი არ არსებობს: იგი ერთგულად ემსახურება რუსეთის სამეფო კარს. მას ნებას რთავენ დაბრუნდეს მოსკოვს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გამოიწვერა ახალი მოსაზრება: ვახტანგი ასტრახანში უნდა გაჩერდეს. რადგან: მთელ რიგ პოლიტიკურ სიტუაციათა გამო ისევ მისი ჩარევა იქნება მოსალოდნელი. უმაღლეს საიდუმლო საბჭოში ახალი მოსაზრება წარმოჩინდა: თამაზის ნაცვლად ავღანელების ახალ ბელადთან არშაფთან დაიდოს ხელშეკრულება!

მერე რაღა იყო?

მთელი ათი წელიწადი ვახტანგი რუსეთის იმ-

პერატორთა მონაცვლეობას ადევნებდა თვალს. ყოველ ახალ კორონაციას ახალი პოლიტიკა და ურთიერთობა მოსდევდა.

ვახტანგი იმ იალქნიან გემს გავდა, რომელსაც შუა ზღვაში უღალატა ქარმა. „დავემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად, მელნად ნაღველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად; ლხინის ბაღის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად“...

იგი დიდხანს ელოდა სასურველს ქარს....

და ამ ლოდინში თვითონაც ვერ მიხვდა, როგორ წამოეწია მარადისობა.

შივყვებით არაგვის ხეობას. აგერ ბულაჩაური. ადრე გზა აქ შორდებოდა არაგვს და დუშეთისაკენ მიემართებოდა. ეს გახლდათ ძალზე იკნკლედი აღმართი, რომლის შემდეგაც ანანურთან აღმოჩნდებოდი. ახლა ცენტრალური მაგისტრალი კარგა მანძილით შორდება დუშეთს. დილის ნისლში ძლივს ილანდება ბოდორნის მონასტერი, მღვიმეები... შიშიანობის დროს ამ მღვიმეებს მოსახლეობა აფარებდა თავს? ალბათ, ასე იყო. აგერ დანგრეული, მიწასთან გასწორებული ქალაქის ნაკვალევი. გაიხედე ცოტა ზევით, ჩრდილოეთისაკენ. ხედავ, როგორ ეგებებიან ერთმანეთს ფშავის არაგვი და მთიულეთ-გუდამაყრის არაგვი? რა სიხარულის ტაშისცემა აქვთ? ისევ ბაღები. ლამაზი ეზო-სახლები. გაღიმებული გვეგებება ანანური — ყარაყალსან-კალა — შავ ფაროსანთა სიმაგრე. ასეა იგი მოხსენიებული აღმოსავლურ მწერლობაში.

ასე ეძახდნენ საქართველოს საზღვრების დამცველ ხევსურთ, მთიელებს, მოხევეებს, აქედან ჟინვალამდე ხელის ერთი დადებაა.

ჩავიდეთ ჟინვალს?

ვნახოთ ჟინვალჰესის მშენებელთა ქალაქი?

ვნახოთ.

ჟინვალსაც აქვს თავისი წარსული.

აქაც იყო ციხე-ქალაქი. არაბების შემოსევას უკავშირებენ მის დანგრევას.

მურვან-ყრუ? ასეა.

არაგვის მარჯვენა ნაპირას ახლაც შენიშნავ ძველისძველი სიმაგრის კონტურებს. გარშემო ტყეა. შრიალებენ ასწლოვანი ჭადრები, ძელქვები... ქრის სიო. იფანტება ნისლი. ქანაობენ ხეთა წვეროკინები. მოჩანს პაწია ეკლესია. რომელი საუკუნე იჭვრიტება ტყის ღუნღუნცულიან უბიდან? ან როდის აღიმართა ეს კუშტი კოშკი?

ჟინვალიდან ფშავ-ხევსურეთისაკენ მიემართება გზა. კარგია გაზაფხულზე ხევსურეთი. მაგრამ ჩვენ საქართველოს სამხედრო გზა გველოდება. გველოდება ანანური. ჩვენი გეორგიევსკელი მეგობრები მაშინვე აზუსტებენ: რომელ წელს დაარსდა იგი? მეთხუთმეტე საუკუნეში. დუშეთისა და დუშეთის ციხე-სიმაგრის დარბევის შემდეგ არაგვის ერისთავთა რეზიდენციამ ანანურს გადაინაცვლა. 1801 წელს, როცა, საქართველო რუსეთს შეუერთდა; ანანური სამაზრო ქალაქად იხსენიება. მერე კი თითქოს დუნდება სიცოცხლის ძარღვი — ნელ-ნელა იფანტება მოსახლეობა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში პაწია დასახლებაღა

დარჩა „შეუპოვარის“ გარშემო. ეს ლეგენდარული ციხე-სიმაგრე საუკუნეთა მანძილზე მთელი არაგვის ხეობის საიმედო გუშაგი და დასაყრდენი გახლდათ. ხოლო „ჭართალი“ და „ვაშლობა?“ ოდესღაც ხომ ეკუთვნოდნენ ანანურს? ახლა საქართველოს სამხედრო გზაზე დგანან. ახლა სხვა დანიშნულება აქვთ მათ: ხვდებიან და აცილებენ სტუმრებს, ტურისტებს, „იკაროსებს“, მსუბუქ მანქანებს...

რამდენი სისხლიანი წელიწადი ახსოვთ ამ საგუშაგოებს?

რამდენი შანშე, რამდენი გიორგი?

...ახსოვთ 1743 წელი, როცა გასრულდა მთიელებისა და ერისთავთა სისხლიანი დავა.

ახსოვთ: შიოლავ, ღუდუშაურო, სკამს ზიხარ
ერისთვისსა,
აღარც ქალს ინდობ, აღარც კაცს, არცა ბალღს
ერთი თვისასა,
პირიდან ცეცხლსა მეხად ჰყრი, კლდეს ადნობ
ბასრი ქვისასა.
არ გაგიშვია მთრეხელი, ხევს მომავალი დისასა.
ცხენი სთხოვე და დაგითმო, შვილდს რაღას
ართმევ რქისასა?
შვილდი არ დაეთმიება, ადგილს სდგას
ნაპირისასა.
დაგიჭირა და გულსა გკრა, ბატონსა
აჩხოტისასა.
„აქამდე სჭამე აჩხოტი, ახლა მე გაჭმევ
ქვიშასა“.

ტან ზედით აბჯარს ვინ ამყრის? ვაი დედას
შავის ყმისასა!
ცხენზედით ვინ ჩამომახდენს შავ ბიჭსა
მთრეხელისასა?
მივმართავ ყოვლად წმინდასა, შეწევნას
ვითხოვ მისასა.
კარები ღია არ დაჰხვდა, კარები ღვთის
მშობლისაცა.
„ნეტავ, არ შეიხვეწივეს? ვაი დასა შავის
ძმისასა!
მოსდევენ ღუდუშაურნი, რისხვასა გვანდენ
ღვთისასა.
„ნუ მახვალთ ჩემო მამულნო, ნაწნავს ნუ
მამჭრით თმისასა!“
კარებით არვის გაუშვებს, საკომით უკრვენ
ისარსა...

ამბობენ, გაზაფხულზე, თოვლის დნობის ჟამს ხევში ზარების წკრიალი ისმის. განსაკუთრებით დილაბნელზე ისმის თურმე გამოკვეთილად. რა წარმოშობს ამ ჯადოსნურ ხმებს? იქნებ ათასწლეულთა წინათ ჩასახული სულები დაცრიატებენ კაცისაგან ფეხდაუდგამ სანახებში? მე და ჩემი მეგობარი მთელი სამი დღე ვცხოვრობდით ყაზბეგის უმშვენიერეს და მყუდრო სასტუმროში. იგი დაბის ზემო უბანში აუშენებიათ. აუშენებიათ ისეთი ანგარიშითა და მონდომებით, რომ განთიადზე სასტუმროს ხალვათ აივანზე გამოსულ კაცს მყინვარწვერის ულამაზესი პანორამით დატკბობა შე-

ეძლოს. საიდან მოდის ეს უცნაური, ოდნავ დახშული ხმები? მყინვარიდან? სამებიდან? დგახარ გაცბუნებული, ბედნიერი, ამაყი. არის ადგილები, სადაც ადამიანში კვდება დიდი ქალაქიდან გამოყოლილი შიში, მოუცლელობისა და ტყვეობის განცდა. ქართველი კაცის ბუნებაში საოცრად იშვიათია ხეტიალისადმი მიდრეკილება. ეს კარგად ჩანს მისი საცხოვრებელი ადგილიდანაც. სახლს აშენებს მკვიდრად, ურყევი ბალავერით, საშარადჟამოდ. მთელი მისი ცხოვრების საფიქრალ-საზრუნავიც ამ ეზო-ფუძის გარშემოა თავმოყრილი. სამშობლოც აქედან იწყება მისთვის. ეს გრძნობა საოცრად გამახვილებული აქვთ მთის მცხოვრებლებს. იქნებ იმიტომ, რომ „მთაჩი“ არსებობა განსაკუთრებულ თვისებებსა და სიმამაცეს ითხოვს?

ყაზბეგში მზე და ქარი არ მოგვკლებია იმ სამი დღის მანძილზე. დღისით საათობით ვიჯექი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ძველთაძველ სიგელ-გუჯრებს ჩავკირკიტებდი. ძველ სტეფანწმინდას დღეს ყაზბეგს ეძახიან. ყაზბეგს ეძახიან მყინვარწვერსაც. გააჩერეთ რაიონულ ცენტრში ნებისმიერი კაცი და ჰკითხეთ, რატომ ჰქვია ასე? მაშინვე ამ მიწის შვილსა და ჩვენი ერის სიამაყეს — ალექსანდრე ყაზბეგს ამოეფარება. ასეც უნდა იყოს. მაგრამ ისტორიას ნუ დავუკარგავთ თავის სიმართლეს—სტეფანწმინდის ახლანდელი სახელწოდება მოურავ ყაზიბეგ ჩოფიკაშვილის პიროვნებასთან არის დაკავშირებული. არსებობს ხევის სტატისტიკური აღწერა. მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სამი მოურავი ზედამხედ-

ველობდა ხევს. სტეფანწმინდის სამოურავოს თავისი განლაგებით საგანგებო პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს კარგად გამოიყენა ყაზიბეგ ჩოფიკაშვილმა: სტეფაწმინდა, გერგეტი, დარიალის ხეობა — აი, მისი სამოქმედო არე. ამასობაში რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიურმა ურთიერთობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. გაიზარდა მოურავ ჩოფიკაშვილის ფუნქციები: იგი ხვდებოდა და აცილებდა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ფოსტას, ჯარის ნაწილებს, ვაჭრებს...

მე ვესაუბრე ყაზბეგელ მკვიდრთ, პედაგოგებს, ექიმებს, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ადგილობრივი რედაქციის მუშაკებს. ვესაუბრე ორი საუკუნის წინანდელ ამბებზე. ისინი სიამოვნებით მიწევდნენ მეგზურობას, მაჩვენებდნენ ღირსშესანიშნაობებს, მიმითითებდნენ იმ ლიტერატურაზე, საიდანაც ჩემთვის საინტერესო ამბების ამოკრება შეიძლებოდა.

და მერე, როცა სასტუმროს მყუდრო ოთახიდან საქართველოს სამხედრო გზაზე ჩაქროლილ მანქანებს ვუყურებდი, ვცდილობდი წარმომედგინა ძველი სტეფაწმინდა: ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი, ტფილისიდან ამოსული ჩალვადრები (ჩალანდრები?), რომლებიც ბოღჩებს მოურავის თანდასწრებით ხსნიდნენ ცხენებს და ბაჟს იხდიდნენ. აქედან გზა სოფელ ჩმიმდე ოცდაათი კილომეტრის მანძილზეა. ტვირთი ზურგით იყო გადასატანი. მოურავის ფუნქციაში ტვირთის გადატანის ორგანიზაციაც შედიოდა. იგი ხუთფუთიან ბოღჩებს

მასთან სამსახურში მყოფ მტვირთავებს შორის გაანაწილებდა, ამისთვისაც ჩაიჯიბეშლდა გასამრჯელოს და მერე აღარაფერზე აგებდა პასუხს (ხომ დიდებულად ჰქონდა საქმე აწყობილი?).

ვითომ დამთავრდა ამით ყოველგვარი გადასახად-მოსაკითხი?

ვითომ შეიძლება გულდალაგებით გავაგრძელო გზა?

მაშინ თქვენ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა გქონდათ თქვენს მიერ არჩეულ მარშრუტზე!

ჩმის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოგიწევთ ბარგის გახსნა და საჩუქრების გაცემა, ხოლო თუ ავაზაკთა თავდასხმას ასცდით, ე, მაშინ მართლა შეგიძლიათ მადლობა შესწიროთ უფალს სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, სამოურაოებს დიდი როლი ენიჭებოდა. ეს მათზე იყო დამოკიდებული გზის დაცვა, ხიდების მოწესრიგება, მეზობელ ტომებთან ურთიერთობის დამყარება.

ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი სახელსა და დიდებაზე ოცნებობდა. ამას დრო და დამსახურება უნდოდა. როგორც ჩანს, უფრო ხელსაყრელი ამინდი მის მემკვიდრეს — გაბრიელს დაუდგა.

რაკი რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური მიმოსვლა გახშირდა, ერეკლე მეორემ დარიალის გზას მიაპყრო მზერა. გაბრიელი აღზევდა. ნუღა ეხუმრებით! თვით ქართლ-კახეთის მეფეს იცნობს მას და წერილებსაც უგზავნის:

„აქ ჩვენ მაგივრად ყაზიბეგის შვილს გაბრიელს ესე უამბეთ: მერე შენი ძმა ივანე მოვიდა და შენი

წიგნი და თაგაურების წიგნი მოგვიტანა. რაც ან თაგაურებს და ან შენ მოგეწერა, ვიუწყეთ და თაგაურებსაც პასუხი მოვწერეთ... როგორც ეგენი დაგვიბარებია, თუ ისე არ ჩამოვლენ და მძევლებსაც ჩამოიყვანენ, ხომ ის არის, და თუ ისე არ ჩამოვლენ, უფროს უფროსნი კაცნი ასეთნი ჩამოვიდნენ და მძევლებიც ჩამოიყვანონ, რომ რაც იმათთან ლაპარაკი და მორიგება მოხდეს, ის დამტკიცდეს: სხვათ წინააღმდეგობა და მოშლა აღარ შესძლოსთ. თუ ღვთის ნება არის და კარგად, რიგიანად მოვრიგდებით, ხომ ის არის, და თუ რიგიანად ვერ მოვრიგდებით, მას უკან მაგათ თავიანთი გზა დარჩებათ და ჩვენს ქარავნის კაცთ სხვა გზაზე ვატარებთ, და აქ რომ ჩამოვლენ, თუ ვისთანმე სამართლიანი ლაპარაკი ექნებათ რამე, ხათარჯამნი იყვნენ, სამართლიანი საქმით კარგად გავურიგებთ, და ვინც დაბარებულნი არიან მანდედან ჯარნი, ამ ორ დღეს უკან კიდევ კაცს გამოვისტუმრებთ და ის სწორეთ მოგიტანს ჩვენს სიტყვას... ე რ ე კ ლ ე.“

ასე ჩაება ჩვეულებრივი ბაჟის ამკრეფი სახელმწიფო სამსახურში. საქართველოს მეფე მას ავალებდა დარიალის დაცვას. ხალხი მის სამყოფელს მამამისის სახელით — ყაზიბეგით მოიხსენიებდა. ერეკლე მეორეც ამ სახელითვე მიმართავდა. „ყაზიბეგთან გავჩერდეთ; ყაზიბეგთან გავარჩიოთ; ყაზიბეგს დავეკითხოთ; ყაზიბეგს ვთხოვოთ...“ გაბრიელმა აზნაურობა მიიღო და უარი თქვა თავის გვარზე. ამიერიდან იგი გაბრიელ ყაზბეგად მოევლინა ხევს. მან სწრაფად აუღო ალღო შექმნილ

ვითარებას. ცალკე — რუსეთს ემსახურებოდა, ცალკე — საქართველოს. გაბრიელის საბრძანებელს რუსეთი (ერთგული მსახურის წასახალისებლად!) ყაზბეგს უწოდებს. მერე, წლების შემდეგ ეს წახალისება თავის შედეგს გამოიღებს. გაბრიელ ყაზბეგი რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აჯანყებულ მთიელებს აღუდგება წინ და სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს. საქართველოს მთავარმართებელი ციციანოვი იტყვის: — მაიორი ყაზბეგი შეუდრეკელ ერთგულებას იჩენს რუსეთისადმი და არამცთუ თავისი ჯიბიდან გაიღო ათასი მანეთი რუსის ტყვეთა გამოსასყიდად, არამედ საკუთარი ღვიძლი შვილიც არ დაჰზოგა და მძევლად მისცა მეამბოხეთ, ოღონდ რუსებს ნურას ავნებთ და პირს ნუ შეირცხვენთ ხელმწიფე იმპერატორის წინაშეო“...

ყაზბეგის ახალგამომცხვარი გვარი ხევს ბატონად მოევლინა. ამ გვარმა მიწებიც მოიხვეჭა და ყმებიც დაიმკვიდრა. ჩამოყალიბდა „მინი-სახელმწიფო“ — თავისი გადასახადებით, წესებით, უფროს-უმცროსობით. ამ „სახელმწიფოს“ თავკაცებმა ხელში ჩაიგდეს საქართველოს სამხედრო გზა. ბეგრავდნენ ტვირთის მზიდავ გლეხებს... საუკეთესო ღვინო, საუკეთესო ცხენი, საუკეთესო ქსოვილი... და ათასი სხვა რამ, ჩვეულებრივი მოსაკითხი გახდა საბაჟოს უფროსთათვის.

ახსოვს ხევს ყველაზე მკაცრი ბატონიც. იგი „ხევისბერი გოჩას“ ავტორის მამა — მიხეილი გახლდათ.

— მომავალში, — თქვა ტარიელმა, — ჩვენ შეგვიძლია მატარებლით ვიმოგზაუროთ კავკასიონის უღელტეხილზე.

ეს ჩვენი მეგობრების გულწრფელ გაკვირვებას იწვევს.

კლავდია უნდოდ მოგვჩერებია.

— ამ გზაზე? — გვეკითხება იგი.

— გააჩნია, როგორ დაგეგმავს „ტრანსპროექტი“.

— მაშასადამე, ეს ჯერ მხოლოდ ჩანაფიქრია?

— არა, რეალობა. გეტყვით სამუშაოთა დაწყების ვადასაც:

მომავალი წლის პირველ კვარტალში განიხილება მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებანი. გაისადვე დამთავრდება მთავარი გვირაბის ტექნიკური პროექტიც.

— რას ნიშნავს, მთავარი გვირაბი?

— კავკასიონის ცენტრალური ქედის ქვეშ რომ გავა. მისი სიგრძე ოცდაორი კილომეტრი იქნება.

მე ეს ვიცი. ვიცი, რომ უკვე შემუშავებულია რამდენიმე ვარიანტი, რომელიც მოიწონა სახელმწიფო-საექსპერტო კომისიამ. ჯერჯერობით შეჩერდნენ არხოტის მიმართულებაზე. საქართველოს ფარგლებში რკინიგზა გაივლის მცხეთას, დუშეთს, ყაზბეგს... მატარებლები გაჩერდებიან სადგურებში: „საგურამო“, „ყინვალი“, „ფშავი“, „ბარისახო“, „თარგიში“... დიდი სახელმწიფოებრივი სიმაღლიდანაა მონიშნული ამ სამუშაოთა ნუსხა. საკმარისია ითქვას, რომ ტრასაზე აშენდება ორ-

მოცდაორი კილომეტრზე მეტი საერთო სიგრძის 25 გვირაბი.

ტარიელს სახე გაუნათდა.

— იცი, რა გამახსენდა? ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ და ლელთ-ღუნია... როგორ ფიქრობ, რას იტყოდა იგი, აქ, მთაში მატარებელი რომ დაენახა?

●

უცნაური ამინდი იცის დარიალის ხეობაში. თუ თქვენს თავს ზემოთ ულურჯესი ცაა და მზის სხივებს უხვად ირეკლავს ზვიადი მყინვარწვერი, წინდაწინ ნურაფერს იტყვით, რომ ბედმა გაგიღიმათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ისეთი ცივი ქარი დაუბერავს და ისეთი კოკისპირული წვიმა წამოუშენს, ორი ფეხის ნაბიჯზე საგნების გარჩევა გაგიჭირდებათ. შეიძლება გამოურიოს ხოშკაკალმა, შეიძლება წამოთოვოს კიდეც...

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა ხდება ასეთი უამინდობის დროს ჯვრის უღელტეხილზე!

ნისლი, ქარბორბალა, ზვავი!

ოდესღაც უღელტეხილის ამ უმაღლეს გადასასვლელზე მაშველი სამსახურიც შემოიღეს. ერეკლე მეორეს სახელს უკავშირებენ ამ სამსახურს. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ თითქოს ეს მისი ინიციატივით დასახლებულა უღელტეხილის ჩრდილოეთ ფერდობზე ბადი ბიდარაშვილი. მისი სახლი საიმედო საყუდარს წარმოადგენდა ქარაშოტში მოხვედრილი მგზავრებისათ-

ვის... ორი კილომეტრის მანძილზე ისმოდა ბიდარაშვილის მიერ შემოკრული ზარის ხმა!

რამდენ გზააბნეულთათვის მიუცია ნიშანი!

რამდენი—ზვავისა და ღვარცოფისაგან უხსნია!

იქნებ მის სახლში შეისვენეს გრაფმა მუსინ—პუშჩინმა და ალექსანდრე პუშკინმა? ვინ იცის. მაგრამ ერთი კია — სადღაც ამ მიდამოებში წალკაპარაკდნენ ძველი მეგობრები (ვლადიკავკაზიდან პუშკინი ახალგაზრდა გრაფის ეკიპაჟით მგზავრობდა). ნაწყენმა მგოსანმა მიატოვა გრაფი და ფეხით გაუდგა გზას.

როგორ ჩააღწია მან დუშეთს?

ვინ მიეშველა ბარგის წაღებაში?

პუშკინის თანამედროვე ნ. ნ. გესლინგი, იმხანად კავკასიაში რომ მსახურობდა, იგონებს: პუშკინმა ძლივს მიაღწია ქალაქს (დუშეთია ნაგულისხმევი). მოიკითხა სასტუმრო.

პასუხად გაკვირვებული გამოხედვა მიიღო მხოლოდ.

აბა, სად შეიძლება მოისვენოს კაცმა?

აგერ, ბატონო, დუქანი!

მაგრამ ჭუჭყმა და ანტისანიტარიამ მთლად წაუხდინა პოეტს გუნება. იგი მამასახლისისაკენ გაემართა. იმედი აქაც არ გაუმართლდა: მამასახლისი სადღაც წასულიყო.

სად არის ოჯახის უფროსი?

არ დაუბარებია, ბატონო, ამბობს დიასახლისი.

მე მისი სტუმარი ვარ. — ამბობს პოეტი. — თუ შეიძლება, შინ დაველოდები.

სტუმარი ღვთისაა! — თავს უქნევს მასპინძელი.

პოეტი ძლივს მილასლასდა ტახტამდე, წყურვილის მოსაკლავად ერთი ჭიქა ღვინო მოითხოვა და მაშინვე ჩასთვლიმა. ამასობაში მამასახლისიც დაბრუნდა. მან უკვე იცოდა, რომ მის ტახტზე ვიღაც გამვლელი თვლემდა და გაგულისებული შეიჭრა ოთახში. პუშკინმა ძლივს გააxილა თვალი. მან გულწრფელად უამბო თავისი თავგადასავალი, ბოდიში მოიxადა უცxო ოჯახში შემოჭრისათვის და თავშესაფარი ითxოვა.

მამასახლისი: თუ ახლავე არ გაბრძანდებით აქედან, იცოდეთ, ძალით გაგიყვანთ!

პოეტი ისევ იxდის ბოდიშს: განა ვერ xედავს მასპინძელი, რომ მის წინ პოეტი ალექსანდრე პუშკინია? ნუთუ ამ გვარსა და სახელს არა აქვს მაგიური ძალა?

ნურას უკაცრავად!

მამასახლისისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომელმა პუშკინმა გააბედნიერა იგი თავისი სტუმრობით. და საერთოდ, რამდენი მელექსე დაეxეტება ამ გზაზე? იxეტიალონ! ოღონდ, მას დაანებონ თავი!

...ტფილისში პუშკინმა ეს თითქმის ანეკდოტური ამბავი გესლინგს უამბო. გესლინგმა მაშინვე გამოიძახა დუშეთიდან მამასახლისი. თითქოს სამსახურებრივ საქმეთა გამო.

ამბობენ, მამასახლისი ისე დაათვრეს ახალგაზრდა მოxელეებმა, რომ მან მუxლებზე დაჩოქილმა ითxოვა პატიება.

იყო ვითომ ეს ასე?..

ვითომ მთელი ამ „შურისგების“ სცენა პუშკინმა მოიგონა?

კავკასიის მხარის დიდი მკვლევარი და ისტორიოგრაფი ე. ვეიდენბაუმი გასულ საუკუნეში დაწერილ წიგნში ცალკე თავს უთმობს ჩვენთვის საინტერესო ამბავს: „1829 წელს კავკასიაში პუშკინის ჩამოსვლის გამო“. აგერ ამონაწერი მისი წიგნიდან: „მოგზაურობა“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი, როგორც ჩანს, თვით მოგზაურობის დროს იწერებოდა, უშუალოდ განცდილითა და ნანახით. პუშკინი არ ერიდება ერმოლოვის საოცრად გამომწვევ, დამამცირებელ გამონათქვამთა გამომზეურებას პასკევიჩის მისამართით, გვიზიარებს თავის მოსაზრებას მთიელთა ქრისტიანებად მოქცევის თაობაზე, გვაცნობს ვლადიკავკავში მყოფი ამანათების მდგომარეობას და ა. შ. „მოგზაურობაში“ ისიც არის მითითებული, რომ პირველი ჩანაწერი უბის წიგნაკში გაუკეთებია გეორგიევსკში, 15 მაისს. ხოლო მეორე ჩანაწერი — 22 მაისს, ვლადიკავკავში. ამის შემდეგ თარიღთა მიმდევრობა წყდება. პუშკინისაგანვე ვიგებთ, რომ მან ტფილისში ორი კვირა გაატარა. მაგრამ ამ დროის მანძილზე რას აკეთებდა, ვის ხვდებოდა, ჩვენთვის საიდუმლოდ დარჩა...“

ნეტავ, შეიძლებოდეს ამ სტრიქონების ავტორის ერთი წამით გაცოცხლება, ნეტავ! მაშინ იგი დაინახავდა იმ უდიდეს მემკვიდრეობას, რაიც ქართველმა ხალხმა დიდი რუსი პოეტის სტუმრობის შემდეგ შემოუნახა მომავალ თაობებს...

მაგრამ ახლა კოკისპირულად წვიმს... ჯვრის

ულელტეხილზე ნისლი ჩამოწოლილა და ჩვენ ანთებული ფარებით, ძალზე ფრთხილად მივიწევთ წინ...

არ გესმით ზარის ხმა?

ვეკითხები ჩემს თანამგზავრს.

ისინი გაკვირვებულნი მომჩერებიან.

— მართლა არ გესმით ბიდარის ზარის ხმა? — ვამბობ მე და კაბინის მინას ვაღებ.

ტარიელი დაჟინებით გასცქერის ჩამუქებულ სივრცეს და კბილებს შორის წარმოთქვამს:

— გადამიშვი, ბიდარაო,

მეტი არა მინდარაო...

საქართველოს სამხედრო გზა...

გზა იმედის;

გზა მერმისის;

გზა მეგობრობის...

გზა — თბილისიდან — ორჯონიკიძემდე.

რა უცნაურია, — რამდენჯერ მიმგზავრია ამ მონაკვეთით, მაგრამ ახლა, როცა გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წელი მოახლოვდა, ჩემში „რაღაც“ მოხდა, „რაღაც“ შეიცვალა და ჩვეულებრივმა, თანადროული ტექნიკით აღჭურვილმა მაგისტრალმა აქამდე შეუცნობი სახე მიიღო. ძნელია გადასწიო ორი საუკუნის ფარდა? ანდა უფრო იქეთ გაიხედო, შორეული წარსულისაკენ? უნებურად გახსენდება სტრაბონი:... მეორე გზა შემოდის (იბერიაში) ჩრდილოეთიდან, სადაც საქონ-

ლის/ მიმდევარი ხალხი ცხოვრობს. ეს გზა მეტად ძნელია, რადგან მგზავრი ჯერ სამ დღეს უნდა მოუნდეს იმას, რომ ავიდეს საშინელ ვიწრო ქედზე, რომელიც ისე ვიწროა, რომ ორი კაცი ერთად ვერ გაივლის; ასვლის შემდეგ ამ ქედზე უნდა იაროს მოგზაურმა კიდევ ოთხი დღე და ბოლოს შეხვდება მიუდგომელი ციხე, რომელიც იცავს ამ გზას...

ჩვენ უკვე ვიცით, რა ჰქვია ამ ციხეს — არაგუის კარი, დარიალანი, დარლ-ალანთ-კარი, დარიალი...

ვინ აღაშენა იგი?

ან სად არის ახლა, ათასწლეულთა წინათ გაჭრილი სამარხი?

ფრთხილად მიაბიჯებ კლდეებს შორის.

მხოლოდ ფიქრი.

მხოლოდ ჩუმი განსჯა.

რად გაგვწირა ასე ჟამთასვლამ?

რად არ დაგვიტოვა რაიმე ნიშანი?

ჰეი, შენ, სენტიმენტალურო, ნაგვიანებო მგზავრო, ჩამოჯექ წამით, ჩახარე მუხლი. ნუ შიშობ, არ გადაგიფრენს რაიმე უცნაური ფრინველი, არც შენი პერანგის წართმევას ისურვებს კლდის ღვიმეში ჩასაფრებული ყაჩაღი... დრო გაქვავებულა თითქოს. ქარი მაღალი ძაბვის ელექტრომავთულებს აწყდება, როგორც სინათლისაგან დაბრმავებული კაპუეტი.

მოდი, მიწას დაადე ´ყური!

გესმის რაიმე?

გესმის საუკუნეთა ძახილი?

ან გეუბნება რამეს ამ ციხის დამლაშქრავის ვახტანგ გორგასალის სახელი?

გადახსენ „ქართლის ცხოვრება“... განვლო (ვახტანგ) კარი დარიალისა: შესავალსა ოვსთად... მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი, მოირთეს ძალი ხაზარეთით და მოეგებნეს მდინარესა ზედა. რომელი გავლის დარიალას, ჩავლის ველსა ოვსეთისასა და მასცა მდინარესა არაგვი ჰქვიან, რამე თუ ერთისა მთისაგან გამოვალს თავი ორთავე ქართლისა არაგვისა და ოსეთისასა“...

რამდენი საუკუნე გავიდა მას შემდეგ?

განა საჭიროა დღეს შორეულ ლანდებთან ლაციცი?

განა თანადროული საზრუნავი არ გვყოფნის?

მაგრამ გული კეთილშობილია გონებაზე. მახ არ უწყის — „შეიძლება“, „არ შეიძლება“, „სასულელეა“, „რა საჭიროა“. იგი **გ-რ-ძ-ნ-ო-ბ-ს** და მაინც პოულობს შორეთში გაბნეულ მშობლიურ აჩრდილებს.

...და ჩვენ ოთხნი მივიკვლევდით გზას, და ვიხსენებდით: „და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ, და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი, და დაადგინა მცველად მახლობელნი — იგი მთიელნი: არა ხელმწიფების გამოსვლად დიდთა — მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა, თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“...

— გუშაგნი ჩემი წინაპრები, მოხევეები იყვნენ, — ამაყად აიხედა ცისკენ ტარიელმა.

— მოხევეები, თუ წანარები? — ვკითხე მე.

— ვითომ იყვნენ კი წანარები?

— ამბობენ, იყვნენო...

— მე ხევის ისტორიისა მჯერა. ალბათ წაიკითხავდი სერგი მაკალათიას...

— წავიკითხე. და ისიც ვიცი, რომ ვახტანგ გორგასალის დროს მთიულებად იხსენიებოდით.

მან უხერხულად გაიღიმა.

— გნებდები. სიტყვა „ხევი“ თამარ მეფემ უსახსოვრა მატიანეს. როცა მთაში ამბოხებამ იფეთქა, თამარს უბრძანებია: „ყოველთა მთიულთა, ცხრა-ზმელთა, მოკვეთა, ხვდელთაო“.. ასე იყო?

— ასეა, — ვუთხარი და გავიცინე.

ერთხანს გაოცებით მიყურა. მერე მიხვდა ჩემი გახალისების მიზეზს და სახე მოუსინათლდა. „უტეხნი ვართ მოხევეები?“

როგორც ვთქვი: გაზაფხული იდგა. თბილისში უმოწყალოდ აცხუნებდა მზე. აქ კი მთის ფერდობებზე ისევ იდო თოვლი. ენძელები ის-ის იყო ახელდნენ თვალს და შორეულ მწვერვალებზე კაცისაგან შეურყვნელი სიწმინდე და ელვარება გამეფებულიყო. სად არიან ახლა ისინი, ჩემი კეთილი მეგზურის წინაპარნი? ან სად გაქრნენ მათი სიმღერები, მათი გატეხილი ღამეები, სიზმრები?... ერთურთში აღარ ომობენ მოხევეები და ქისტები, მინავლებულა ზანზალაკების ჟღარუნი, სამეფო დროშების ფრიალით აღარავინ მიეშურება გერგეტის სამებისაკენ. არ შეცვლილა მისი გეოგრაფიული მდებარეობა. გადაშიშვლებული მთებით გარშემორტყმული თერგის ვიწრო ხეობის საზ-

ღვრები იგივე დარჩა: სამხრეთით — ჯვრის უღელტეხილი, ჩრდილოეთით — დარიალის კარი, ხოლო აღმოსავლეთით და დასავლეთით — მაღალი, მიუდგომელი კლდეები, ხოლო მოსახლეობა? „კაცნი არიან მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი, ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა“... სწორედ ეს „კაცნი მბრძოლნი“. იცავდნენ საქართველოს სამხედრო გზას. გზაც სტრატეგიულად ასე განლაგებულა: ჯვრის უღელტეხილს მერე გაივლის მთელს ხევს და დარიალის კარით ჩრდილო ოსეთში გრძელდება.

გზა დარიალისა — დიდი და სასიცოცხლო არტერია. ქვეყნის უკიდურესი საზღვრის ჩამკეტი. „ამის წყალობით საქართველოს ზურგი ჩრდილოეთიდან მაინც მაგარი ჰქონდა და სამხრეთიდან მომავალი მტრის წინააღმდეგ მოსაშველებლად იქ სამხედრო ძალის საკმაო მარაგსაც დაუბრკოლებლივ შოულობდა“.

რელიგია: ქრისტიანობა. მაგრამ განსხვავებული, წარმართობის ელემენტებით გამდიდრებულ-შევსებული. რის ბრალი იყო ეს?

ალექსანდრე ყაზბეგი: ქრისტიანობა და კერპთაყვანისმცემლობა იქამდე გადარეული აქვთ მოხევეებს, რომ თვითონაც ვერ მიუციათ ანგარიში, რა რიგი სული სადა მოქმედებს, რა რიგათა სწამთ...

ღამით, ყაზბეგის რაიონის ახლანდელ თავკაცთან — გურამ სუჯაშვილთან ვრჩებით. ეს თითქოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ვაჟკაცი, ხინკლებით გვიმასპინძლდება. ჟიპიტაურს პაწია ჭიქებით

ვსვამთ: „წინ და წინ რომ გაგეფრთხილებინეთ, ლუდსაც ამოვიტანდი „ქვემოდან“. („ქვემოდან“ — ორჯონიკიძიდან). ორსართულიანი, თანადროული სახლი გაჩახჩახებული, გემოვნებით მორთული დარბაზი. მაგრამ ჩვენ მაინც ქვედა სართულზე, ხის გაჩორკნილ მაგიდას ვუსხედვართ. ჭრაქი მოიტათ, ჭრაქი! — ვნატრობთ ჩვენ.

ერიჰა, საით გვაბრუნებთ, ძმებო! — უკვირს მასპინძელს. მაგრამ სტუმრის სურვილი მისთვის წმიდათაწმიდაა და ჩქარა მკვრივად ნაშენ კედლებზე უცნაური ჩრდილები იწყებენ თამაშს... „აბა, დილის ბედ-ანგელოზ გვეწეოდეს“, — ვიხსენებ ადრე გაგონილს.

ვსაუბრობთ გასულ, უჩვეულოდ თოვლიან ზამთარზე, ხევზე, მის ადამიანებზე, სასურსათო პროგრამაზე...

— ძალიან მოღონიერდა ჩვენი სოფელი, — თითქოს სიტყვის მასალად წამოისროლა გურამმა, — ცხვარმა დაგვაყენა ფეხზე და დიდ სარკმელში გაგვახედა.

— ბატონო გურამ, — შევაპარე ფრთხილად, — მე ციფრები მიყვარს, ციფრები კი საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ.

— რა ციფრები? — ეწყინა რაიაღმასკომის თავმჯდომარეს.

— ის, რომ, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საგრძნობლად შემცირდა კომლთა რაოდენობა. თუ ასეთი სამოთხეა ყაზბეგის რაიონში, რად სტოვებს კაცი მამაპაპეულ კერას?

— გულწრფელად გითხრათ? — ვეება მუშტი

მოკუმა გურამმა. — სწორედ მაგ კეთილდღეობის გამო. გამდიდრდა კაცი. დადგა ფეხზე (ეს მგონი, გითხარი) და ქალაქისაკენ გაექცა თვალი, ახლა, თითქოს მოდად იქცა, მრავალმა ჩვენებურმა დაიდო ბინა ორჯონიკიძეში...

— ალბათ იქ გადასახლებაში ქართული სკოლაც უწყობთ ხელს... შვილების აღზრდის პრობლემა არა დგას მათ წინაშე...

— პირადად მე ნახევარი ქალაქი რო მაჩუქო, აქედან სად წავალ?

იგი ამ მიწის შვილია. ხელს მყინვარწვერისაკენ იშვერს, აი, იმ მთის ძირას დაირწა ჩემი აკვანი. ვუღალატო აკვანს? ვუღალატო გერგეტს? ანდა იცი, რა მიწაა ეს?

იგი ჩუმი ღუღუნა ხმით იწყებს ვახუშტის კითხვას:

— ხოლო მთიულეთის ჩრდილოთ არს ხევი, გარდავალს გზა ხევს, გადის დასავლეთიდამ, კავკასსა ზედა, არამედ არს დაბალი და უტყეო, ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი, თოვლის სიდიდითა. ზაფხულ არს ბალახიან-ყუავილიანი. ამას უწოდებენ ყელს. ხოლო ჩრდილოთკენ ერთვის ხევის მდინარეს ხევი და უწოდებენ შთასავალს. აქა არს წყარო სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და ჰყრია ბროლი მრავალი. მსგავსი გათლილისა, და სცვივა კლდესა. აქა იპოების ბროლი და გასტეხო — არს შიგ წითელი ბროლი. არამედ მდინარესა ხევისასა ეწოდების არაგვთე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის — მდინარე ძუელამდე, და აწ უწოდებენ თერგსა; გამოსდის ქურთაულისა, ზახისა

და მაღრან-დვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდამ კავკასიის მხრიდამ, დის აღმოსავლეთად ჩასავალამდე...

მე ვეუბნები:

— ამ ადგილებში ანდრია პირველწოდებულსაც გამოუვლია.

— ეს მაშინ, ალბათ, როცა კავკასიის მთიელები მოაქცია. — სწრაფად მეთანხმება გურამი, — რახან ეგეც გაინტერესებთ, აგერ, ჩემს უბის წიგნაკსაც მოგაშველებთ. რაც ჩვენს კუთხეს ეხება, ყველაფერი აქა მაქვს მოთავაკუდებული. აბა, ერთი ვნახოთ, რა გვიწერია ანდრია მოციქულზე. ჰო, აი, აგერა: მუნით მოიქცა ქისტეთის გზით და მოვიდა ხევსა მთიულეთისასა, ლომეკის მდინარესა ზედა (რომელსაც სახელს სდებენ თერგად) და აღვიდა ძირსა საშინელსა მის კავკასიურისა მთისა, რომელსა ეწოდების მყინვარი... მაღალსა მთასა ზედა, სადა იგი არს ჩამოსწვრივ ძირი მისი, აღმართა მუნ ჯვარი, არს ადგილსა დაბა და ადგილსა მას, სადა ჯვარი აღმართა წმინდამან ამან მოციქულმან აწ არს მას ზედა ეკლესია, დიდი მონასტერი წმიდისა მოციქულისა პირველ-მოწამისა სტეფანესი...

კედელზე კი ისევ დათამაშობენ უცნაური ლანდები. ტარიელი ჩაფიქრებული ზის. რატომღაც აღარ მიდგება ოთახში გული. გარეთ! ბივანზე! დამეულ სიგრილესთან ახლო!

ყაზბეგს სძინავს. მაგრამ სუჯაშვილების სახლიდან კარგად იხედება რაიონული ცენტრი. —

ერთიანად განათებული, ლამაზი სახლებით დაყურული.

მაინც მეუფლება სევდა. მკერდთან უსიამო წიწკნას ვგრძნობ. რა არის ამის მიზეზი? იქნებ ოგი ტარიელისა და გურამის მოგონებებიდან მეწვია? ვინ იცის. ერთი კია — ჩემმა უაზბეგელმა ძეგობრებმა ერთმანეთი... სოფელთა სახელების ჩამოთვლაში გამოიწვიეს.

გურამ: აბა თუ გახსოვს, შენს სოფელში (გერგეტს გულისხმობდა) რამდენი გვარია?

ტარიელი: ხუციშვილი, ქისტაური, წიკლაური...

— სუჯაშვილი?

— ეგ, ხომ თავისთავადაა.

— გაიბოტენში?

— ხულელიძე, ჩაბაკაური, ავსაჯანიშვილი.

— ავსაჯანიშვილს მანდ რა უნდა, გორისციხეში უნდა მოიკითხო.

— დიდი დრო გავიდა, ძია გურამ, — იღიმება ტარიელი.

— აბა, სუჯაშვილებში ეგეთები არ იყოს, თორემ მოგვკვეთთ თემიდან!

— მოკვეთილი არ არის? — ვამბობ მე.

— ჯერ არა, — ნაღვლიანად მიყურებს გურამი. — ჯერ კიდევ ახსოვს თავისი კუთხე.

მერე, მე ჩავიწერე: ართხმო, არშა, ახალციხე, კარკუჩა, თოთი, მიგუდა, სიონი, სნო, ტყარშეთი, ფანშეთი, ქარსელი, ყანობი, ადო, ხურთისი, ჯუთა, აბანო, აგანთყაუ, ალმახიანი, ცარცოლტა, ტეპი, უხათი, ყუშლის ციხე, რესი, მნა, მექეთი, ერეტო, კარატყავი, ოქროყანა... ალბათ ბევრი **გამომრჩა**

კიდევ. მშვენიერი, მზეს გატოლებული სოფლების სახელები... ბევრ მათგანისაგან სახელი დარჩა მხოლოდ. ადამიანებმა მიატოვეს მამაპაპათა საფლავები, ბავშვობის ბილიკები და ამ უკიდეგანო სამყაროში შთაინთქნენ... მე გამახსენდა ჩემი მეგობრის მოთხრობა. მისი მთავარი გმირი ძაღლია. სწორედ ასეთ მიტოვებულ სოფელზეა იქ ლაპარაკი. ყველანი წავიდნენ... გაიკრიფნენ უკლებლივ. ძაღლი კი დარჩა... ძაღლი — ერთგულების სიმბოლო. მაგრამ ერთგულება ძაღლმა ხომ ისევ ადამიანისაგან ისწავლა? უნებურად ჩამოიქნა სიუჟეტი ორ ძმადნაფიცზე. სხვადასხვა სოფელში ცხოვრობდნენ ისინი. ერთი სივრაუტას, მეორე — ფხელშეს... ერთი — უშვილძიროდ დაბერდა. მეორეს — განგებით ცოლი ადრე გარდაეცვალა. წამოზრდილმა შვილებმა კი დედაქალაქს მიაშურეს. წლების მანძილზე იშვიათად ხვდებიან ძმადნაფიცები. ერთიც — მარტოა და მეორეც. ხვდებიან ყაბბეგში, სახინკლეში, და მათი საუბარი შუდამ ერთი კალაპოტით მიედინება. „იქნებ გადმოხვიდე ჩემთან, ა?“ „შენ თითონ გადმოდი, სახლი თავად იცი, კარგი მაქვს. გვეყოფა. ხოლო თუ მაინცდამაინც ცალკე გინდა იცხოვრო, ჩემს გვერდით ისეთი სამოსახლოა, რომ“... „აი, ჩათავდეს ეს ზამთარი და მერე ვნახოთ“... ამ დაპირებებში გარბის დრო. უკვე ღრმად მოხუცებულთ მართლა სჭირდებათ ერთმანეთის სიახლოვე. ერთიანი ძალა... მაგრამ... ყოველი მათგანისთვის მისი სოფელი, მისი სახლი სამშობლოა. ეს ორივემ კარგად იცის. და

ერთმანეთთან „გადასვლასაც“ მიტომ სდებენ: „მერე“, „როგორმე, მერე“...

ხანდახან ვფიქრობ, რა მოხდა, რამ დაუჩლუნგა ჩვენს ახლობლებს ეს გრძნობა! ნუთუ, როგორც პატივცემული გურამი ბრძანებს, კეთილდღეობამ? მაგრამ განა ნებისმიერ (თუნდაც მივარდნილ) სოფელში არ შეიძლება იმ ცივილიზებული მყუდროების შექმნა, რომელსაც ყველა ყაიდის ჟურნალებში ვხედავთ? იქნებ ეს იმის ბრალია, რომ ცხოვრების სწორად წარმართვა არ ვიცით?

ასე ვფიქრობ. აივანზე ვდგავარ და ღამეულ სივრცეს გავყურებ. ვატყობ — დავიღალე, მაგრამ აქედანვე ვიცი, შთაბეჭდილებები არ მომასვენებს. შორს კი, შორს, სადღაც გადასაკარგავში, ცისა და მთის შესაყარზე ერთი ვარსკვლავი ციმციმებს. ჰაი, რა მომნუსხველად ციმციმებს! ვაკვირდები და რაღაცნაირი ჟრუანტელი მივლის: — ის ვარსკვლავი ჩვეულებრივი ელექტრონათურაა, რომელიც იქ, მთის კორტოხზე მერცხლის ბუდესავით გაწყობილ ოჯახს დარაჯობს...

ღმერთო ჩემო, ახლა ხომ ათას ცხრაას ოთხმოცდაორი წლის გაზაფხულია?!

საქართველოში რუსები 1047 წელს ჩამოსულან. „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს — სამი ათასი მხედრისაგან შემდგარმა ლაშქარმა საქართველოს ხელისუფალთა მოწვევით გადმოლახაო დარიალის კარი.

1491 წელს კი ქართველი ელჩები ეწვივნენ მოსკოვს.

ეს იყო დიდი და სერიოზული არჩევანის შედეგი. მონღოლთა ურდოებით გავერანებულმა სამეფოებმა და სამთავროებმა მოსკოვს მიაპყრეს თვალი — თავიანთ მხსნელად დასახეს და მის გარშემო იწყეს გაერთიანება.

ალექსანდრე პირველის — კახეთის მბრძანებლის სიგელი ჩამოიტანეს ქართველმა ელჩებმა.

— ყველა ხელმწიფეთა თავშესაფარი და ყველა ხელმწიფის კანონი, ღატაკთა დასაყრდენი და მუსულმანთათვისაც კი იმედი, კუთვნილი ქვეყნის მრისხანე ხელმწიფე, ყოველ მთავართა მართლმსაჯული, ყველა მთავართა უზენაესი მთავარი. ქვეყნის მყუდროება და წმ. ნიკოლოზისადმი აღთქმის მომცემი... — ასე მიმართავდა ალექსანდრე პირველი მოსკოვის მთავარს.

არა, ეს უსტარი არ გახლდათ ლამაზი სიტყვების კრიალოსანი. თითოეული სიტყვა გულისგულიდან იყო ამოღებული, რადგან: დაქუცმაცებული და სადროშოებად დაყოფილი სახელმწიფოს განმგებელს მოსკოვის მთავარი სწორედ ამგვარი თვისებებით დაჯილდოებული ეგულებოდა. მიტროფანემაც უთვლიდა თავმდაბლად:

— შორეული ქვეყნიდან აზრით ახლო მყოფი შენი ალექსანდრე თაყვანს გცემსო...

რა ხდებოდა ამ დროს საქართველოში?

ირანი და თურქეთი ერთმანეთს შორის ინაწილებდა სამთავროებს. ალექსანდრე პირველი სრულიად საქართველოს სახელით ითხოვდა შველას.

მოსკოვს კი თავისი საშინაო საქმეები აქვს მოსაგვარებელი. რა თქმა უნდა — აქ კიდევ ახსოვთ იბერიის ბრწყინვალება და დიდება. ლეგენდებსაც თხზავენ მის მამაც მეფეებზე. მაგრამ... ო, ეს მაგრამ!".. რა უხერხულ ადგილას გამოიწვერება და ჩაშლის ყველაფერს!

ამით არ გასრულებულა მოსკოვისაკენ ლტოლვა.

1557 წელს კახეთის მეფე ლევანი ისევ აგზავნის რუსეთში ელჩებს. ელჩებს მიტროპოლიტი იოსები თავკაცობს. იოსებმა კარგად იცის თავისი მისიის მნიშვნელობა. იგი შეუფერადებლად წარმოაჩენს საქრისტიანო სამყაროში შექმნილ სურათს: ბიზანტიის დაცემის შემდეგ საქართველო თურქეთისა და სპარსეთის პირისპირ აღმოჩნდა. იგი მარტოდმარტო უმკლავდება მათ ურიცხვ შემოსევებს. ქვეყანა განძარცვული და მიწასთან გასწორებულია. ცეცხლითა და მახვილით სპობს მტერი ტაძრებში გახიზნულ მოსახლეობას. ოდესღაც ბრწყინვალე ქალაქთაგან ნანგრევებიღა თუ გადარჩა...

ივანე მრისხანეს ჯერ ერთი წარბი შეუტოკდა, მერე—მეორე, და ბოიარებმა დაინახეს, როგორ დაგორდა ღაწვზე ცრემლი... იგი კარგახანს იჯდა ასე, გაყუჩებული და აცრემლებული.

— ვაი, საბრალო ქვეყანავ! ვაი, ბრწყინვალე დინარას სამშობლოვ!.. აღმოხდა ბოლოს.

ქართველ ელჩებსაც აუჩუყდათ გული. მათ ერთი სული ჰქონდათ, ვიდრე „ბრწყინვალე დინარას" ვინაობას გაიგებდნენ. ხომ არ დაუკავშირა

ივანე მრისხანემ სხვა ქვეყნის დედოფლის ვინმე დინარას სახელი — იბერიისას? მათ არ იცოდნენ უმთავრესი: სრულიად რუსეთის მბრძანებელი მუდამ უდიდესი პატივისცემით იხსენიებდა ქართველ ხალხს — როგორც სამარბლიანობისათვის მებრძოლთ, როგორც უმტკიცესი სულის რაინდთ... ხოლო დინარა... ულამაზესი და უმამაცესი დედოფლის ამბავი ბალღობიდან იცოდა: თითქოს — იბერიის დედოფალს სპარსელებმა შეპყრობა მოუნდომეს. მაგრამ სასტიკ ბრძოლაში დინარამ დაამარცხა ისინი, დალაშქრა თავრიზი და ნაალაფარი განძეული ეკლესიებსა და ღატაკთ დაურიგა.

...ყაზანის თათრებთან ბრძოლის წინ ივანე მრისხანემ სიტყვით მიმართა ლაშქარს. ეს სიტყვა მან იბერიის უმამაცესი დედოფლის — სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებული ქალის გმირობაზე ააგო.

ეფექტი გასაოცარი იყო!

დინარას გმირობით აღფრთოვანებულმა ლაშქარმა ადვილად დაძლია ყაზანის სიმაგრენი და რუსეთის ტახტს კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა.

ეს ყველაფერი კარგად ახსოვდა ივანე მრისხანეს.

ამიტომაც დაულტბო ცრემლმა უპენი. ამიტომაც მიიღო ასე გულითადად „დინარას ~~ქვეყნიდან~~“ მოსული დესპანი.

იგი დიდი ხანია ოცნებობდა ერთიან სამხედრო საზღვარზე — ჩრდილოეთიდან — სამხრეთამდე, თერგის — ციხესიმაგრიდან მოყოლებული კახთა—

ციხესიმაგრეებამდე... განგებამ თავად მიაწოდა ამ ჩანაფიქრის განსახორციელებელი გასაღები.

და ბრაძანა:

— კახთა მეფეს — ლევანს საზღვრების დასაცავად გაეგზავნოს ხუთასი რჩეული მეომარი!*

— ვოევოდები დაიძრან თერგის შესართავისაკენ!..

— თერგზე, სუნჟის შესართავთან აიგოს ციხე-ქალაქი!

— დაილაშქროს ასტრახანი!

...ჰეი, ბედისწერის ბორბალო! რა მზაკვრულად გაღათელავ ხოლმე საგულდაგულოდ ნაგებ ოცნების კოშკებს! მოყვრებს წაჰკიდებ, მტრებს შეარიგებ და მერე ამ მტერ-მოყვარესაც ერთ ქოთანში მოხარშავ...

ჟამთააღმწერმა ბოლოს ასეთი რეზიუმე გაუკეთა კავკასიის თეატრში დატრიალებულ მოვლენებს: მოსკოვი მიხვდა, რომ დათმობაზე უნდა წასულიყო... მას არ შეეძლო ერთდროულად ეომა ყირიმთან, თურქეთთან, მთიელებთან... მის წინაშე სხვა, უფრო დამაფიქრებელი პრობლემები წარმოჩნდა. კერძოდ — როგორ გაერთვა თავი საზღვარზე მომდგარი პოლონეთისა და ლიტვის დიდი სამთავროს ჯარებისათვის, როგორ ებრძოლა შვედებთან...

გაუქმებულად გამოცხადდა თერგის ციხე-ქალაქი.

---

* ისინი შვიდი წლის მანძილზე გვერდს უმშვენებდნენ კახეთის მეფეს. მათი დახმარებით დაღესტნელ ფეოდალთა არაერთ თავდასხმას მოეღო ბოლო.

კახეთი დატოვა ივანე მრისხანეს გამოგზავნილმა რაზმმაც.

დარჩა მხოლოდ კეთილი მოგონება და იმედი, რომ ბედისწერის ბორბალი ისევ სასიკეთოდ დაიწყებდა ბრუნვას...

მაგრამ კახთა მეფე ლევანი ველარ მოესწრო ამ სასიკეთო შემობრუნებას: 1574 წელს სამშობლოზე ფიქრით დალია სული.

ტარიელი მეუბნება:

— აი მატიანე: შიგ წერია: აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი და შექმნა გზა მშვიდობისა...

— ეს მაშინ, დავით აღმაშენებლის დროს... მაგრამ მერე?

— მოეშვი მაგ „მერეს“, — წყენა ეხატება ტარიელს. — შენ ნახე აქ რა ამბები ტრიალებს... მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი...

— ისიც ამ გზას შესდგომია?

— ისიც.

— მაგას რაღა აწუხებს?

— ერი, ძამიკო, ე-რ-ი! როგორც ჩანს, ქრისტიანობის გასამტკიცებლად გარჯილა სამეფოს უპირველესი ბერთაგანი. იცის, ხევს დიდი ძალა აქვს. ხევში თუ ძლიერი იქნება ქრისტიანობა, მაშასადამე, მისი ექსპორტირებაც შეიძლება მთელს ჩრდილო-კავკასიაში. არ არის ეს სიბრძნე? მითუმეტეს რომ გერგეტის სამება საქართველოს ფარგლებს გარეთაც უწვდენდა ხმას...

— გერგეტელობით ხომ არ მოგდის ეგ ქება?— წამომცდა უნებურად და მაშინვე მივხვდი, როგორ შეტოკდა მის სულში ქარიშხალი.

— კარგი, ბატონო, — ძლივს შეიკავა თავი, — ჩემი არ გჯერა. მაგრამ ვახტანგ მეექვსისა ხომ გჯერა?

— ვახტანგმა, რაო? — არ გავიტეხე იხტიბარი.

— როცა ხევში გამოიარა, სამების მთაზე ავიდა, ტაძარში ილოცა და „გერგეტის სულთა მატიანეში“ თავისი ხელით, გესმის, საკუთარი ხელით ჩაწერა: — გიორგი მეფემ მე ვახტანგ გამაგზავნა ლექში; და ბრძანებითა მისითა შემოვიარე აქ და მოვდიოდი, რათა შეგვეწიონ სპარსთა ზედა ძალი ამა სამებისა წმინდისანი. და აწ გევედრები, რათა წარმიმართო სავალნი ჩემნი!...

ტარიელი ოდნავ მოჭუტული თვალებით მიყურებს.

იცოდი? — მეკითხება მისი სახის ყოველი ნაკვთი.

მაგრამ როდის იყო ეს?

როცა ქართლის მეფე სპარსელების წინააღმდეგ აჯანყდა და საშამხალო მიიმხრო? თავისი ძმისწული, მომავალი მეფე ვახტანგ VI მძევლად გაიგზავნა ლექში. დარიალის გზით, ჩრდილოეთს მიმავალი ვახტანგი ხევში შეჩერდა. იგი უსათუოდ ავიდოდა სამებას — უსათუოდ. რაღგან იქ ეგულებოდა ქართული ქრისტიანობის უწმინდესი რელიკვია — წმინდა ნინოს ჯვარი, „გაკეთებული ცხოველი ვაზითა და თმითა...“

უცნაური იყო. მე თვალწინ წარმომიდგა სქელი

ღრუბლებით შემოკავებული მყინვარი. მყინვარის კლდესა შინა გამოკვეთილი გამოქვაბული, უხსოვარი ხნობიდან ბეთლემს რომ უხმობენ.

ვის მოუვიდა აზრად მისი გამოკვეთა? ან რა გაჭირვება უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ყინულიანმიუდგომელი ადგილი თავშესაფრად მიეჩნია? ან რა ძალა იფარავდა შიგ დაყუდებულ ბერებს? „უფლის აკვანი და აბრაჰამის კარავი?“

ყვებიან: თითქოს ბეთლემის ქვაბს ეს კარავი იდგა „უსუეტებოდ, უსაბლოდ. ჰაერში საკვირველად გამოკიდული. ხოლო ოქროს აკვანს მტრედები არწევდნენ“.

— იყვნენ კი ამის მხილველნი?

— განა ბეთლემის მღვიმის ლეგენდამ არ შთააგონა დიდ ილიას „განდეგილი?“

— **აბა,** ჩემო ლელთ-ღუნიავ, — მხარზე ღონივრად დავკარი ხელი ტარიელს, — შენ ხომ ამ მიწის სისხლი გიდუღს ძარღვებში?

ტარიელი გამომცდელად მიყურებს.

— გინდა გამოვიცნო, რის კითხვას აპირებ? — პირაქეთ მეკითხება.

— მინდა.

დილის გვიბნარევ სივრცეში ძლივს მოჩანს გერგეტი და სამება.

— იმ ტაძართან დაკავშირებული თქმულება გაინტერესებს, ასეა?

— ასეა.

— გიამბო?

— მე მგონი, ჩვენს სტუმრებს დააინტერესებს ეგი.

— ქართლისა, კახეთისა და იმერეთის მეფეებს ერთმანეთში დავა ჰქონიათ თურმე, თუ სად აშენებულიყო წმინდა სამების ტაძარი. მაშინ მცხეთაში ერთი ბერიკაცი წამომდგარა და მათთვის მოუხსენებია „მეფენო, ფურბერწი დაჰკალით და მისი სამგორველი* სოფლის ბოლოს დააგდეთ, მოვა შავი ყორანი და სადაც მას გამოხრავს, სამებაც იქ ააშენეთო“.

მეფენიც ასე მოქცეულან. ყორანი მოფრენილა და წაუღია ეს სამგორველი. მდევრად ყორანს ხალხიც გაჰყოლია. ანანურის თავზე ყორანს დაუსვენია და აქ სამების ნიში აუგიათ. ყორანი აქედან ბიდარის მთაზე (ჯვრის უღელტეხილი) დაფრენილა და აქაც ბევრი ჯვარი აღუმართავთ. ბიდარის მთიდან ყორანი გერგეტში გადაფრენილა და „ელოგეშის“ ნიშთან მას ცოტათი დაუსვენია და შემდეგ სამების წვერზე დაფრენილა. აქ ეს სამგორველი მას გამოუხრავს და ძვალიც აქვე დაუგდია.

ახლა მეფეებს დავა იმაზე მოსვლიათ, თუ ვის უნდა ჩაეყარა საძირკველი პირველად. წამომდგარა ერთი კეთილი კაცი და უთქვამს: წადით ბიდარის მთაზე, სადაც სამების ჯვარია აღმართული და იქიდან გამოიქეცით და ვინც სამებაზე პირველად ავა, საძირეც იმან გაუჭრასო.

ესეც მოქცეულან და ყველანი ცხენით თუ ფეხით ბიდარის მთიდან გამოქცეულან... მათ შორის

* მენჯის ნაწილი.

ერთი ხურთისელი კოჭლი ბახჩიძე მთათა მოკლე გზით გადმოსულა, სამების მთაზე ცხენოსნებზე წინ მისულა და სამების საძირკველიც მას გაუჭრია... ამის შემდეგ ხალხი ტაძრის აგებას შესდგომია.

ტაძრის ასაგებად ქვა დევ-წიქარა ხარებს ყანობ-ხურთისიდან უზიდიათ. კალატოზებისათვის წყალი გერგეტის წყაროდან მეცხვარეს უზიდია. ამ წყაროს დღესაც „კალატაის წყაროს“ უწოდებენ. ამ მეცხვარეს ხალხური თქმულებით თავისი სახე სამების სამრეკლოზე გამოუსახავს. მისი ფარა მთაზე უმწყემსოდ ძოვდა თურმე და მას ნადირი არ ერჩოდაო. ამ მეცხვარესაც სამების ღეკანოზები ახალწელიწადს პირველად ამწყალობებენ.

— როდის იყო ეს? — ვეკითხები ტარიელს.

— ალბათ, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ...

— აგერ ჩვენი მკვლევარები... დავით ბაქრაძე, მისი აზრით, ტაძრის ნაგებობის კონსტრუქცია, მისი ლამაზი და სადა ჩუქურთმები X—XI საუკუნეს განეკუთვნება.

— შეიძლება ცოტა უფრო იქეთაც კი იყო? — მეკითხება ტარიელი.

— ვინ უწყის. — ვამბობ მე. — აგერ მეორე უტყუარი საბუთი. გერგეტელთა სასისხლო სიგელი. — იგი ლამაზი, გარკვეული მხედრულითაა დაწერილი ტყავზე და ბაგრატ მეხუთეს დროს მიეკუთვნება...

— ეს უკვე მეთოთხმეტე საუკუნეა! — ღიმი-

ლით მიყურებს ტარიელი. — რაო, რას გვიბრძანებს სიგელი?..

— რომ გერგეტელები სამების საყდრის შვილები ყოფილან და საყდრის სამსახური თვით მეფისგან ჰქონიათ ნაბოძები... წაგიკითხო?

— ცხადია.

— ქ: ჩუენ: ღვთივ: გუირგუინოსანმან:

მეფეთა: მეფემან: ბაგრატ: ესე: მტკიცე:

უქცეველი: ბ-ბა: და: სიგელი: ამისად: ნიშნად:

გიბოძეთ: თქუენ: გერგეტელთა: საყდარი: შვილთა:

წმიდისა: სამებისა: მოსამსახურეთა:

საყდრი: შვილობა: ასრე: და: ამა: პირსა: ზედა: და:

რომე: თუ: ვისმე: თქუენი: განი: კაცი: შე

(მოა)კუდეს: სამსისხლად: აზღუევინეთ: ამისთ

უის: რომე: ძუელი: სიგელიცა: გქონ

და: და: ჩუენთა: გუართაცა: დაემტკ(იცნეს)

ვნახენითნ: სიგელი: და: გავსინჯეთ:

და: დიდი: სისხლი: ეწერა: თქუენი:

ჩუენცა: ახლად: დაგიმტკიცეთ: ასრე:

და: ამა: პირსა: ზედან: რომე: ვინცა: თქ

უენის: ადგილისა: გერგეტელი: კაცი: მოკლას:

— მართალი გითხრა, ეგ არ ვიცოდი... სად ინახება ახლა ეგ სიგელი?

— როგორც სერგი მაკალათია ბრძანებს, ეს სიგელი წინათ სამების დეკანოზებს ჰქონდათ ჩაბარებული. ოცდაათიან წლებში აქაური კაცი ინახავ-

და თურმე თბილისში და პატივცემულ მეცნიერს სწორედ მასთან უნახავს ეს საბუთიც...*

— ახლა სადღაა? — დაინტერესდა ტარიელი.

მე მხრები ავიჩეჩე. — რას ნიშნავს, როცა კრიმინალისტთან გაქვს საქმე?! — ვცადე გახუმრება.

— უკაცრავად, — სიგარეტის კვამლი ბოლქვებად ამოუშვა ტარიელმა და ხელი აუქნია. — ამ შემთხვევაში გერგეტელთან. მე კი მართლა მინდა ტყავზე დაწერილი სიგელის ნახვა... მითუმეტეს, რომ ჩემს მოგვარეს ჰქონია იგი შენახული...

— მაგრამ ცოცხალია იგი? მე მისი სახელის ინიციალი ვიცი მხოლოდ „მ". რამდენი წლისა იყო იგი 1934 წელს, როცა „ხევი" დაიწერა? მოხუცი? ახალგაზრდა? ან რა ბედი ეწია ტყავზე დაწერილ სიგელს? ხომ გამოსაკვლევია ეს?

ტარიელმა ჩაიცინა.

— ჩათვალე, რომ დავალება მიღებული მაქვს, ჩემო ბატონო მწერალო. — თქვა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ და ისევ სიგარეტის კვამლში ჩაიფლო.

თითქოს უჩვეულო არაფერი იყო. ოთხი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი მიჰყვებოდა საქართველოს სამხედრო გზას. იყო გაზაფხულის ბოლო დღე. გაღვიძებული ნაკადულები ხმაურით ეშვებოდნენ მთათა ფერდობებიდან, და ყველგან, სადაც გაიხედავდი, თოვლი სითბოში შემოტანილ მზირა-

* იგულისხმება მ. სუჯაშვილი.

ბაჯივით ლღვებოდა. ძაგრაძ ეს თოვლი, კუკუძალობანას თამაშით გართული ენძელები, ღუღუნა ნაკადულები, უბოლაო და ულურჯესი ცა მწვერვალთა ზემოთ, მხოლოდ ფონი იყო ჩვენი მოგზაურობისა. ისინი დეკორაციას გავდნენ, უხსოვარი ხნის წინათ დადგმულთ, ყოველ გაზაფხულს, თითქოს სეზონის გახსნის წინ, რომ აახლებს ბუნება. იქნებ სწორედ ამის გამო ილტვიან აქეთ? ველური ყიჟინით, იარაღის ჩხარუნით, ცხენების თქარათქურითა და ზარბაზნების გუგუნით ჩაიარეს საუკუნეებმა. მათ ბუნდოვან სივრცეში ძლივს იჭოლვება სახელები: ტრაპეზუნდი, ელიზავეტპოლი, ტმუტარაკანი, ძურძუკები, ალანები, სკვითები, თათრები... უფრო იქით — რომაელნი. აირჩიე ნებისმიერი ჟამი: რბევა, მახვილი, ცეცხლი! ნუთუ კაცობრიობა იმისთვის გაჩნდა, რომ თავისი არსებობის გამართლება თავისივე განადგურებაში ეძება? უსასრულო ომები... უსასრულო ქადილი და ერთმანეთის წაქეზება! პირდაპირ გაოცებს: ნუთუ ადამიანის საშოში ჩაისახა ამდენი შაჰ-აბასი, აღა-მაჰმად-ხანი და თემურ-ლენგი. თითქოს ყველა ბობოქარმა და ტანჯულმა სულმა კავკასიის ამ ვიწრო დერეფანთან მოიყარა თავი. ან სად არის ახლა კლდის თავზე საიმედოდ გამაგრებული ციხე კუმანია, ამ დერეფანში შესასვლელ კარს რომ იცავდა? ან რად უნდა გამხდარიყო იგი ბიზანტიისა და სპარსეთის გაუთავებელი ომების ნაძალადევი მოწმე? არ ეყოფოდა თავისი საფიქრალი? არ ეყოფოდა მომთაბარე ტომების საბრძოლო „ურაკ?“ მირვან მეფიდან (162—112 წ. ქ. შ.) მოყოლებული სა-

ქართველოს უკანასკნელ მეფემდე ერი გამუდმებულ მოლოდინში იყო. ცალ ხელში ხმალი ეჭირა, ცალში—გუთანი... დანგრეულია დავით აღმაშენებლის ციხე-სიმაგრეცა და საგუშაგოებიც... ვითომ, გზის მშენებლობას შეეწირნენ? ვითომ თერგის მარჯვენა ნაპირას მიმოყრილი ნანგრევები, ძლიერი მტრის გადანათელს არა ჰგავს?

მხოლოდ მცირე ხნით ჩაიკეტა დერეფანი. ესეც მონღოლების თარეშის გამო. მაგრამ დარიალის ძარღვი მაინც ფეთქავდა. იგი მთიელთა ლოკალური ტრაგედიების ასპარეზია. თუშნი, ქისტები, მოხევეები, ხევსურნი, ლეკები... თითქოს ახალი დრო დადგა მათთვის. მაგრამ საერთო განწყობილება (ომები?) და დროის დაუდგრომელი ტრაგიკული მოძრაობა კვლავ გრძელდება. იძალა სიკვდილის კულტმა. ხალხი ხოტბას ასხამდა ადამიანთა სისხლით გადამთვრალ „ვაჟკაცებს". ბთა ჩაიკეტა თავის კერპებთან, ადათებთან, საზრუნავთან, პირველყოფილ ემოციებთან... ისტორიას არ სცალია მისთვის. იქნება ეგეც ბედისწერაა? და აი, მაშინ, როცა დარიალში მძიმე ჩექმების ბრახუნით ჩაივლის ხიშტიანი თოფებითა და ზარბაზნებით შეიარაღებული ჯარი, მთა, თითქოს ჭუპრიდან, გამოჰყოფს თავს... მთავრდება უაზრო სისხლიანი სპექტაკლი. საქართველოსაკენ მომავალი რუსეთის ჯარი სრული ბატონ-პატრონი ხდება დარიალის ხეობისა. შეტორტმანდა მთის მოჩვენებითი მყუდროება. დარიალი საქართველოს სამხედრო გზად გამოცხადდა. დაიწყო მისი გაფართოება, ხიდების მშენებლობა... შეიქმნა საგანგებო რაზმი, რომე-

ლიც თვალყურს ადევნებს ზვავებს.

ეჰეი! ეს რა ხმაური ისმის იქ, თერგისა და სუნ-ჟის შესაყართან?

ისევ ჯარი!

ისევ დაფდაფები და საყვირები!

გაპრიალებული ხიშტები.

გრენადერები.

ზარბაზნები.

ცხენები.

საბრძოლო მარშისათვის ყველაფერი მზადაა.

ჯარების სარდლის აღგზნებული სიტყვა.

როგორ?

დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი?

საქართველოს სახელით!..

ნეტავ, ეძინა თუ არა იმ ღამეს გარსევან ჭავ-ჭავაძეს, როცა იოანე მუხრანბატონთან ერთად გეორგიევსკში ჩავიდა? ან რაზე ფიქრობდა იგი, როცა კავკასიის ბაზის რუსთა სარდლის შტაბ-ბინისაკენ მიეშურებოდა?

აგერ ორასი წელიწადია ჩვენი ხალხი სულ უფრო ხშირად იხედება იმ ისტორიული თარიღისაკენ. ჩვენც გავიხსენოთ: ოცდაოთხი ივლისი. 1783 წელი. გეორგიევსკის ციხესიმაგრე. ცხელა. ციხესიმაგრეში მიღება დიპლომატიური ეტიკეტის სრული დაცვით ხდება. ბოლომდე შესკვნილი მუნდირები, ოქროსფერი ეპოლეტები, გვერდზე მოგდე-

ბული ფრენჩები, საბრძოლო დაშნების ბრჭყვიალი.

დგება საზეიმო წუთი. ღელავენ საქართველოს წარმომადგენლები. გენერალი პავლე პოტიომკინი მშვიდად გამოიყურება. მხარეებმა შესანიშნავად იციან ცამეტი ძირითადი და ოთხი სეპარატიული მუხლისაგან შედგენილი ტრაქტატის ტექსტი. თითოეული სიტყვა საგულდაგულოდ აწონილია.

მაგრამ მაინც კითხულობენ ძირითად ტექსტს. ხელს აწერენ — რუსეთის სახელით: თავადი პავლე პოტიომკინი, საქართველოს სახელით: თავადი იოანე ბაგრატიონი (მუხრანბატონი), თავადი გარსევან ჭავჭავაძე — საგანგებო ელჩი და საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრი რუსეთის სამეფო კარზე.

ასრულდა დიდი ხნის ოცნება?

გარეთ, ციხესიმაგრის ფართო მოედანზე დაიგუგუნეს ზარბაზნებმა. ამას ვაშა მოჰყვა. შემოაგორეს ღვინით სავსე კასრები. პატარა გეორგიევსკის ისტორიამ უმნიშვნელოვანესი როლი დააკისრა.

მე წარმოვიდგინე: ვდგავარ გეორგიევსკის ციხის გალავანთან. ვხედავ, როგორ ეშვებიან ქვის კიბეებზე ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები. სახეზე ნეტარების შუქჩრდილი ადგათ.

რა არის ეს?

გრძნობა შესრულებული მოვალეობისა?

ისინი დგანან ჩემს გვერდით. გაჰყურებენ ამ საზეიმო წუთისათვის გამოფენილ ჯარისკაცებს.

ისინი ხელის აწევით მიესალმებიან შეკრებილთ. ისევ ისმის გამაყრუებელი „ვაშა“.

აღესრულა?

გასრულდა საქართველოს დარდი?

პავლე პოტიომკინს თეთრი ეტრატი უჭირავს.

ის არის?

ათასი ცნობისმოყვარე თვალი მიეყინა ეტრატს. იგი დაწერილია ლამაზი ხელით. საგანგებო ზოხრით აკინძულ-მოჩითული. იქნებ იქ ბაფთებიცაა? ალბათ. პავლე პოტიომკინს კი ხელში საოცარი სინაზით უჭირავს თეთრი ეტრატი. „მე ვარ მოქმედი“, — იტყვის სოლომონ ლიონიძე ამ ეტრატის გამო რამდენიმე წლის შემდეგ. და ჩვენამდე მოაღწევს საბუთი: საქართველოს მთავარმართებელ კნორინგს. სოლომონ ლიონიძე: „მე უმაღლესის კარის სიკუდილამდე ჩემის შეძლებით ერთგული მონა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები. პირველად საქართველოს ტრაქტატის რუსეთთან შეერთებაში მე ვიყავ მოქმედი, და ამის გარდა, საქართველოსა და სრულიად იმერეთის შავ ზღვამდე .მე გავაკეთე ტრაქტატი და საქართველოსა და იმერეთის მეფეთა, თავადთა და კათალიკოზ მღვდელმთავართაგან დაიბეჭდა და ხელმოწერილ იქნა ჩემის მოქმედებით, რომლითაც რუსეთის იმპერია გავრცელდება და ისარგებლებს...“

...იმ დღეს გეორგიევსკში მრავალი სადღეგრძელო შეისვა. არავის გახსენებია ერეკლე მეფის ვიცე-კანცლერი — ბრძენი სოლომონ ლიონიძე, რომელიც ტრაქტატის შედგენისას იყურებოდა შორს, ძალიან შორს, საუკუნეთა იქით...

...მთავრდება ოფიციალური ნაწილი. დაიდო დიდი ხნის საოცნებო „მეგობრობის პირობა“. მაგრამ ეს „პირობა“ ძალაში სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ შევა მხოლოდ. ამას ისევ დრო სჭირდება. 1784 წლის 22 იანვარს ერეკლე მეორეს წარმოუდგინეს სრულიად რუსეთის იმპერატრიცას სარატიფიკაციო სიგელი. ხოლო ორი დღის შემდეგ ერეკლეს ხელმოწერილი სიგელით რუსეთის წარმომადგენელმა ვასილ ტამარამ მეფის სასახლე დატოვა. მან უკვე იცოდა — ერეკლე — მთელ აღმოსავლეთსა და ევროპაში სახელგანთქმული მეფე აღიარებდა ეკატერინე მეორის მფარველობას. ამის სანაცვლოდ რუსეთის მთავრობამ ივალდებულა დაეცვა ერეკლესა და მისი მემკვიდრეების უფლებანი, აღედგინა საქართველოს ადრინდელი საზღვრები... საქართველოს სამხედრო გზით ჩაიარა თავად ვასილ ტამარას ამალამ. ლარსთან გაქაფული ცხენები გამოცვალეს, საგუშაგოს ხალვათ სადგომში ცეცხლი გიზგიზებდა. თოვლსა და ქარისაგან გათოშილი მხლებლები მაშინვე შემოიკრიბნენ ცეცხლის გარშემო. ტამარამ არაყი ისურვა. წინ გრძელი გზა იდო. გზა ყიზლარზე, ასტრახანზე. რუსეთის უკიდეგანო ტრამალებზე... ღირს კი ამდენ წვალებად ის მისია, მას რომ დაეკისრა? იგი დიდი პატივით გამოაცილეს ერეკლეს სასახლიდან. რუსთა წარგზავნილი უკვირდებოდა მასპინძელთა სახეებს, მათ ლაპარაკს. მიხრა-მოხრას... იმედი! — აი, რა ამოიკითხა მან მათ გამოხედვაში, ფიქრიან ღიმილში, ხელის ნაზ მოჭერაში... არა, ქართველთა მეფე მარტო

თავის უფლებათა შენარჩუნებაზე როდი ფიქრობდა. ეს იყო მერმისზე ქართველთა ხსნასა და გადარჩენაზე ფიქრი. ოღონდ ამისთვის: იზღუდებოდა ერეკლე მეორის პირადი ინიციატივა საგარეო პოლიტიკის საკითხებში. მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერატორთან შეთანხმებით! — იუწყებოდა მეორე მუხლი, მაგრამ თავის მხრივ რუსეთი არ ერეოდა ქართლ-კახეთის შინაურ საქმეებში. რუს სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენელთა განკარგულებებს არავითარი ძალა არ ჰქონდა ქართველთა მეფის დასტურის გარეშე. მაგრამ საქართველოს მომავალი მეფე — ტახტზე ასვლისას მხოლოდ რუსეთის იმპერატორისაგან მიიღებდა კურთხევას: სამეფო ნიშნებს—გვირგვინს, სიგელს, დროშას რუსეთის საიმპერიო გერბით (რომელშიაც ქართლ-კახეთის გერბიც იქნებოდა მოთავსებული), სამეფო ხმალს, კვერთხსა და მანტიას. ტახტზე ასვლის ცერემონიალიც გათვალისწინებული იყო: რუსეთის მინისტრ-რეზიდენტის თანდასწრებით ქართლ-კახეთის მეფე იმპერატორის ერთგულების ფიცს სდებდა...

ვასილ ტამარა ცეცხლის გარშემო შეყუჟულ მხლებელთა მუსაიფს უსმენდა. ცეცხლი ნელა ტკაცუნობდა. კედლებზე უცნაური ლანდები თამაშობდნენ. თავადი ფიქრმა გაიტაცა: უკვე მერამდენე წელიწადია იმპერატრიცას კარზე ქართველთა რჩეულ პიროვნებებს ხედავს. ესმის „ქართველთა ასეულებისა“ და „ქართველ ჰუსართა პოლკის“ საგმირო საქმენი.

მერე რუსეთ-თურქეთის ომი...

რუსეთ-პრუსიის ომი... მრავალჟა ქართველჟა მეომარმა ისახელა თავი, მრავალი — გმირის სახელით მიაბარეს მიწას... პოლკოვნიკი ტამარა პირადად იცნობს საქართველოს წარგზავნილთ, მეგობრობს მათთან, იცის მათი საზრუნავ-საფიქრალი, ტკივილი...

ტკივილი... ნუთუ მისი განკურნება შეუძლია იმ საგულდაგულოდ მოხატულ ხელნაწერს, რომელიც ტამარას პეტერბურგისაკენ მიაქვს?

●

დეკემბერ დარიალის წინ. იხედები ზევით.

მაგრამ აუწვდენ კი მზერას თეალშეუდგამ კლდეებს?

ეს საოცარი კანოე გატყვევებს თავისი ლიცლიცა ფერებით.

არა, მზე ვერ აღწევს აქამდე. რა თქმა უნდა, ვერ აღწევს. ნაგრამ წვიმის შემდეგ გაჩენილი ნაკადულები სააღლუმო გირლიანდებივით ჰკიდია კლდის გამოშვერილ წახნაგებს. რა ხდება იქ, წამახული კლდეებისა და ცის შესაყარზე? რა ახურავს თავზე ხეობას? მოქუფრული, მრუმე ცა, თუ ღრუბლის ნაფლეთი? იქნებ ეს არწივი გადაფარვია ვეება ფრთებით? ქარი. ქარი ღმუილით გარბის ლოდებს შორის და ისუსხება. ლოდებს თეთრი ბუსუსები აყრის მისი სუნთქვისაგან. თითქოს გესმის, როგორ უახლოვდება დარიალს ცხენოსანთა ამალა. წინ ალბათ მზვერავნი მოდიან. თავით-ფეხებამდე იარაღში ჩასხმულთ, ეტყობა, შორი გზა გამოუვლიათ — ცხენები ბორძიკობენ. ყო-

ველ წამს ისმის გაფრთხილების შეძახილი. კლდეთა უბეებსა და წვეროკინებზე შიში ჩასაფრებულა. შიშს დიდი თვალები აქვს—არც ერთი წვრილმანი არ გამოეპარება. იგი ითვლის: ერთი, ორი, სამი.. ცხენები, მხედრები; ფორნები; ზარბაზნები... „რუსის ჯარი მოდის?!“

ხევში ელვის სისწრაფით დაირხა უცხო სახელი: ტოტლებენი!

ვინ მოიწვია იგი?

ვიდრე ტოტლებენის კორპუსი სტეფანწმინდას გაივლის და კობს მიაღწევს, ჩვენ პატარა ექსკურსი გავაკეთოთ... მითუმეტეს, რომ ტოტლებენს კობთან ერეკლე მეორე დახვდება დიდი ამალით. ჩვენი წიაღსვლაც სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული.

ჯერ კიდევ 1752 წელი იდგა, როცა ერეკლესა და თეიმურაზის ერთობლივი გადაწყვეტილებით რუსეთს ელჩები გაიგზავნა. ისტორიამ შემოგვინახა მათი სახელები. თბილისის მიტროპოლიტი ათანასე ამილახორისშვილი და თავადი სიმონ მაყაშვილი. მისია: სამხედრო დახმარება და ფულადი სესხი! ისინი სწორედ ამ გზით გაემართნენ პეტერბურგისაკენ. მაგრამ ტოტლებენის კორპუსის გამოჩენა დარიალის ხეობაში მათი დამსახურება არ გახლდათ. რუსეთის სამეფო კარზე ძალზე გულთბილად მიიღეს ქართველ მეფეთა წარგზავნილები.

როცა მათი სტუმრობის ძირითადი მიზეზი მოიკითხეს, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდნენ.

— ო, ახლა ფრიად დაძაბული ვითარებაა, — თქვეს ეროხმად.

— ჩვენ ხომ თურქეთთან ზავი გვაქვს?! — წამოიძახა იმპერატრიცამ.

— კავკასიის საკითხით დაინტერესება, ძველ იარას აშლის, — დაასკვნა კანცლერმა.

— ხომ არ შეუძლიათ ქართლისა და კახეთის მეფეებს ეს თხოვნა სამერმისოდ გადადონ? — თქვა გრაფმა პანინმა.

— მე მგონი, აჯობებს, — დაასკვნა იმპერატრიცამ.

აუდიენცია ამით დამთავრდა. სტუმრებს საკადრისად გაუმასპინძლდნენ. მიტროპოლიტი რუსეთში დარჩა.

სიმონ მაყაშვილი უკან დაბრუნდა.

გავიდა რვა წელი.

საქართველოს მეფენი გულს არ იტეხდნენ — სწამდათ, რომ რუსეთი ბოლოს და ბოლოს გაუწვდიდა დახმარების ხელს. და აი 1760 წლის აპრილს თვით თეიმურაზი გაემგზავრა რუსეთს. ჩქარობდა იგი. ყოველი დაგვიანებული დღე საქართველოს საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. როგორც იქნა, დადგა შესაფერისი ჟამი. შეუძლებელია რუსეთმა არ გამოიყენოს ასეთი ბრწყინვალე ვითარება: ირანში არეულობაა. ქართველთ თავისუფლად ძალუძთ ირანის მართვის სადავეთა ხელში ჩაგდება. ოღონდ ამისთვის გარკვეული სახსარი და ჯარია საჭირო. საქართველოს არც ერთი გააჩნია და არც — მეორე. მაგრამ თეიმურაზი იმედოვნებს,

რომ რუსეთი სწორ დასკვნას გაუკეთებს მის თხოვნას.

ამაოდ დაშვრა. ამაოდ განვლო ათასობით ვერსი!

რუსეთის სამეფო კარი სულ სხვა პრობლემებით იყო დაკავებული და, ცხადია, თეიმურაზის თხოვნაც დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა... მას ტაქტიანად მიანიშნეს, რომ საქართველოს საკითხი ამჯერადაც არ იდგა გადასაჭრელ პრობლემათა შორის...

მაშ რა ჰქნას? შესაფერის დროს დაელოდოს?

— როგორც გენებოთ, — ეუბნებიან მას გულწრფელად. — ჩვენი კარი მუდამ ღიაა თქვენისთანა სასურველი სტუმრებისათვის. მითუმეტს, რომ ივერიელთ დიდ პატივს სცემენ ჩვენს სამეფო კარზე...

ეჰ, თეიმურაზმა კარგად იცის, რაც იქნება ივერიელთათვის ყველაზე უმაღლესი პატივისცემა! მაგრამ რა ჰქნას. ჭაში ჩავარდნილი კაცის მსგავსად, უნდა ელოდოს... ამ შემთხვევაში სხვა გამოსავალს ვერა ხედავს...

და თეიმურაზი რჩება პეტერბურგს.

ღამღამობით მას სევდა აწუხებს. სევდის ჭია გულშიც პოულობს ბზარს, შიგ იდებს ბინას და ნელ-ნელა ღრნის. თეიმურაზს მეფური პატივით ეპყრობიან, — მაგრამ მისი საფიქრალ-საზრუნავი მხოლოდ საქართველოა.

საქართველო... ამ ოცნებით კვდება იგი 1762 წელს პეტერბურგში.

●

დარიალის ხეობაში კი ისევ ისმის ცხენების ფლოქვების ხმა, მძიმედ დატვირთული ფორსების ჭრიალი. ვინ მოიწვია ისინი? ვისი განკარგულებით შესდგომიან ჯვრის უღელტეხილისაკენ მიმავალ კლაკნილ გზას? ჩავიხედოთ დავთარში. რომელი წელია? 1769. რა შეიცვალა ამ შვიდი წლის განმავლობაში? ნუთუ ამაოდ დამშვრალან ქართველი მამულიშვილები? ნუთუ გაჭრა ბალიმა წადიერებამ?

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. აი, მაშინ კი ყველას ერთბაშად გაახსენდა საქართველო. მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ, რას ფიქრობდნენ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე და იმერეთის მეფე სოლომონი? როგორც ყოველთვის, ისინი, მზად არიან მხარი დაუჭირონ რუსეთსა და მონაწილეობა მიიღონ ომში, მათი ინტერესების სფერო არ არის ძნელად ამოსაცნობი: გამარჯვებული რუსეთი უსათუოდ დააბრუნებდა ოსმალებისაგან მიტაცებულ ტერიტორიებს. კახეთს ჭარ-ბელაქანს შეუერთებდა და ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთავდა ლეკების თარეშს.

ეს უკანასკნელი საქართველოს საუკუნეობით ნალოლიავები ოცნება გახლდათ.

„ლეკების საკითხის“ მოგვარება თითქმის ყველა მეფის ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა. მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ.

რამდენიმე ფაქტი მოვიშველიოთ:

1706 წელი. ლეკები აოხრებენ კახეთს, იტაცებენ აღმოსავლეთ ნაწილს, რის გამოც ამ მხარის

განმგებელი დავითი იძულებულია თავისი სამყოფელი ყარაღაჯიდან თელავში გადაიტანოს.

მერე და მერე კიდევ უფრო მატულობს ლეკთა თავგასულობა. ამას შინაურული ქიშპობაც უწყობს ხელს და ლეკებს ქართლისაკენ ეხსნებათ გზა...

1720 წლის გაზაფხული. ჭარ-ბელაქანში იგზავნება ქართლის სამეფოს მოწინავე სადროშოს — საბარათიანოს ლაშქარი. დავით II ვერ ბედავს ჭარ-ბელაქანზე იერიშის მიტანას. სამი თვის ალყამ უშედეგოდ ჩაიარა.

1721 წელი. ვახტანგ VI-ის ლაშქარი ფეხდაფეხ მისდევს ლეკთა დიდ ლაშქარს. ზეგამი, შამქორი, ბარდა, ჭარი — აი, ადგილები, სადაც მტერმა სასტიკი მარცხი იგემა და ჭარბ-ბელაქანს გაიხიზნა. უკან დახევაზე ქართველთაგან აღარავინ ფიქრობდა. ბოლოს და ბოლოს, უნდა მოშლილიყო აბეზარ ბზიკთა ის საყუდარი. ვახტანგი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა და სწორედ შაშინ ირანში შაჰმა საგანგებო თათბირზე დაადგინა: **„თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანაც ის დაიჭერსო“**, — და სასწრაფოდ ბრძანა ამ ლაშქრობის ჩაშლა.

არ იყო ეს ვერაგული ფანდი?

არ აწუხებდა ვითომ რუსეთს ამგვარი პოლიტიკა?

აწუხებდა და მერე როგორ! მარტო 1727 წლის 7 აგვისტოს დაუდ-ბეგისა და სურხაი-ხანის თავდასხმით შემახაში მყოფი რუსი ვაჭრების ზარალმა 500 000 მანეთი შეადგინა. ეს მარტო ერთ დღეს!

თვით შაჰსაც ძვირად დაუჯდა ლეკთა „მფარველობა“. შირვანი სინამდვილეში მთლიანად მათ ხელში აღმოჩნდა. ამან, ცხადია, ძალზე შეაშფოთა ირანის მბრძანებელი. ისევ შეცვალა ადრე მიღებული გადაწყვეტილება. ვახტანგი აზერბაიჯანის სარდლად დანიშნა, გაუგზავნა „თაჯი და ჯიღა, ხრმალი და ხანჯალი მოოქვილნი და სპასალარობა „ადრიბეჟანისა, რათა დაიპყრას შირვანი, რამეთუ აქუნდა ლეკთა დაპყრობილი“.

სწორედ ამ დროს...

კასპიისპირა პროვინციებში ასტრახანიდან დარუბანდისაკენ დაიძრა რუსთა ლაშქარი თვით პეტრე პირველის მეთაურობით. მაგრამ ამის შესახებ ცოტათი ქვემოთ...

მანამდე კი გავხედოთ საქართველოს სამხედრო გზას, დარიალიდან გამოსულ ლაშქარს და იმ სარდალს, რომელიც თავდაჯერებული ზის ათბასარულ ბედაურზე და ამაყად იყურება შორს.

მისი გვარია ტოტლებენი.

რამ განაპირობა ტოტლებენის გამოჩენა საქართველოს სამხედრო გზაზე?

ამას ცოტა შორეული ექსკურსი სჭირდება.

ავსტრია. იმპერატორის სასახლე. მისი უდიდებულესობა იოსებ მეორე სტუმრების მისაღებად ემზადება. თითქმის მთელი თვეა ევროპის „ბრწყინვალე“ წრეებში, საგანგებო საუბრის საგანია გრაფ და გრაფინია ნორდების მოგზაურობა.

ამ ცხოველ ინტერესს კიდევ უფრო ამძაფრებს თანაგრძნობის მოტივი: აჰ, საბრალო დევნილნი!

ევროპამ კარგად იცის, რატომაც აკეთებს ამას.

გრაფი ნორდი (ჩრდილოეთელი) რუსეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწული პავლე გახლავთ, გრაფინია კი მისი მეუღლე — პრინცესა ვიურტემბერგელი მარია თედორეს ასული!

იოსებ მეორე თავისი ელჩის ლობკოვიცის მიერ ინფორმირებულია: „პავლე თავისი ხალხის კერპია“. ამიტომ იოსებ მეორე საგულდაგულოდ განიხილავს საპატრო სტუმრებისათვის საჩვენებელ სპექტაკლთა ნუსხას, სასაზლის თეატრის ერთერთი წამყვანი აქტიორი დაჟინებით ითხოვს წარმოადგინონ „ჰამლეტი“.

— რატომ მაინცდამაინც „ჰამლეტი?“ — უკვირს იმპერატორს.

— თუ ჩვენს გაზეთებს დავუჯერებთ, მაშინ დარბაზში ორი ჰამლეტი გვეყოლება, ერთი ჩვენი და ერთი — ჩრდილოეთელი!

იმპერატორის სახეს ნეტარების შუქ-ჩრდილი ადგას. ერთხანს გაყუჩებული ზის. მერე კი — ბედნიერი და უშესანიშნავესი იდეის ავტორს ორმოცდაათი დუკატით აჯილდოვებს.

ვითომ გავდა პავლეს ბელი შექსპირისეულ პრინცისას?

ამის თაობაზე ათასნაირი ვერსია არსებობს. მაგრამ თვით უფლისწულს იმდენად ენიშნა ლიტერატურული გმირის ვნებანი, იგი თავისდაუნებურად „მოერგო“ ამ სახეს და ერთხელ... ერთხელ მეგობრებს დაწვრილებით უამბო „წინაპრის აჩრ-

დილთან“ შეხვედრის ამბავი. ოღონდ ეს წინაპარი მაგა კი არა — პაპისპაპა — პეტრე პირველი გახლდათ! „ჩემო პავლე! ჩემო საბრალო უფლისწულო!“ აღმოხდენია თურმე პეტრე პირველს. ხომ მრავლისმთქმელია ეს დეტალი?

იქნებ ეს დეტალი სწორედ ის ჯადოსნური გასაღები გახლავთ, იმდროინდელი რუსეთის სასახლის კულუარებისაკენ მიმავალ კარს რომ აღებს? ჟამთააღმწერელი გვამცნობს: 1762 წლის 28 ივნისს რუსეთის ტახტს ანგალტიელი პრინცესა დაეპატრონაო. ხომ არ არის აქ საჩოთირო სიტყვა „დაეპატრონა?“ მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ტახტის ახალმა განმგებელმა ეკატერინე მეორეს სახელით მოირგო რომანოვების გვირგვინი და როცა ტახტზე ჯდებოდა, თავი დაუბრუვდა. ეს არ გახლდათ სიხარულით გამოწვეული ბრუალი. უბრალოდ, მან იგრძნო, როგორ გაქანდა ტახტი და შიშმა გაკენწლა. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ტახტის საყრდენები სისხლის გუბეში იდგა...

საფრანგეთის ელჩი ბერანჟე შენიშნავს: წარმომიდგენია, რა სურათს დაინახავს ხალხი, როცა საგულდაგულოდ ჩაუკვირდება, თუ როგორ ჩამოაგდეს ტახტიდან და მერე როგორ მოაკვდინეს პეტრე პირველის შვილიშვილი, ხოლო მეფე იოანეს შვილიშვილს ხუნდებით ხდიან სულს... ანგალტიელი პრინცესა მათი კუთვნილი გვირგვინით იწონებს თავს და საკუთარი ხელმწიფობა ხელმწიფის სიკვდილით დაუწყია...

ეკატერინეს დიდი ძალა აქვს, მაგრამ ეს ძალა ჯერჯერობით თავისი ვაჟის, მომავალი პავლე პირ-

ველის სახელთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც. როცა 1762 წლის სამეფო კარზე მორიგი შეთქმულება მზადდებოდა, ეკატერინე თავის მომხრეებს შვილის სახელით მოუწოდებდა „სამართლიანობისაკენ“. ეს იყო ოსტატურად აღმართული შილითა, ნაღდ განზრახვას რომ ფარავდა, გვერდიდან კი ისე ჩანდა, თითქოს დედა ზრუნავდა შვილზე! თითქოს რეგენტის ადგილს იძულებით იჭერს პავლეს სრულწლოვანობამდე. იგი დედაა და ღირსეული მემკვიდრის აღზევებაზე ფიქრობს! პირველ რიგში მას პავლეს აღმზრდელი — დიდი პოლიტიკური მოღვაწე და შორსმჭვრეტელი ნიკიტა პანინი უნდა გადაებირებინა.

მოკლე განმარტება: პანინი, სამეფო კარის ეს მართლაც „ნათელი გონება“, პასუხს აგებს არა მარტო მომავალი ხელმწიფის აღზრდაზე, არამედ იგი იცავს ყმაწვილი უფლისწულის ინტერესებსაც. მისი სახელით მიიკვლევს გზას სამეფო კარის მზაკვრულ ხლართებში. იგი ოცნებობს რუსეთის პოლიტიკური სისტემის გაუმჯობესებაზე... მაგრამ მისი გეგმები კიდევ უფრო ღრმად მიდიან და ამ გეგმების მწვერვალზე მხოლოდ ერთი სახელი ბრწყინავს. მომავალი მონარქი, პავლე პირველი! ამ მორიგებისა და გადაბირების სანაცვლოდ პანინი ეკატერინეს სთავაზობს თვითმპყრობელობის ძალაუფლების შეზღუდვას და ე. წ. არისტოკრატიულ კონსტიტუციას (შვედურ ყაიდაზე). ეკატერინე თანახმაა. მაგრამ ჩქარა ავიწყდება თავისი დანაპირები, ავიწყდება მემკვიდრის უფლებანიც, და სასტიკად ახშობს მისი „დროებითი ხელისუფ-

ლებიანობის“ ყოველგვარ მინიშნებას. მან იცის, რომ ვაჟიშვილს მის წინააღმდეგ ზრდიან... და აი, მაშინ... საშინელი ჭორი აფართხალდა სასახლის დარბაზებში. ტახტის მომავალი სრულუფლებიანი მემკვიდრე პავლე, თურმე არ ყოფილა პეტრე მესამეს შვილი. მაშ, ვინ იყო მამა? ნუ იტყვით, გრაფი სალტიკოვი... რა გასაოცარი ძალა ჰქონია თურმე ჭორს! იგი მაშინვე აიტაცეს, ათბუნეს და კიდევ უფრო განავრცეს: არც ეკატერინე? არც ეკატერინე ყოფილა დიდი მთავრის დედა? ეკატერინეს მკვდარი შვილის სანაცვლოდ მიუყვანეს თურმე ძუძუთა ბალღი?..

ო, ეს ტახტი!

ო, ეს ლტოლვა ძალაუფლებისაკენ!

„საბრალო უფლისწული“ მოთმინებით იტანდა მის გარშემო დაგებულ ინტრიგებს.

მაგრამ ყველაზე დამამცირებელი, ყველაზე უსაშინელესი ის გახლდათ, რომ ეს ინტრიგები, ეს ჭორები თვით ეკატერინე მეორეს ბუდუარიდან მოდიოდა!

მაგრამ ყმაწვილ მემკვიდრეს რა განაცვიფრებდა! რვა წლის ასაკში იგი მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ განარიდა ტახტს დედამისმა მამამისი — პეტრე მესამე. ხოლო შემდეგ სიცოცხლესაც გამოასალმა. არსებობს საბუთი. ალექსეი ორლოვი წერს: „Матушка наша Всероссийская... урод наш очень занемог и как бы сегодня не умер“...

მაგრამ მისი სიკვდილის ვითარება გამოუცნობი დარჩა... „ჰემაროიდული ანთებით“ გარდაც-

ვლილი პეტრე მესამის პიროვნებამ დასაბამი მისცა ცრუ-პეტრე მესამის გაჩენას. შორიდან, ძალზე შორიდან აღწევს სასახლემდე რუსეთის გუგუნი: ეს კამჩატკის გლეხობა აჯანყდა ვინმე ბენიოვსკის მეთაურობით. ისინი მოქმედებენ პავლე პეტრეს ძის სახელით... ხომ არ არის ცრუ-პეტრეს აჩრდილი? ხოლო ემელიანე პუგაჩოვი? განა იგი არ წარუდგა ხალხს, როგორც პეტრე მესამე? წარუდგა. ხოლო თუ პუგაჩოვი პეტრე მესამეა, მაშ ვინ ყოფილა პავლე?..

იგი ისევ იტანს დამცირებას. იტანს იმასაც, რომ მოულოდნელად ფრიად შეუცნობი ავადმყოფობით უკვდება ულამაზესი და ყმაწვილი ცოლი — ნატალია ალექსის ასული გასენი. ხმა დაირხა, გრაფინიას სიკვდილში ეკატერინე მეორის ხელი ურევიაო. ეკატერინე სასწრაფოდ იწვევს ცამეტ ექიმ-ექსპერტს, რათა მოიკვლიონ რძლის უცნაური (იდაყვზე წითელი ლაქა გაუჩნდა) გარდაცვალება. ტახტის მემკვიდრე დგება ფრიად უსასტიკესი სიმართლის წინაშე: მისი ლამაზი, მაგრამ აწ განსვენებული მეუღლე თურმე ინტიმურ კავშირში ყოფილა უახლოეს და გულითად მეგობართან ანდრია რაზუმოვსკისთან. ნატალია მეფურად მიაბარეს მიწას. რაზუმოვსკი—უკრაინაში გაასახლეს. ჭაღარა კანცლერის — ნიკიტა პანინის ამარა დარჩენილ ვაჟს „მხსნელად“ ისევ დედა გამოეცხადა. იგი მაშინვე დააქორწინეს. მისი საკადრისი „პარტია“ ამჯერად პრინცესა ვიურტემბერგისა მარია თევდორეს ასული იყო. პრინცესა მარია სასახლეში მოსვლისთანავე (ნატალია

ალექსის ასულის მსგავსად) ეკატერინეს მოწინააღ-
მდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. 1777 წელს გაჩნდა
პავლეს პირველი მემკვიდრე—ალექსანდრე. შემ-
დგომში ალექსანდრე პირველად რომ მოევლინა
რუსეთს. კიდევ ორი წლის შემდეგ გაჩნდა კონს-
ტანტინე. იმპერატრიცამ ორივე შვილიშვილის
აღზრდა ინება. ეს ისევ ძალისმიერი პოლიტიკის
ერთგვარი გაგრძელებაც იყო. 1762 წლის სახელ-
მწიფო გადატრიალებამ ისევ იჩინა თავი: ალექსან-
დრესა და კონსტანტინეს „ჩამორთმევა“ — მოსა-
ლოდნელი ღიდი გადატრიალების პრელუდია
გახლდათ. იმპერატრიცა თავისი რწმუნებების გა-
დაცემას პავლეს გვერდის ავლით, ალექსანდრე-
სათვის აპირებდა.

ეს განზრახვა კიდევ უფრო გამოიკვეთა ხუთი
წლის შემდეგ... როცა სრულიად რუსეთის იმპე-
რატრიცამ უფლისწულ ალექსის საბუთები მოითხ-
ოვა... შეცბა სასახლე... კიდევ ერთხელ შექანდა
რომანოვთა ტახტი. ეკატერინე მეორე პეტრე
პირველის ავტორიტეტს იშველიებს ტახტის მემ-
კვიდრეობის თაობაზე!

ეკატერინე მეორე: უუგონიერეს ხელმწიფეს
პეტრე პირველს, ეჭვსგარეშეა, მრავალი ბიზეზი
ჰქონდა იმისა, რათა განეშორებინა თავისგან ყოვ-
ლად უმადური, შეუგნებელი და უნიჭო შვილი. ეს
უკანასკნელი განმსჭვალული იყო ბოროტების მი-
მართ ზიზღითა და მრისხანებით, იქედნური შუ-
რით, რომელიც მამისეულ საქმეთა სიკეთით სავ-
სე კალათში ბოროტების ნამცეცებს ეძებდა. ყურს
უგდებდა ფარისეველთ, გულს არ აკარებდა ჭეშ-

მარიტებას, და მხოლოდ იმითღა აამებდი, თუ მიწასთან გაასწორებდი მის სახელოვან მშობელს. თავად კი გახლდათ ზარმაცი, სულმდაბალი, ორპირა, მერყევი, მრისხანე, გაუბედავი, ლოთი, ჯიუტი და უზრდელი, ძალზე საშუალო გონების პატრონს არც ჯანმრთელობა უწყობდა ხელს...

ეკატერინესეული განაჩენი საბოლოო იყო. ტახტის კანონიერ მემკვიდრეს შემთხვევით არ გაახსენეს უფლისწულ ალექსის საქმე. პავლე ბედს უნდა შერიგებოდა და თავისი უფროსი ვაჟისათვის — ალექსანდრესათვის დაეთმო გზა. ასეთი იყო დიდი იმპერატრიცას მზაკვრული ჩანაფიქრი. „ჩემო პავლე, ჩემო საბრალო უფლისწულო!“ — იგონებდნენ სასახლეში პავლეს შეხვედრას წინაპრის აჩრდილთან...

„ჩრდილოეთელი ჰამლეტი“ თავისი ლიტერატურული ორეულისაგან განსხვავებით გატჩინოში ცხოვრობდა და თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა სასახლის საქმიანობაში. იგი მხოლოდ ორმოცდაორი წლის ასაკში გაიგებს მამამისის „უცნაური“ გაუჩინარების ამბავს. ჯერ კი იგი ყმაწვილია და გატჩინას აგარაკზე დაბანაკებული საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯართან ერთად ემზადებოდა... მოსალოდნელი ლაშქრობისათვის. ცხოვრობდა მცველებითა და პიკეტებით გარშემორტყმული, ხოლო გუშაგნი გამუდმებით ადევნებდნენ თვალს ცარსკოე სელოსაკენ მიმავალ გზას. განსაკუთრებით ღამით იყვნენ ფხიზლად, ღამით, რათა მომზადებულნი დახვედროდნენ უხილავ მტერს. მტერი მართლაც რომ უხილავი იყო. და

ამიტომ: მისი გამოჩენა და გატჩინაში დაბანაკებული ჯარის დაძვრაც ერთი იქნებოდა. საით ეპირებოდა უფლისწული თავისი მხედრიონის წაყვანას? მას გზა ჰქონდა, მარშრუტიც, იქეთ, რუსეთის სიღრმისაკენ, ურალის სანახებში, სადაც ემელიანე პუგაჩოვი ჭიქას არ ასწევდა, რომ ცრემლმორეულს არ წარმოეთქვა მისი სახელი: „სალამი შენდა დიდო ხელმწიფევ და მემკვიდრევ! ოჰ, როგორ მეცოდები, პავლე პეტრეს ძევ! არ მინდა, რომ წყეულთა კერძი გახდე. თავად მე, ცხადია, ხელმწიფობას აღარ ვაპირებ (პუგაჩოვი პეტრე მესამეს როლშია!). მაგრამ დიდ უფლისწულს ნაღდად აღვადგენ თავის უფლებებში!“

ხოლო თვით პავლე? რას ფიქრობს იგი?

პრუსიის ელჩთან საუბარში აცხადებს:

— როგორ გითხრათ, ჩაფიქრდა ტახტის მაძიებელი, მე ჯერ კიდევ არ ვიცი, რამდენად მიჭერს მხარს ხალხი.

გრაფი კელერი შემოტეხილად უყურებს პავლეს.

— ნუ თავმდაბლობთ, თქვენო უბრწყინვალესობავ...

— აბა, რა ვიცი (ისევ ჩაფიქრდა უფლისწული), ახლა ისეთი დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობაა, ბევრი ცდილობს ამღვრეულ წყალში დაიჭიროს თევზი. ეს რა თქმა უნდა, ადმინისტრაციაში გამოწვეული არეულობის ბრალიცაა. ამ ადმინისტრაციის პრინციპები, როგორც ბევრისთვის ცნობილია, ოდნავადაც არ ემთხვევა ჩემსას.

მაშ, როგორ, თვით პავლეს ხელს აძლევდა

პუგაჩოვის „მამობა?“ ისევ და ისევ ტახტის ხელში ჩასაგდებად.

ეკატერინეს? ეკატერინესაც აძლევდა ხელს ასეთი ვერსია. მას ყოველ წუთს შეეძლო მიეხალა უფლისწულისათვის: „ხედავ, ვისი გორისა ხარ?“— და სრულიად რუსეთის ტახტისათვის ბრძოლა დამთავრებულად ჩაეთვალა.

მაგრამ ხალხმა შვა ახალი მესია: პავლე-მხსნელი!

აი, ვის უნდა გადაერჩინა რუსეთი!

ეს პავლე-მხსნელი იმდენად ხელსაყრელი პიროვნება აღმოჩნდა, რომ მის ქურქს ადვილად ირგებდა ნებისმიერი მოსურნე.

ჯარისკაცი ნიკოლოზ შლიაპკოვი!

მდაბიო გრიგოლ ზაიცევი!

ნერჩინის ქარხნების მფლობელი თავადი ნარიშკინი....

გრძელია იმ ადამიანთა სია, „საბრალო“ პავლეს სახელით რომ მოევლინნენ ხალხს.

მაგრამ უფრო ტევადი გახლავთ პეტრე მესამის სახელით „მოღვაწეთა“ სია.

მხოლოდ ერთხელ გამოედევნენ ეკატერინეს. ისტორიამ შემოგვინახა მისი გვარიც — ვინმე გრაფინია ტარაკანოვა — „ელისაბედის ქალიშვილი და მეფის ასული“...

ეს იყო ჟამი, როცა რუსეთში თვითმარქვიობა მოდად იქცა.

❁

და აი, ამ დროს...

კანცლერი ნიკიტა პანინი წერილს უგზავნის სოლომონ პირველს.

მაგრამ ვიდრე სამეფო კარის უსტარი დანიშნულ ადგილს ჩააღწევს, ჩვენ მისი დაწერის საბაბი მოვიკითხოთ.

❁

1739 წელი, სექტემბერი. დედოფალი ანა იოანეს ასული იძულებულია დათმობაზე წავიდეს — ბელგრადის ზავი, თურქეთთან ომის დამთავრებას რომ მოასწავებს, მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობას ვერ უქმნის რუსეთს. ავსტრია — აი, ვინ არის რუსეთის საბრძოლო დიდების მიმჩქმალავი. რამდენიმე მწარე დამარცხების შემდეგ იგი რუსეთის დაუკითხავად სტოვებს საბრძოლო პოზიციებს და მთელ რიგ დათმობებზე მიდის. ამის შედეგად რუსეთი მეკავშირეს კარგავს და იძულებულია მიიღოს დამამცირებელი წინადადებანი, დათმოს: კირბურნი, ოჩაკოვი, ხოტინი, მოლდავეთი...

ამის შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი მშვიდობა სუფევდა სამხრეთში, მაგრამ აი, საფრანგეთის წაბაძვით, თურქეთი მოულოდნელად პოლონეთის საშინაო საქმეებით დაინტერესდა და რუსეთის წარმომადგენელს ობრესკოვს ისეთი ულტიმატუმი წაუყენა, რომელიც ყოვლად მიუღებელი და ღირსების შემლახველი აღმოჩნდა რუსეთისათვის. ეს

დავა მხოლოდ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. იმპერატრიცა ეკატერინე შეორემ საგანგებო საბჭო მოიწვია და ბრძანა, თურქეთის მოსაზღვრედ მცხოვრები ყველა ხალხისათვის ეცნობებინათ, რომ რუსეთი კანონიერ ომს იწყებდა. აი, მაშინ დადგა დღის წესრიგში ქრისტიანული საქართველო! მითუმეტეს, რომ საბჭოს ხელთ ჰქონდა იმერეთის მეფის სოლომონ პირველის უსტარი, სადაც იგი თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რუსეთის სამეფო კარის მხარდაჭერასა და დახმარებას ითხოვდა. ეს წერილი სამი წლის წინათ — 1766 წელს იყო დაწერილი ყიზლარის კომენდანტის გენერალ-მაიორის პოტაპოვის სახელზე. გენერალმა კი ეს წერილი მისი უდიდებულესობის კარს გადასცა. მისმა უდიდებულესობამ კი მაშინ შორს დაიჭირა თავი, რადგან ბრწყინვალე პორტასთან არ უნდოდა მშვიდობიანი ურთიერთობის გამწვავება. სოლომონის მოწინააღმდეგეებმა კი თურქების დახმარებით იგი აიძულეს ოსეთს გაქცეულიყო, ხოლო მის მაგივრად იმერეთში, მისი ბიძაშვილი — თეიმურაზი გაემეფებინათ... მაშინ სოლომონმა ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე გააგზავნა პეტერბურგს იგივე თხოვნით. მაქსიმე ჯერ კიდევ გზაში იმყოფებოდა, როცა სოლომონმა ტახტის დაბრუნება და რაჭის მეამბოხე ერისთავის როსტომის სამფლობელოს შემოერთება შეძლო. მაქსიმე მაშინ წარსდგა საგანგებო საბჭოს წინაშე, როცა აქ თურქეთთან ომის დეტალებს აზუსტებდნენ...

1769 წლის იანვარში ყიზლარის კომენდანტს

გენერალ-მაიორ პოტაპოვს (რამდენადაც ამიერ-კავკასიასთან მისი მეშვეობით ხდებოდა კავშირი) დაევალა საქართველოში გადაეგზავნა უცხოეთის საქმეთა კოლეგიის მმართველობის პირველი მიხის-ტრის გრაფ ნიკიტა ივანეს ძე პანინის წერილი, რომელიც 1768 წლის ნოემბრით (ომი უკვე გამო-ცხადებულია!) იყო დათარიღებული. პოტაპოვის არჩევანი პორუჩიკ ქობულაშვილზე შეჩერდა. „შეძლებ?“ — ჰკითხა გენერალ-მაიორმა. გარეთ მკაცრი ზამთარი მძვინვარებდა. დაზვერვის მონა-ცემებით, მთებში დიდი თოვლი იდო. „შეეცდე-ბი“, — იყო პორუჩიკის პასუხი. „ხომ იცი, ძალზე სასწრაფოა!“ — გააფრთხილა გენერალმა.

მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო!

ქობულაშვილს კინაღამ სიცოცხლის ფასად და-უჯდა ამ საგანგებო დავალების შესრულება: თოვ-ლი. ზვავი. დაშლილი ხიდები, შიმშილი! — ეს ყვე-ლაფერი მამაცურად გადაიტანა მან და 1769 წლის 20 მარტს ცხინვალს მიაღწია. იქედან რაჭაში გა-დავიდა და სოლომონ პირველს ეახლა.

გონების თვალით წარმოვიდგინე ეს სცენა.

დაღლილ-დაქანცული, ერთიანად ტალახში ამოგანგლული ახალგაზრდა ოფიცერი დგას იმერე-თის მეფის წინაშე. შეღამებისპირია და დარბაზში საკმაოდ ბნელა. ამიტომ სოლომონს ძალზე უჭირს რუსთა მეკავშირეს სახის დანახვა. აჰა, შანდლებიც აანთეს!

ნელა, ფრთხილად ხსნის იგი გრაგნილს!

როგორც იქნა, მრავალი წლის ლოდინის შემ-

დეგ ეკატერინეს სამეფო კარმა ინება პასუხის გაცემა!

ღმერთმა ქნას, კარგი ამბავის მახარობელი იყოს ეს ახალგაზრდა პორუჩიკი!

როგორ, იგი თავადი გახლავთ? თანაც ქართველი?

ჩვენი სალამი და თაყვანისცემა მამულიშვილს!

აქეთ, ცეცხლისკენ მობრძანდით! წარმომიდგენია, რა გადაიტანეთ ამ ორი თვის მანძილზე! ოჰ, ეს დარიალი! უახლოეს ხანში უსათუოდ უნდა მოწესრიგდეს მისი გზა! ბოლოს და ბოლოს იგი ერთადერთი ჭიშკარია რუსეთში გასასვლელი! როდის გამოვიდა თავადი ყიზლარიდან? ამა წლის იანვარს? ახლა კი მარტია! გაგონილა ამდენი დროის დაკარგვა ყიზლარიდან — რაჭამდე? ჩვენი სამეფოს განმტკიცება გზებით უნდა დაგვეწყო, გზებით!

ახლა კი ვნახოთ, რას გვწერს სრულიად რუსეთის დედოფალი!

რაო, წერილი კანცლერ პანინისგანაა?

— «Благоволения Ея Императорского Величества вообще ко всему грузинскому народу, как православному и единоверному христианства...»

სოლომონი ხარბად იჭერს თითოეულ სიტყვას. ატყობს, ღელავს. შანდლის შუქზე ხედავს, რომ თავად ქობულაშვილს კიდევ საკმაოდ გრძელი ტექსტი აქვს წასაკითხი. სწორედ ამის ეშინია მეფეს. გრძელ უსტარში არსებითად არაფერი წერია ხოლმე! მაგრამ უცებ მის ყურადღებას ხვდება „პორტა“ და „ომის გამოცხადება“. რუსეთს არა-

ვითარი საბაბი არ მიუცია ომისათვის, მაგრამ თურქეთისათვის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ქრისტიანნი მოსრას ...ამიტომ: „ჩემი უბრწყინვალესი დედოფლის სახელით... მინდა დავაიმედო თქვენი უდიდებულესობა, რომ ჩვენი შეკავშირების მერე გამარჯვების სასწორი ჩვენსკენ გადმოიხრება. ამასთან მჯერა, რომ თქვენი უბრწყინვალესობა ცდას არ დააკლებს, რათა საქართველოსა (ასე სწერია სწორედ!) და კახეთის მეფე ერეკლე, თქვენი უახლოესი მეზობელი განაწყოთ ქრისტიანობის საერთო მტრის წინააღმდეგ!..

როგორც იქნა! — გუგუნებს სოლომონის თითოეული ნერვი. — როგორც იქნა, დადგა ბრწყინვალე პორტას აღსასრული! იგი აღტკინებულია და აბობოქრებული. კალაპოტიდან გამოსულ მდინარესა ჰგავს!

ჰოი, რა ძლიერია იგი ახლა! — და იგი დამუშტულ ხელებს სწევს ზევით.

ბატონო? — მოიხედა უცებ ქობულაშვილისაკენ. — იმპერატრიცა პასუხს ელის?

სოლომონი თანდათან მშვიდდება. მხოლოდ თვალები ამხელენ აღგზნებას. მაშ, ომი? მაგრამ მას დამოუკიდებლად აბა სად შეუძლია ომის დაწყება? არც თავის განმგებლობაში მყოფი თავადების იმედი აქვს. ისინი შეიძლება წინ აღუდგნენ, მაგრამ აი, დიდი იმპერატრიცა თუ ჯარს მოაშველებს, მაშინ იგი შეძლებს თავი მოუყაროს ოციათასიან ლაშქარს და დაიყოლიოს თურქეთის მოსაზღვრე სახანოებიც. — და უცებ გონება უნათდება. ერეკლე! — თითქმის ყვირის იგი. — სას-

წრაფოდ ერეკლესთან! აი, ვის ძალუძს ფრთების გაშლა!

თავადი ქობულაშვილი სასწრაფოდ გაისტუმრეს თბილისს.

დრო!

ახლა მთავარი იყო დრო! გზის ნახევარიც არ ჰქონდა თავადს გავლილი, ერთ-ერთ დუქანთან უცნობებმა გააჩერეს. „რაჭიდან მობრძანდებით?“ „რაჭიდან“. „სოლომონ მეფისგან?“ — პორუჩიკმა პასუხი არ გასცა. მაშინ უცნობებმა ცხენიდან ჩამოსვლა სთხოვეს იმპერატრიცას დესპანს. განუმარტეს: მეფე ერეკლეს ბრძანებით შეგეგებეთ, მეფესთან ახლა თურქეთის ელჩები იმყოფებიან. დიდი მოლაპარაკება აქვთ — უნდათ, ჩვენმა ხალხმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს რუსეთ-თურქეთის ომში. ამიტომ, რუსი ოფიცრის გამოჩენა სამეფო კარზე, ერეკლემ უხერხულად მიიჩნიაო.

მაშ, რა უნდა ქნას ბატონმა პორუჩიკმა?

უბრალოდ, ქართული ჩოხა-ახალუხი ჩაიცვას და ისე ეახლოს მეფეს!

მეორე დღეს პორუჩიკმა ქობულოვმა (ქობულაშვილმა) ქართლ-კახეთის მეფეს პანინის წერილი გადასცა.

იგივე აღტკინება! იგივე სიხარულის წამოძახილი და ქადილად ზეაღმართული მუშტი. იგივე თხოვნა: იმპერატრიცამ სულ მცირე შვიდი პოლკი მაინც უნდა აახლოს!

ეს დახმარება — სული დაითქვა ერეკლემ და თვალი გაუშტერა პორუჩიკს. — საჭიროა, რათა რუსეთის ჯარის შემოსვლით შიშის ძრწოლა

აუტყდეთ ირანსა და თურქეთს, აგრეთვე სასაზღვრო სამთავროებს. დაე, ყველა მიხვდეს, რომ მას — მეფე ერეკლეს ამიერიდან ჰყავს უუმაღლესი მფარველი!

რას გააკეთებს თვითონ?

ჰმ, თვითონ!... შეინახავს რუსთა დამხმარე რაზმს! ხოლო თავის ქვეშევრდომთა სამთავროებიდან (ლეკების ჩათვლით) მოაგროვებს ორმოცდაათი ათასიან ლაშქარს. ოღონდ... — და ერეკლემ ისევ გაუშტერა პორუჩიკს თვალი, — როცა რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდება ზავი, ტრაქტატში უსათუოდ უნდა იყოს მოხსენიებული, რომ საქართველო დიდი რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება....

როგორც ზემოთ ვთქვი, მარტის თვე იდგა. მარტი — 1769 წლისა.

ბედს ასე სურდა — ქობულაშვილმა ეკატერინე მეორის სამეფოს მისია საქართველოში დაამთავრა. სოლომონის წარგზავნილი ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე კი მხოლოდ ახლაღა ჩავიდა პეტერბურგს...

მაგრამ ეს უკვე დეტალებია. მთავარი კი ის გახლავთ, რომ საქართველოს საკითხი უაქტუალურეს საკითხთა სფეროში იყო მოქცეული და მის გადასაჭრელად უკვე გარკვეული ნაბიჯი იყო გადადგმული.

კერძოდ: რუსეთის მთავარმა არმიამ 15 აპრილს გადაჰკვეთა დნესტრი. გენერალური გეგმის თანახმად, თურქეთზე ერთდროული იერიშის დასაწყებად უკვე ყინულის საფარველახდილი ვოლ-

გის გადალახვა და მცირე აზიაში დამხმარე ათასეულის გაგზავნა იყო საჭირო. ამიტომ რუსეთის სამეფო კარზე აღარ დალოდებიან ქობულაშვილის მგზავრობის შედეგს (სოლომონ მეფის ელჩის ჩამოსვლა უკვე თავისთავად მიიჩნიეს თანხმობად) და საჩქაროდ ბრძანეს, — ყიზლარში საექსპედიციო რაზმი განეზადოსო. ხოლო იმერეთის სამეფო კარზე რუსეთის საქმეთა რწმუნებულად თავადი ანტონ მოურავოვი დაინიშნა.

ვინ იყო მოურავოვი?

შვილი რომან მოურავისა, რომელიც 1724 წელს ვახტანგ მეფესთან ერთად გადასახლდა რუსეთს, შევიდა საზღვაო სამსახურში და 1738 წელს კაპიტნის ჩინით დაეცა ხოტინისათვის ბრძოლაში. ანტონი მამის კვალს გაჰყვა. 1753 წელს ქართული პოლკის პოდპორუჩიკია. მაგრამ რაღაც გაუგებრობათა გამო იგი სამოქალაქო სამსახურში გადაჰყავთ. იყო პატიმრობაშიც. მაგრამ გამართლება და უცხოეთის საქმეთა კოლეგიაში ქართული ენის თარჯიმნად გაამწესეს...

ახლა იგი იმპერატრიცას სამეფო კარის ინტერესებს იცავს იმერეთში! მას ხელთა აქვს პანინის ვრცელი ინსტრუქცია იმერეთში შექმნილი ვითარების გამო. და, რაც მთავარია, რატომ არ შეუძლია რუსეთის სამეფო კარს ამჟამად გაუგზავნოს სოლომონს ხუთი ათასი მეომარი! მოურავოვი მოვალეა სოლომონს მოახსენოს, რომ მის დასახმარებლად გამოვიდა, მართალია, მცირე, მაგრამ კარგად გაწვრთნილი რაზმი. რომელსაც წარუძღვება მაღალი ჩინის გამოჩენილი სარდალი. ერ-

თი შტაბს-ოფიცერი, საარტილერიო და საინ-ჟინრო ჯარების ოფიცრები, ერთი მკურნალი, ერთი მუშკეტერთა ასეული, ერთი — დრაგუნთა ასეული, ერთიც ჰუსართა ასეული. მათ თან ეახლებათ ოთხი სამფუნტიანი, და ორიც — თორმეტ-ფუნტიანი ზარბაზანი საჭირო მომსახურეებით. ამას გარდა იმერეთის მეფისათვის გამოიყო 30 ათასი მანეთი, რაიც ბევრად აღემატება მის წლიურ შემოსავალს.

მოურავოვს ჰქონდა სხვა ინსტრუქციაც. კერძოდ, — 1. შეესწავლა თერგის ხეობის მდგომარეობა. შესაძლებელი იყო თუ არა რაზმის შეუფერხებელი მოძრაობა და თუ არა, — რა იყო ამისთვის საჭირო; 2. განეწყო ერეკლე მეორე თურქების წინააღმდეგ საომრად; 3. იმერეთში ჩასვლის შემდეგ ემოქმედა მხოლოდ რაზმის უფროსთან შეთანხმებით, მოეპოვებინა არა მარტო მეფისა და თავადების, არამედ ხალხის ნდობაც.

...ვდგავართ დარიალის კართან. გველანდება ლარსიდან მომავალი ფორნების ჭრიალი. უჭირთ. კლდეთა ჩამონაშალ ქვებზე გავლა ცხენებს, მუშკეტერები რის ვაი-ვაგლახით მოაგორებენ რაღაც უცხო ურჩხულს. ეს არის ზარბაზანი? ეს არის ომების ღმერთი? უკაცრავად, ვერ გვეტყვით მისი მოქმედების სიძლიერეს? რაო, ასეთი რამ ჯერ თერგის ხეობას არ მოსწრებია? გეთაყვა, თუ შეიძლება გაგვაგონეთ მისი ხმა!

მაგრამ მეზარბაზნეებს არ სცალიათ ჩვენთვის.

სტეფანწმინდის მერე მთელი ათი ხიდია გასაკეთებელი, რათა სამშვიდობოს გადაიტანონ საბრძოლო საჭურველით სავსე ყუთები, სურსათი, ტანსაცმელი, გადაიყვანონ ხალხი და ცხენები. ხიდების მშენებლობაზე სამი დღე იკარგება. კიდევ ერთი დღე — ადოს მინდვრისაკენ გადასასვლელად. გამოჩნდა დაბა ხადა. აი, იქ — როცა რაზმმა მოსასვენებელი კარავი დასცა, იქუხეს ზარბაზნებმა. საბაბიც ჰქონდათ. ჯერ ერთი — მშვიდობით განვლეს ხევი. მეორეც — ბანაკს ერეკლეს გამოგზავნილმა დიდებულებმა მოაკითხეს — გრაფ ტოტლებენსა და თავად მოურავოვს ქართლ-კახეთის მეფე ხოდადან ორი ვერსის დაშორებით ელოდებაო.

მერე იყო ერეკლე მეფის კარავი. დიდებულთა კრებული და ანტონ კათალიკოსის ზეაპყრობილი სახე — იგი უფალს მადლობას სწირავდა ორი ბრწყინვალე ერის დამეგობრების გამო.

მეორე დღეს ისევ აგუგუნდნენ ზარბაზნები და მთიულეთისა და ხევის სანახებს რუსთა რაზმის ბანაკში ერეკლე მეფის მობრძანება ამცნეს.

ღაჰკრეს დაფდაფებს, ჩაჰბერეს საყვირებს.

ტოტლებენმა ქართლ-კახეთის მეფის პატივსაცემად სადილი გამართა. შეისვა იმპერატრიცისა და ერეკლეს სადღეგრძელოები, — ზარბაზნები ისევ ხლეჩდნენ ცას, ხოლო ჯარისკაცები ვაშას ძახილით ცდილობდნენ მთაში დატრიალებული გუგუნის ჩახშობას.

თავადმა მოურავოვმა განმარტა ტოტლებენის მისიის არსი.

ერეკლემ წერილობითი დასტური მოითხოვა.

წერილი? ჩაფიქრდნენ ტოტლებენის რაზმის მესვეურები. წერილი, რა თქმა უნდა, აქვთ. ოღონდ მისი ადრესატი იმერეთის მეფე სოლომონ პირველია. უშუალოდ დედოფლის წერილია? — აინტერესებს ერეკლეს. არა, კანცლერ პანინისა. აბა, მაგას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება გაიხსნას. არ შეიძლება შიგ დასმული საკითხები ორივეს არ გვეხებოდეს!

ქართლ-კახეთის მეფე მართალი გამოდგა.

ომი თურქეთთან! აი გრაფ პანინის წერილის მთელი პათოსი.

ომი და საქართველოს მეფეთა მხარდაჭერა!

თვითონ ერეკლე პირობას სდებს დაძახებისთანავე დააყენოს ფეხზე ქართლ-კახეთი, ლეკნი და ერევნის სომხები. ოღონდ...

ტოტლებენს ჯერ რუსულად უთარგმნეს, მერე — გერმანულად... იგი კმაყოფილებით აქნევდა თავს. როცა ერეკლემ „ოღონდ“ წარმოსთქვა და გაყუჩდა, იგრძნო, როგორ გაუტოკდა გული. ოჰ, ეს აზიატები! ღიმილისა და ლამაზი სიტყვების უკან მუდამ რაღაცა აქვთ გადამალული.

ერთიც ვნახოთ, რა გადამალა ბოლო წუთისათვის ერეკლემ?

იგი ხუთი ათასი ჯარისკაცის მოშველიებას სთხოვს რუსეთის იმპერატრიცას. რეგულარული ჯარის ხუთი ათას მებრძოლს.

ტოტლებენი თვალს არ აშორებდა ერეკლეს. რამდენი წლისა იქნება? ფიქრობდა. ორმოცის? ორმოცდახუთის? თავი განსაკუთრებულად უჭი-

რავს — რჩეულ პიროვნებათა მსგავსად. მის მიხ-
რა-მოხრაში უდიდესი ძალა იგრძნობა. ძალა, რო-
მელიც თრგუნავს გარშემო მყოფთ. იქნებ ამიტო-
მაცაა, რომ იგი ასეთ უფლებას აძლევს თავს —
გახსნას იმპერატრიცას წერილი, ხოლო სოლო-
მონზე სთქვას, — უჩემოდ არაფრის გაკეთება შე-
უძლია და ვერც რაზმს შეინახავსო...

ხომ არ აჭარბებს ქართლ-კახეთის მეფე?

მაგრამ ტოტლებენი იმ წუთს ფიქრით სხვაგან
იმყოფება. მას მოსწყინდა. რაღაცნაირად მოიღ-
ვენთა და საფეთქელთან ლურჯად გამოერკალა
ძარღვი. და ვიდრე იგი ასე მოწყენილი ზის, და
ვიდრე იგი არაფრისმთქმელი თვალებით მისჩერე-
ბია აღგზნებულ ერეკლეს, ჩვენ მის დოსიეში
ჩავიხედოთ.

გრაფი გოტლობ კურტ ჰენრიპ ტოტლებენი. თანამედროვეთა აზრით, იგი იმ ავანტიურისტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიდაც სავსე იყო ევროპა. 1724 წელს საქსონელი კურფიურსტის კარზე იწყებს სამსახურს. 1745 წელს გრაფის ტიტულით სასამართლოს წევრი ხდება. მაქინაციების გამო დრეზდენიდან ჰოლანდიაში გარბის. აქ იგი სამხედრო სამსახურში შედის. მაგრამ იძულებულია მიატოვოს, რადგან თავის ახლობელ, მდიდარ ობოლ გოგონასთან ერთად გარბის ბერლინს. არ იქნა და არ აეწყო მისი ცხოვრება. ბერლინში ვიღაც დიდი თანამდებობის პირს დაუპირისპირდა და თავშესაფარი ჯერ საქსონიაში ეძება, მერე — ჰოლანდიაში. რა ხრიკებით მიაღწია მან პეტერბურგს, მაშინდელ იმპერატრიცა

ელისაბედ პეტრეს ასულთან, — არავინ უწყის. არც ის არის ცნობილი, ვის მოუვიდა აზრად მისთვის შეეთავაზებინა პრუსიასთან მოსალოდნელი ომის გეგმის შედგენა. ერთი ცხადია, რომ მის მიერ წარმოდგენილი გეგმა მოიწონა ელისაბედმა და გენერალ-მაიორის ჩინით მიიღო სამსახურში. დაიწყო შვიდწლიანი ომი. კორპუსის მეთაური ტოტლებენი რამდენიმე ბრძოლაში იღებს მონაწილეობას. დაიჭრა. მიიღო ალექსანდრე ნეველის ორდენი. 1760 წლის 28 სექტემბერს დალაშქრა ბერლინი. დალაშქრა და თავი სწორუპოვარ სარდლად წარმოიდგინა. აქ სრულად წარმოჩინდა მისი ავანტიურისტული ბუნება: გერმანულ ენაზე დაწერილ წიგნში რუსეთის არმიის, მთელი წარმატებები თვითონ მიიწერა. მიზანი — რა ეშველებოდა რუსეთს ტოტლებენი რომ არ ჰყოლოდა? მან მიწასთან გაასწორა გენერალ-მაიორი გრაფი ჩერნიშევი და მისი კორპუსი, როცა ბერლინის ოპერაციაში ამ კორპუსმა უმთავრესი და გადამწყვეტი როლი შეასრულა. აღშფოთდა რუსეთის მხედრიონი. გრაფს ებრძანა, უარი ეთქვა თავის „შენათითხნზე“ და სარდლობის წინაშე საჯაროდ მოეხადა ბოდიში. ტოტლებენმა უარის თქმას გადადგომა არჩია. მაგრამ ელისაბედ პეტრეს ასულმა არ მოიწონა მისი სამსახურიდან დათხოვნა. ტოტლებენი არმიაში დარჩა. 1761 წელს პომერანიაში ყოფნის დროს მას აპატიმრებენ თავისივე ხელქვეითები. საბაბი: მტრის ბანაკთან გამცემლური მიმოწერა! სამხედრო სასამართლოს განა-

ჩენი სასტიკია: გენერალ-მაიორს რუსეთის არმიის ღალატისათვის სიკვდილს უსჯიან!

ვიდრე ამ განაჩენს სისრულეში მოიყვანდნენ — რუსეთის ტახტზე ეკატერინე მეორე ავიდა. მან გადხსინჯა ტოტლებენის საქმე, აპატია დანაშაული... (რუსეთისათვის მის მოქმედებას არავითარი ზიანი არ მოუტანია) და 1769 წელს, როცა თურქეთ-რუსეთის ომი დაიწყო, პატივაყრილი გენერალი ძველ უფლებებში აღადგინა. ამის შესახებ სენატის საგანგებო ბრძანებით მოხსენდა რუსეთს.

და აი, ტოტლებენი საქართველოშია!

რას ფიქრობს იგი?

რა სურვილს ფარავს მოჭუტული თვალებიო?

ბოლოს, როგორც იყო, გამოერკვა.

— როგორი იქნება ჩემი კორპუსის (არ დაივიწყა ძველი ჩვეულება) მომარაგება?

ახლა მას მხოლოდ ეს აწუხებდა. მეტი არაფერი.

იმ დროს ჩრდილო კავკასიაში რაზმის სანოვაგით უზრუნველყოფა ძალზე ჭირდა. ყიზლარი და სულ რაღაც ექვსი წლის წინათ (1763) დაარსებული მოზდოკი ვერ უმკლავდებოდა რუსეთის მხედრიონის მოთხოვნილებებს. მათ შორის, თერგის მარცხენა ნაპირზე კაზაკთა სტანიცებშიც ვერაფერს იშოვიდი. ისე რომ, უმთავრესი მომარაგება ასტრახანიდან ხდებოდა — ზაფხულში, თერგის შესართავიდან, ზამთარში — კასპიის სანაპიროს გავლით... ტოტლებენს ძალზე ძვირი გადაახდევინეს თათარმა ჩალვადრებმა პროდუქტების

გადატანაში. ამიტომ სტეფანწმინდის მერე აღარ ისურვა მათი სამსახური.

— სულ წაგვართვეს, რაც ტილოს მარაგი გვქონდა! — ზიზღი გამოეხატა სახეზე გენერალს.

ტილო? გაუკვირდა ერეკლეს. რა შუაშია აქ ტილო?! ა! — გაახსენდა უცებ, — მთიელები ხომ ტილოს იღებენ ფულის მაგივრად!

(იმ ხანად ყიზლარის კომენდანტის კანცელარიამ სამსახურებრივი საჭიროებისათვის რამდენიმე საგანგებო შენობა დაიქირავა ტილოს შესანახავად. როცა დარიალის ხეობაში სამხედრო ტრანსპორტის მიმოსვლა გახშირდა, კანცელარიის მიერ მარტო სამი თვის მანძილზე ტვირთის გადატანასა და გზების კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 15. 860 არშინი ნოვგოროდული ტილო).

— მომარაგება ნუ გაფიქრებთ, — თქვა სადილის დასასრულ ერეკლე მეორემ. — ყველაფერი რიგზე იქნება. ოღონდ ჩვენს ერთობლივ საქმეს ეშველოს.

რად გაებზარა ერეკლეს ხმა?

რად მოუმრავლდა შუბლზე ნაოჭი?

რა ამოიკითხა მან გენერლის თითქოს ცვილისაგან ჩამოსხმულ უსიცოცხლო სახეზე?..

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, გრაფ?

დღეს საქართველოს სამხედრო გზაზე მოგზაურობისას უნებურად გამახსენდა თქვენი პიროვნება. გამოვითვალე — 212 წელი გასულა. გესმით. მთელი ორი საუკუნე! მაგრამ მე მაინც

იარად დამრჩა ის ორპირული და ყოვლად უმსგავსო პოლიტიკა, რომელიც თქვენ საქართველოში განახორციელეთ.

ფაქტი გნებავთ?

გახსოვთ თქვენი ხანგრძლივი და უნაყოფო დგომა სურამის ციხესთან?

ბოლოს, როგორც იყო, უსაქმურობა მოგბეზრდათ და ახალციხისაკენ დაიძარით. გზად ერეკლეს ჯარი შემოგიერთდათ. 15 აპრილს ბორჯომის ხეობით სოფელ სადგერს მიაღწიეთ. გადაწყვიტეთ ერეკლესათვის დაგეტოვებინათ მთელი აღალი, ექვსი ქვემეხი და რაზმის ნახევარი. ერეკლე წინააღმდეგი იყო, მაგრამ „სტრატეგიულ ჩანაფიქრს“ რა შეგაცვლევინებდათ? იერიში აწყურის ციხეზე უნდა მივიტანოო... კეთილი და პატიოსანი, ერეკლეც სწორედ აწყურში გამაგრებულ თურქთა წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას! მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა თქვენი „სტრატეგიის“ ბრწყინვალე გამოვლინება: აწყურთან ერთბაშად იბრუნეთ პირი და ქართველთა ლაშქარი თურქებს შეატოვეთ.

მაინც, რა დაგრჩათ ისეთი სურამში, რომ ამის გამო მოღალატის სახელის დადებისაც არ შეგეშინდათ? ან რად არ იღეთ ყურად ქართველ სარდალთა თხოვნა?

არეულობით ისარგებლა მტერმა, დატოვა ციხე და პირაქეთ შემოუტია ივერიელთ. შედრკა მოწინავე რაზმი. უწესრიგოდ დაიწყო უკანდახევა. თქვენი წასვლით შემცბარი ერეკლე, მხოლოდ ახლა მოეგო გონს, სწრაფად გაერკვა ვითარებაში.

ლაშქარს წინ წარუძღვა და გათამამებული ბტერი ციხესიმაგრეში შეამწყვდია. აწყურში გაბაგრებულ თურქთა დასახმარებლად ახალციხის ფაშამ ლეკთა და თურქთა რაზმები გამოგზავნა. მაშველი ძალა დაიძრა ხერთვისიდანაც, მაგრამ არ ეწერათ მათ აწყურამდე ჩასვლა. ახალციხესა და ხერთვისს შორის ისინი ერეკლეს დაგებულ მახეში მოემწყვდნენ. ეს ბრძოლა ჩვენი ერის ისტორიაში ასპინძის ბრძოლის სახელით იხსენიება და ერეკლეს გენიის კიდევ ერთი გამოვლინება გახლავთ!

ამბობენ, მტკვარი წითლად შეღებილი მოედინებოდა და ტფილისს ურჯულოთა ურიცხვი გვამი ჩამოატარაო. ისე, რომ ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქში მაცნეს მოსვლამდე იცოდნენ ერეკლეს ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი.

ეჰ, გრაფ! რა შემთხვევა გაუშვით ხელიდან?!

ასე მზაკვრულად, რომ არ მიგეტოვებინათ აწყურთან ქართული ბანაკი, ამ გამარჯვებას ხომ თქვენ მიიწერდით?

მითუმეტეს, რომ სხვათა დიდების გვირგვინის საკუთრისად გასაღება, წესად გქონიათ.

როგორ უყურებდნენ პეტერბურგში ტოტლებენის ოდისეას?

საგარეო საქმეთა მმართველობაში იმდენი საბუთი დაგროვდა მის წინააღმდეგ, იმპერატრიცა ეკატერინემ შეშინებულმა წამოიძახა: — Он способнее в Грузии наши дела испортить, нежели оныя привести в полезное состояние!

ტოტლებენი სასწრაფოდ გაიწვიეს საქართველოდან.

მაგრამ ვინ გაეგზავნათ მის სანაცვლოდ? ახლა მარტო „სასარგებლო საქმეთა“ მოგვარება კი არა, რუსეთის დამხმარე კორპუსის შენარჩუნება დადგა დღის წესრიგში.

შეირჩა კანდიდატურაც: გენერალ-მაიორი სუხოტინი!

იგი საჭირო ინსტრუქციით დატვირთეს: მას ეკატერინე დედოფლის მთავრობის სახელით საქართველოს მეფეთათვის უნდა მიერთმია იმედი, რომ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებისას უსათუოდ გაითვალისწინებდნენ საქართველოს სამეფოთა საკითხსაც!

ეს, რა თქმა უნდა, ის ფოჩიანი კამფეტები გახლდათ, რომელმაც ერთბაშად მოიგო სოლომონისა და ერეკლეს გული.

უფრო მეტიც, ერეკლეს გადაავიწყდა „ჯიუტი გენერლის ოინები“ და რუსეთის დამხმარე რაზმის ახალ მეთაურს დუშეთში შეეგება.

ვითარება: ერთი თვის შემდეგ ხელთუბანში შედგა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სუხოტინი, ერეკლე მეორე, სოლომონ პირველი.

მიზანი: ოსმალეთზე გალაშქრების სამზადისი.

გენერალი: მე ვფიქრობ ახლა უპრიანი იქნება ფოთის ციხის აღება.

ერეკლე: ნუ გავიწყდებათ, რომ ახლა ზაფხულია!

გენერალი: მერე რა, რომ ზაფხულია? მე სწო-

რედ ამიტომ ავირჩიე ფოთის ციხე. თანაც იმპერატრიცას მითითებაც მაქვს...

სოლომონი: ფოთის დაბლობში ახლა მალარიის მძვინვარებს. სიცხე და შმორი დაგვახრჩობს.

ერეკლემ ცერად გახედა სოლომონს — არ ეგონა, თუ მხარს არ დაუჭერდა გენერალს.

გენერალი: მალარია? მე, არ მეშინია მისი. რის სიცხე! რის სუნი! გადაწყდა — ფოთზე მივიტანთ იერიშს. ასეთი წვრილმანებით ვის შეუშინებია რუსი არწივები!

ძვირად დაუჯდა ეს წინდაუხედავობა სუხოტინს. ორი ათასი „არწივი“ და თვით გენერალი ციებ-ცხელებით დაავადდა. ფოთის ექსპედიცია დასაწყევლი გახდა. დაიღუპა რვაასი ჯარისკაცი. ხუთას ჯარისკაცს ასეთივე ბედი ელოდა.

ამასთან ერთად მან დაუშვა მეორე შეცდომაც. თავისი წინამორბედის მსგავსად, არად ჩააგდო სოლომონი და მოღალატე მთავრებთან დაამყარა კავშირი. ამან, ცხადია, ქართველ მეფეთა უკმაყოფილება გამოიწვია.

სუხოტინმა კიდევ უფრო მოიტეხა უსინდისობის ხვანჯარი: სოლომონს სამთავროს ტახტიდან ადრე გაძევებული გიორგი V გურიელი დააბრუნებინა. ხოლო ერეკლე მეორესთან კაცი აფრინა: თუ რუსეთის ტახტის ერთგული ხარ, მძევალი გამომიგზავნეო.

— აღარ ყოფილა საშველი — წყენით ჩაიქნია ხელი ერეკლემ.

სამართლიანი იყო ქართლ-კახეთის მეფის ეს განაჩენი?

ავტორისეული ცნობა. ერეკლე მეორე. დაიბადა 1718 წელს. თუმცა მის საფლავის ქვაზე 1716 წელია აღოკვეთილი. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ზუსტ თარიღად 1720 წელი უნდა მივიჩნიოთ. ძე მეფე თეიმურაზისა — უკვე თხუთმეტი წლისა მახვილით ხელში ებრძოდა საქართველოს მტრებს. იყო განსაოცრად მამაცი და გონიერი. ხალხმა მას სიყვარულით „პატარა კახი“ შეარქვა. ეს არც იყო გასაკვირი — პატარა კახი განსაცარი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

იგი წლების მანძილზე ნადირ შაჰირის ჯარის მშვენება გახლდათ. ინდოეთზე ლაშქრობისას სათავეში ედგა ქართულ მოწინავეთა რაზმს. ოა ხდებოდა იმ დროს საქართველოში, როცა ერეკლე ყიზილბაშთა სახელს განადიდებდა აზიაში? დავიწყოთ მისი გამგზავრების ხნიდან. საქართველოში ყიზილბაშები თარეშობდნენ.

ამერ-იმერი იარაღს ამზადებდა საერთო მტრის გასაჟლეტად. ამასობაში ირანი დაიძრა ამიერკავკასიის ციხესიმაგრეებში გამაგრებული ოსმალების განსადევნად. ქართველთ ამაზე ხელსაყრელი დრო არც დაუდგებოდათ. უმალ აღზევდნენ. მატიანე გვამცნობს: „მოწყვიტეს ოსმალნი ტფილისის გარეთნი სრულიად. აგრეთვე გივი ამილახორი შეეტყუა გორის ციხეს ოსმალთა, მოისრნა იგინი და დაიპყრა ციხე...“

სპარსელთა სარდალმა ერევანს დაიდო ბანაკი. ქართველთა ელჩნი იქ ეახლნენ სარდალს და ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველო-

ში მოიპატიჟეს. მაგრამ ნადირმა უარი განაცხადა საქართველოში ჩასვლაზე.

ამაზე ხელსაყრელი დრო ჩვენ აღარ გვექნება, დიდო სარდალო, — მოკრძალებით შეჰკადრეს ნადირს საქართველოს წარგზავნილებმა.

— ჯარი რომ გათხოვოთ? — შორს, სივრცეს გახედა სარდალმა.

საქართველოს წარგზავნილთ იმედის სხივით აევსოთ მკერდი.

ნადირის გადაწყვეტილება ურყევი აღმოჩნდა. ურიცხვი ჯარი დაიძრა თბილისისაკენ. ოსმალოებმა შორიდან ჰკიდეს თვალი ცაში ავარდნილ ვეება ლრუბელს — ცხენების ფლოქვებისაგან ამდგარ მტვერს და უშალ დაასკვნეს, — ჩვენი საქმე წაგებულიაო, — და უბრძოლველად დატოვეს თბილისი.

ნათქვამია, ვაის გავეყარე, უის — შევეყარეო.

ყიზილბაშთა ჯარის შემოსვლის დროს ხომ არ აღმოხდა ეს სინანული ქართველ კაცს? თავის ჯარს მალე დაედევნა ნადირი. მაგრამ ვიდრე ბანაკს აყრიდა, მანამდე დააპატიმრა ქართლ-კახეთის თავკაცები — თეიმურაზ კახთა მეფე და გივი ამილახორი. მიზეზი? მათ ერთგულებაში შეიტანა ეჭვი. ხოლო ქართლ-კახეთის მმართველად თეიმურაზ მეფის ძმისწული ალექსანდრე დანიშნა.

პირობა: ახალმოვლენილ მმართველს დაევალა, თბილისს რვა ათასი თუმანი ხარჯი დააკისრეო.

3 ათასი თუმანი ფულად და სამი ათასი ხარჯლის* ხორბალი გლეხობის გადასახდელი გახდა.

* ფუთი.

ამით არ დაკმაყოფილდა ნადირი. ძვირად შეუფასა ქართველთ ოსმალთა განდევნა. ორი ათასი რჩეული მეომარი ითხოვა თავისი ლაშქრისათვის. ესეც აღუსრულეს. მაგრამ ქართველმა მეომრებმა ვერ აიტანეს ის ძარცვა-რბევა, რასაც ყიზილბაშები ქართლის სოფლებში სჩადიოდნენ და გაიქცნენ... ამან განარისხა ნადირი. თბილისს ეწვია და 17 დღის განმავლობაში „დააქცია ციხე-გორისა, ქალაქს თაბორი, გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, 4 ათასი ზემო ქართლს, 4 ათასი საციციანოს...

და კიდევ: იყო ტირილი და ვაება ტყვეთაგან. ეგრევ ნუხლიან ქრისტიანენი და ვისაც ძალედვა იხსნიდიან და განუტევიან, ისე გაიაფდა ტყვე, რომ თითქოს ვაჟკაცს ორ-ორ მინალთუნად აძლევდიან, რომელიც არ გაუვიდისთ, ცხვრულებ ყელსა სჭრიდიან და ზოგს წყალში ჰყრიდიან“.

პაპუნა ორბელიანი შენიშნავს:

— რაც ძველთ ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხარკი დასდვეს, ვითაც ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ისე ამ ქვეყანას განუწესეს, თვალეს ვაზები. ეგრე ვაზის სათვალავს რასაც მიხვდნენ, ვაზს ერთი ბისტი* დასდვეს. სოფელსა და ბაღსა შინა რაც ხე ნახეს, თითო შაური დასდვეს. კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისა ათს წლამდის ხარჯი დასწერეს. ყმაწვილზე, პირუტყვზე, ყოველს ზედა განაწესეს: ბოსტანსა, წის-

* ორი კაპიკი.

ქვილსა, ყოველსაფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოველს კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო... ამა ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა. მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის ხელით კაფდის და აოხრებდის...

როცა ამ სტრიქონებს ვკითხულობდი, მე განმაცვიფრა მისმა მშვიდმა წყობამ: უსაშინელესი სურათის გადმოცემის აღუშფოთებელმა მანერამ, მაგრამ ეს წამით მოხდა მხოლოდ. მაშინვე გამახსენდა, რომ ჟამთააღმწერს, ამდენი უბედურებისა და ხოცვა-ჟლეტის მომსწრეს, აღარ შერჩენოდა ძალა... ემოციებისათვის. მისი „მშრალი“ მზერით გადმოცემული ყოველი მოვლენა თუ ამბავი იმდენად შთამბეჭდავი, იმდენად სასტიკი იყო, თუ ყველაფერს ცხოვლად წარმოიდგენდი, შეიძლება სასოწარკვეთამდე მისულ ადამიანთა ყვირილიც გაგეგონა. დაგენახა ლუკმაპურისათვის აწანწალებული მოსახლეობა. გზის პირებზე დაკიდული ქალი და კაცი, რომლებსაც ჯოხის ცემით ხდიდნენ სულს. დაინახავდი, როგორ მოჰქონდათ ყიზილბაშებს სამი მილიონი ლიტრა პური, და როგორ გარეკეს ბეგარაზე რვა ათასი უღელი ხარი...

იფეთქა აჯანყებებმა. ნადირს ხშირ-ხშირად იპყრობდა შეშფოთება. იგი მიხვდა, რომ გურჯისტანის საბოლოო მოსრას ვერასოდეს შეძლებდა. აღმოსავლური ვერაგობა ძნელია ამოსახსნელად. ნადირმა უმალ შესცვალა პოლიტიკა და განრისხებული მბრძანებლის ნაცვლად ქართლ-კახეთის მესვეურებმა საოცრად თვინიერი და დამთმობი

ნადირ-შაჰი დაინახეს. მის „მზრუნველობას“ საზღვარი აღარ ჰქონდა: გაათავისუფლა პატიმრობაში მყოფი თავადები, შეირიგა გივი ამილახორი, დაიმეგობრა თეიმურაზ მეორე. თავისი ხანები ირანს გაიხმო და 1744 წელს ქართლის მეფედ ქრისტიანი მეფე თეიმურაზი სცნო, ხოლო კახეთის მეფედ თეიმურაზ მეორეს პირმშო — ერეკლე მეორე.

მაგრამ სამ წელსაც არ გაუვლია და ნადირ-შაჰს ისევ გაუხსენა ძველმა „სენმა“ — ქართლ-კახეთს 200 ათასი თუმანი გადასახადი შეაწერა. ამდენი ფულის შეგროვება წარმოუდგენელი რამ გახლდათ იმ ხნობისათვის: აოხრებული და გაძვალტყავებული ქვეყანა ძლივს ირჩენდა თავს.

დასხდნენ ბჭობად ერეკლე და თეიმურაზი.

მაგრამ თათბირი ხანმოკლე გამოუვიდათ, რადგან მისი არსი თავიდანვე გულში ეთბუნებინა ორივე მეფეს: ყიზილბაშს გადასახადის ნაცვლად ხმალი უნდა დავახვედროთო.

თეიმურაზი ანანურს გაიხიზნა.

ერეკლე — უჯარმის ციხეში გამაგრდა.

ისევ გადაუარა საქართველოს საბედისწერო ღრუბელმა.

შედრკნენ დასნი საღმრთონი. შიშით აღაპყრნენ ღრუბლისაკენ თვალნი. ვიღაცამ თქვა: შეხეთ, ღრუბელს არწივის მოხატულობა აქვსო.

სასიკეთოდ თარგმნეს ამგვარი უჯმაჯური.

მართლაც, ნადირ-შაჰს არ დაუჯდა ჭკუაში აჯანყებულ ქართლ-კახეთთან შებრძოლება. გა-

დასახადზე უარი თქვა და ჯერჯერობით მშვიდობიანი ურთიერთობა ამჯობინა.

მაგრამ ქართლის ცაზე გაქვავებულმა ღრუბელმა სხვა გამოსახულება მიიღო და მას აბდულა-ბეგის სახელი დაერქვა. გამაჰმადიანებული ქართველი დიდგვაროვანი კარგა ხანია ქართლის მეფობაზე ოცნებობდა. გადაიბირა ქართლის თავადთა უმრავლესობა, მოისყიდა ლეკთა ბელადები, ამირ ასლან ხანს რვა ათას მებრძოლს დაესესხა და თბილისში დაბანაკებულ ერეკლე მეორეს კაცი გაუგზავნა: ქალაქი დამიცალეო.

როგორ ფიქრობთ, რა ხასიათისა იქნებოდა ერეკლეს პასუხი?

სიცილით გული რომ იჯერა, მერე უცებ მოიქუფრა და მოკლედ მოსჭრა: სადამდის სული მიდგას, ჩემგან აქედან გასვლა არ იქნებაო.

თუმცა მივყვეთ „თბილისის ისტორიას“:

„ორივე მხარე საომრად გაეწყო. ქალაქი საფრთხეში იყო. ეკლესიაში ანტონ კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა „აკურთხა მეფე ერეკლე ჯარითურთ და გაბრძანდა ქალაქით ომათ“. ერეკლეს ახლდნენ ორბელიანნი, ზურაბიშვილები, იარალიშვილები, სოლოღაშვილები, გაბაანი, თურქისტანიშვილები, რომელთაც რევაზ ორბელიანი სარდლობდა. მათთან იყო აგრეთვე პაპუნა ქიზიყის მოურავი ქიზიყელებით. აქვე იყვნენ მოქალაქენიც. ესენი თაბორს მიადგნენ. ხოლო ერეკლე წავკისის მხრიდან უტევდა. აბდულა-ბეგის მომხრეებსა და ერეკლეს მომხრეთა შორის პირველი შეტაკება მოხდა თაბორის ციხესთან. პაპუნა ორ-

ბელიანი ასე აგვიწერს ამ ბრძოლას: „შეიქმნა ომი ფიცხელი, რომ თოფის ხმისაგან აღარა ისმოდა რა და კომლისაგან ჯარი აღარ ჩანდა“. პირველი დარტყმის შემდეგ აბდულა-ბეგის ლაშქარი შედრკა და გაიქცა, გაქცეულ ჯარს ერეკლე დაედევნა: „დაუწყეს კაფა, რომ ღვთის რისხვა დასცეს, რა დაშვრა ჯარი ხოცისაგან, მოსდიან შუბი ანუ ხმალი და ხუთი და ექვსი თითო კაცმა ყიზილბაში ეგრე იჭირის. მიყვნენ იაღლუჯის ბოლომდე, დარჩათ კარავი, მოფენილობა, თუ რამ სხვა“. ეს ომი, ერეკლეს ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. სირცხვილნაჭამი აბდულა-ბეგი სამშვილდეს მივიდა. ერეკლე თბილისში შემოვიდა, სადაც მას დიდი ზეიმი მოუწყვეს“.

ხოლო ერეკლე „დაჯდა ნადიმად, ნახა ლხინი მას დიდი ზეიმი მოუწყვეს.

მაგრამ ლხინი გასრულებული არ იყო, ისევ გამოჩნდა ავის მომასწავებელი ღრუბელი. აბდულა-ბეგი ახლა ლეკთა ჯარით დაემუქრა ქართლს.

რამდენი აბდულა-ბეგისნაირთა შემოსევა ახსოვს ჩვენს მიწას?

რამდენი შინაური მტერი?

ისტორიამ შემოგვინახა ერთი ფრიად უსაზიზღრესი ფურცელი. იგი 1765 წლით არის დათარიღებული. მიზეზი: შეთქმულება ერეკლე მეორეს წინააღმდეგ.

მოქმედი პირნი: ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი — პაატა.

ამილახვრის შვილი დიმიტრი;

ერეკლეს სახლთუხუცესი — ელიზბარ თაქთაქიშვილი;

იოანე თაქთაქიშვილი;

ამილახვრის შვილი—ალექსანდრე;

გლახა ციციშვილი...

მოქმედების ადგილი. თბილისი. მარკოზაშვილის სახლი.

ჩვენ განგებ არ დაგვიწყია მთავარ მოქმედ პირთა ჩამოთვლა ბატონიშვილი პაატათი. 1724 წლიდან იგი რუსეთში ცხოვრობდა ვახტანგ მეექვსესთან ერთად. სწავლობდა ევროპაში, იმ დროისათვის განათლებულ პიროვნებად ითვლებოდა. მაგრამ შური და ღვარძლი არ ასვენებდა ბატონიშვილს — ქართლის მეფობაზე ოცნებობდა და მომხრეებს ევროპის ქვეყანაში ეძებდა. ჩაეშალა ვოიაჟი და სპარსეთს მიაშურა. სპარსეთის მბრძანებლის ქერიმ-ხანის უარმა საბრალოდ გამოიყვანა წონასწორობიდან.

ო, ეს ტახტი!

ო, ეს დიდების შარავანდედი!

როგორ ასულმდაბლებს და აშმაგებს ადამიანს!

პაატამ ერეკლეს მოწინააღმდეგეთა ძებნა თავის სამშობლოში განაგრძო. მან მკვლელთა მთელი ბანდა შეაგროვა.

დაინიშნა ერეკლეზე თავდასხმის დღეც. მაგრამ შინდისელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა შეთქმულთ დაასწრო და ერთი დღით ადრე ყოველივე უამბო მეფეს...

ასე შეიკრა კიდევ ერთი სისხლიანი ტრაგედია,

რომლის ფინალი მართლაც რომ შემაძრწუნებელი იყო:

პაატა — თავი მოჰკვეთეს.

დავით-აბდულა-ბეგის შვილი — თავი მოჰკვეთეს.

ელიზბარ თაქთაქიშვილი—კოცონზე დასწვეს.

დანარჩენთ — „ნასაღი“* და საყოველთაო შერცხვენა.

დარჩა ნალექი — სულის ამომაბრუნებელი და მღვრიე. როგორც ჩანს, ამ ნალექის დაწმენდა თითქმის შეუძლებელი იყო. ერეკლეს მტრები ხან სად წამოჰყოფდნენ თავს და ხან—სად.

ხოლო ეს დაუსრულებელი ბრძოლა ყიზილბაშ მეციხოვნეებთან?

ანდა შავი ჭირის ეპიდემია, რომელმაც მარტო თბილისში ოთხი ათასი კაცი იმსხვერპლა?

რომელი ერთი უნდა გაიხსენო!

ან რომელს მიაპყრო ყურადღება?

ერეკლე ტანით იყო პატარა, თორემ მისი სახელი ევროპამდე აღწევდა, — იტყვის ალბათ ჩემი თანამედროვე და მართალიც იქნება. საოცრად შორსმჭვრეტელსა და უნარიან წინამძღოლს მუდამ ახლისკენ, პროგრესულისკენ ეჭირა თვალი. ავიღოთ მისი დამოკიდებულება თავადებთან... ივი ცდილობდა თავადი ნახევრად დამოუკიდებელი

* ნასაღი — ფიზიკური დაღის დამჩნევა. მაგალითად, ალექსანდრე ამილახორს ცხვრი მოსჭრეს და ქუსლები დანით დაუსერეს.

პოლიტიკური ერთეულიდან გადაექცია ჩვეულებრივ საქვეყნო გამრიგე მოხელედ. ეს გამრიგე-მოხელე კი მთლიანად დამოკიდებული იქნებოდა ცენტრალური ხელისუფლების სურვილებზე.

მაშინვე დღის წესრიგში დადგა გლეხთა ეკონომიკური და სოციალურ-უფლებრივი საკითხი. გლეხი უმეტეს წილად ორი ბატონის მსახური იყო. — საკუთარისა და უცხოსი (თბილისის ისტორია). ამის შედეგი სახეზე გახლდათ: გლეხს — ქვეყნისა და ერის დასაყრდენს — მოძულებული ჰქონდა თავი. გულგრილად უყურებდა ყველაფერს და სულაც არ ეპიტნავებოდა სამშობლოს მომავალი.

და აი, მაშინ, ერეკლემ ბრძანა: (ბატონთა საყურადღებოდ)... რომელიც ამ გლეხების დებულება არ არის და არა სდებიათ, იმის გარდა თუ რამ მეტი მოინდომეთ, ჩვენგან მოსაკითხავი იქნება. ამათ სამართლიანი საქმით მოექეცით, თორემ თუ კიდევ ამით ჩვენთან გიჩივლეს, იცოდეს, რომ გიწყენთ...

აიკრძალა გლეხის უმიწოდ გაყიდვა.

აიკრძალა ოჯახის დაშლა.

ტყვეობიდან თავდახსნილ გლეხს სრული თავისუფლება ეძლეოდა;

ქვეყნის სხვადასხვა მხარეს დაიგზავნა საგანგებო კომისიები. ამ კომისიებს მეფისათვის უნდა დაებრუნებინათ ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს თავადების მიერ მიტაცებული სახასო ყმები...

აღსდგა დანგრეული ქალაქები და სოფლები,

გაიხსნა სკოლები, სასწავლებლები, სემინარია (თელავში), თბილისის ფილოსოფიური აკადემია, ამუშავდა სტამბა — „აღავსეს წიგნითა ქართლი“, გაჩნდა ფაბრიკები, ქარხნები, დაიწყო სასარგებლო წიაღისეულის ამოღება-დამუშავება.

წახალისდნენ ხელოსნები და ვაჭრები ახალი კანონით, უშვილო მოქალაქის ქონება, მისი სიკვდილის შემდეგ (ადრე მეფის განკარგულებაში რომ გადადიოდა) მემკვიდრეობით ერგებოდა შორეულ ნათესავსაც.

თბილის-ქალაქს ზარბაზნების ჩამოსხმა დაიწყეს. აგერ სტატისტიკური მონაცემები: ეკატერინე მეორესაგან ბოძებულ 40 ზარბაზანს დაემატა თბილისის ქარხანაში ჩამოსხმული 85 ზარბაზანი, ხოლო კერძო ციხესიმაგრეთათვის, თავადების დაკვეთით 140 დამზადდა.

გაივლის კიდევ მცირე ხანი და პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორე იტყვის: „მე ევროპას ვბატონობ, ხოლო აზიას — დაუმარცხებელი ერეკლე მეფე საქართველოსი“...

ეკატერინე მეორე ვოლტერს მისწერს: „იგი უძლეველი მბრძანებელია, გონიერი და მამაცი, სახელგანთქმულ ნადირ-შაჰს ინდოეთი დაალაშქვრინა...“

●

ჩემს ფიქრებთან ვრჩები. თვალწინ მიდგას ერეკლეს სახე. სევდიანი, დაღლილი. ნეტავ, რას შეუშფოთებია იგი? იქ ლურჯ მთათა მიღმა ხომ არ დალანდა-ბადონი? ალბათ, ღრუბლის კარაპა-

ში ზის ეს აბადონი. ხელში წვრილი სანთელი — კერასი უჭირავს. ჰოი, რა მაცდურია მისი სიმშვიდე! ეს კარგად იცის საქართველოს მეფემ. იცის, მისი მრავალსახეობაც. ნიღბები. ნაცნობი გამომეტყველება. ფარისევლური ღიმილი, ზურგში მოჭერილი დანა. ნუთუ არასოდეს ეღირსება სიმშვიდე? თუნდაც წამიერი? იგი დაიღალა გამუდმებული ომებით.

1795 წლის მაისია. უკვე მერამდენე წელიწადია გარდაიცვალა ქერიმ-ხანი. ცუდი ამბები ისმის ისფაჰანიდან. ციხიდან გაიქცა აღა-მაჰმად-ხანი. შეაგროვა თანამგრძნობნი. დაიპყრო თალიში, გილანი. მაზანდარანი. სატახტო ქალაქად თეირანი გამოაცხადა. საითკენ დაიჭერს გზას გაბოროტებული საჭურისი? სულ უფრო და უფრო ახლოვდება აბადონი. სად გაქრა ერეკლეს თავდაჯერება? საკუთარი თავის რწმენა? იგი გენერალ გუდოვიჩთან აგზავნის დესპანს. ჯარი! მოაშველეთ ჯარი! თუნდაც სამი ათასი კაცი! მაგრამ გენერალი გუდოვიჩი აბა რის გენერალია თუ დამოუკიდებლად მიიღო რაიმე გადაწყვეტილება?! ერეკლეს კაცს — გარსევან ამილოხორს პასუხისათვის პეტერბურგს ისტუმრებს...

ღრუბლის კარაპა მდინარე აქსტაფასთან ჩერდება. ხდება სასწაული — აბადონი აღა-მაჰმად-ხანის სახეს იღებს. იგი სულ მცირე ხნით ჩერდება, რათა ყაზახის, ბორჩალოსა და შამშადილის თავკაცებს უთხრას: „ხელ-ფეხი შეუკარით ჩვენი დიდების წყაროს—ისლამის შეურაცხმყოფელთ, დავშალოთ ეს ერთი მუჭა ქართველები ისე, რო-

გორც კალატოზები შლიან ძველთაძველ სახლს“...

წინ კრწანისის ომია, ისტორიის ყველაზე უთანასწორო და უსასტიკესი ომი.

ისფაჰანელი საჭურისის გამარჯვება დამარცხების ტოლფასოვანია.

ამ ბრძოლის შემდეგ იგი იტყვის:

— რამდენი ბრძოლა გადამიტანია. ვისთან არ მიბრძოლია. მაგრამ მე არ შემხვედრია ისეთი გმირი მოწინააღმდეგე, როგორიც ქართველები არიან!

ვითომ არ განადიდა ამით თავისი თავი?

გმირთა გმირად წარმოუჩნდა კაცობრიობას. მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, რომ ქართველთა ხუთიათასიან ლაშქარს სამოცდაათიათასიანი ჯარი დაუპირისპირა, რომ მარტო ერთ შეტაკებაში ცამეტი ათასი ყიზილბაში დაკარგა, რომ... თუმცა რაღა გასაგრძელებელია. განა არ ვთქვი, რომ კრწანისის იარა, აგერ, ორი საუკუნის შემდეგაც გვტკივა-მეთქი?

ისფაჰანელი საჭურისი აღზევდა. თურქეთის სულთანმა გამარჯვება მიულოცა და თავისი სამსახური შესთავაზა. კმაყოფილებით მოისრისა ხელი საფრანგეთმაც — ამ გამანადგურებელ თავდასხმაში რუსეთის ავტორიტეტის შებღალვა შეაგულა. აღა-მაჰმად-ხანმა საფრანგეთის წისქვილზეც დაასხა წყალი!

ხოლო თვითონ? გრძნობდა თუ არა, გარდუვალი შურისგების მოახლოებას? გრძნობდა. ერეკლე ახალი ბრძოლისათვის აგროვებდა ლაშქარს. ხოლო დარიალის ხეობიდან თბილისისაკენ მომა-

ვალი რუსის ჯარის ფეხისხმამ მოაღწია. აფორიაქდა საჭურისი, — ისფაჰანს გაიჩქარა.

განგებას ასე ენება — დაუმარცხებელ ერეკლეს აღა-მაჰმად-ხანის ჯავრი სამარეში უნდა ჩაჰყოლოდა. მაგრამ ორი წლის შემდეგ საქართველოზე ხელახალი ლაშქრობის დროს ქალაქ შუშაში აღა-მაჰმად-ხანი მისივე დაახლოებულმა პირებმა მოჰკლეს.

ჟამთა აღმწერნი ახსენებენ ვინმე სადიჰს, წარმოშობით ქართველს, ვისი მოქნეული დაშნითაც განიგმირა მტარვალი. ეს სადიჰი დაბრუნდა სამშობლოში, დაიბრუნა ადრინდელი სახელი — ანდრია, და ქრისტეს სამსახურში განესრულა.

მაშ, როგორ, გაჰყვა ვითომ ერეკლეს ისფაჰანელი საჭურისის ჯავრი?

●

გრძელდება ჩვენი მოგზაურობა.

მოულოდნელად ვამჩნევთ, კლავდიამ მოიწყინა.

თვალს გვარიდებს.

რა მოსდის?

მივჩერებივართ მის მეუღლეს.

კლავდია კი ფრთხილად იმშრალებს დანამულ უპეებს და გზას გაჰყურებს.

— ერეკლე! — ამბობს ნაღვლიანი, გაბზარულხმით, — მე ისე მეცოდება მეფე ერეკლე!

,

ჩვენ ისევ ვუბრუნდებით საქართველოს საძ-

ხედრო გზის ისტორიას. მოსკოვის სამთავრო საქართველოსაკენ ილტვის. ღვას 1585 წელი. მეფე თეიმურაზ კახეთის მეფე ალექსანდრეს თავის ელჩს დანილოვს უგზავნის. დამეგობრებასა და მფარველობას სთავაზობს. კახეთის მეფის თანხმობა მოსკოვს საგანგებოდ წარგზავნილ ყაფლან ვაჩნაძესა და ბერ კირილეს ჩააქვთ. ისინი უკან რუს ელჩებთან ერთად ბრუნდებიან. თავადი ზვენიგოროდსკი მოუძღვით. ზვიადი დარიალი ძალზე აფერხებს მათ მოგზაურობას. ამიტომ ერთი წლის შემდეგ ზვენიგოროდსკი იძულებულია დაქირავებული ასი კაცით ააშენოს თერგზე გადასასვლელი ხიდები, გააფართოოს გზა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ დარიალის ხეობას პატრონი გამოუჩნდა. ამისთვის კიდევ საუკუნეებია საჭირო. კერძოდ რუსეთ-საქართველოს ისტორიული ტრაქტატი. 1783 წლის 24 ივლისს დაიდო იგი. ხოლო სექტემბრის პირველი რიცხვებისათვის ამ გზის კეთილმოსაწყობად უკვე სერიოზული ნაბიჯი იყო გადადგმული. მას დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: ამ გზით რუსეთის მთავრობა მთელს კავკასიაზე აპირებდა თავისი ძალაუფლების გავრცელებას. დადგინდა — სასწრაფოდ აეშენებინათ საგუშაგოები, სამხედრო საყრდენი პუნქტები, სადგურები... გზის ინტენსიურ მშენებლობას საგანგებო ყურადღებას აქცევს პავლე ციციშვილი. იგი საქართველოს მთავარმართებელია. მას ხელთა აქვს გენერალური გეგმა მოზდოკიდან — თბილისამდე, ამ გეგმას პირობი-

თად აწერია... „ალექსანდრესეული გზის პროექ-ტი“.

ჰო, რუსეთის ტახტზე ახლა ახალი მეფე ზის, ალექსანდრე პირველი!

მაგრამ ვიდრე ალექსანდრე დაჯდებოდა მისთვის „კუთვნილ“ ტახტზე, მან მოთმინებით აიტანა მამამისის — პავლე პეტრეს ძეს აღზევება! არა, ყველაფერი არ მოხდა ისე როგორც ეს იმპერატრიცას ენება.

მისი გარდაცვალების შემდეგ სასახლე შტურმით აიღეს გატჩინოს პოლკებმა. გასრულდა ე. წ. „ქალთა მმართველობა“. მაგრამ პავლეს გამეფებას ეჭვი უშლის ხელს. ეჭვი, რომ არსებობს ეკატერინეს ანდერძი.

და აი, მაშინ...

ეკატერინეს ფავორიტის პლატონ ზუბოვის ძმამ — ნიკოლოზმა, გაიგო თუ არა, სად ინახება, და, „უმნიშვნელოვანესი საბუთი“, ბევრი არ უფიქრია, როგორც ისტორიოგრაფები აღნიშნავენ, — „ამოიღო რაღაც ფურცელი ეკატერინეს კარადიდან“ და პავლესთან აფრინა. პავლემ დახედა ფურცელს, ნაკუწ-ნაკუწად აქცია, გადაეხვია ზუბოვს და წმინდა ანდრიას ორდენით დააჯილდოვა. ხოლო ტახტზე ასვლის შემდეგ, — სამეფო კარის ობერ-შტალმაისტერად გააწესა.

კორონაციის დროსაც ასევე „რაღაც დიდი დამსახურებისათვის“ უხვად დაჯილდოვდა ეკატერინეს მეორე ფავორიტი — ბეზბოროდკოც.

რით ხასიათდება პავლე პირველის მეფობის წლები?

აინტერესებს თუ არა მას საქართველოს საკითხი?

იგი ჩქარობს, რათა აღარ განმეორდეს აღა-მაჰმად-ხანის ხელახალი, ენით აუწერელი რბევა. დარიალის ხეობაში ისევ ისმის რუსის ჯარის სიმღერა, ზარბაზნების გუგუნი... თვით თბილისს რამდენიმე ათასეული უდგას დარაჯად. ხოლო შემდეგ გამოდის მანიფესტი — ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად ცხადდება.

რა არის ეს — პანინის ზრუნვის შედეგი?

არა, პავლე პირველს უკვე აღარ სჭირდება კანცლერის „ნათელი გონება". უგულებელყოფილია დემოკრატიული კონსტიტუციაც. პავლე პირველს თავისი პროგრამა გააჩნია.

„საბრალო პავლე" ბრძანებს, მასთან შეხვედრისას ხელქვეითებმა მუხლებზე უნდა დაიჩოქონ (სულერთია, სადაც იქნება ეს), და ისე სცენ თაყვანი...

ნახევარი საუკუნის შემდეგ გერცენი იტყვის:

— პავლე პირველი გვირგვინდადგმული დონ-კიხოტის სასაცილო და უსაზიზღრეს სანახაობას წარმოადგენდაო.

ალე იქცა პრინცი ჰამლეტი დონ-კიხოტად.

დონ-კიხოტად იხსენიებს მას ნაპოლეონიც!

ხოლო ხალხი?

— Нет Павлуша, не тягайся
Ты за Фридрихом Вторым,
Как ты хочешь умудряйся
Дон-кихот лишь перед ним.

მისანი აბელი პავლე პირველს მოახლოებულ სიკვდილს ამცნობს. მისანს ციხეში აგდებენ...

მაგრამ წინასწარმეტყველება სრულდება. სასახ-
ლის კარზე ახალი შეთქმულებაა. ალექსანდრე
შვილი პავლესი და შვილიშვილი ეკატერინესი
დიდიხანია უმიზნებს მონარქის გვირგვინს...

მერე, წლების შემდეგ ამ „წინასწარმეტყვე-
ლების“ მოტივი საგულდაგულოდ იქნება შესწავ-
ლილი.

ერთიანდება ორი დიდი ძალა—პანინი და პალე-
ნი. რუსეთის პოლიტიკის სათავეები მათ ხელშია.
მათ ხელშია პავლე პირველის ბედიც—პანინი რუ-
სეთის ხსნას პავლეს ტახტიდან ჩამოგდებასა და
მის იზოლაციაში (პატიმრობა) ხედავს. პალენი—
მონარქის სიკვდილში... იცის თუ არა ამის შესახებ
მისმა უფროსმა ძემ — ალექსანდრემ? იცის და გა-
ყუჩებულია. იცის, რაც ელის მამამისს... მოახლოვ-
და ფინალიც: თორმეტი შეთქმული თავს ესხმის რუ-
სეთის მონარქს. ღამის პირველი საათია. პალენი
სწრაფად გარბის დერეფნებში... ზევით! პავლე
პირველის სამყოფელისაკენ!.. ოპერაციის წარმა-
ტება მხოლოდ მის ელვისებურობაშია! ღმერთმა
ნუ ჰქნას, რომ პავლე გაუსხლტეთ და ჯარისკა-
ცებს წარუდგეს... ან ვინმემ მისი სახელით საშ-
ველად მოიხმოს ისინი... პავლეს ოჯახს საშუალო
ჩინის ოფიცრები დაეპატრონენ. ისინი „გვარდი-
ელთა დიდგვაროვანთა“ წარმომადგენლები არიან.
1796 წლის ხელმძღვანელობას „სიგიჟედ“ რომ
თვლიან. ეიდელმანი „საუკუნეთა მიჯნაში“ აღ-
ნიშნავს: ოცი წლის შტაბს-კაპიტანი სკარიატინი
შეუდგა საქმეს. მან დაიყვირა: „ხვალ ჩვენ ყვე-
ლას ეშაფოტზე გაგვისტუმრებენ. მერე ყველაფე-

რი აირია. აქ იყვნენ პოლკოვნიკი იაშვილი, მაიორი ტატარინოვი, გორდინოვი, სკარიატინი...

ეს უკანასკნელი, როცა დერეფანში თავმოყრილ სხვა შეთქმულთ წარუდგა, კისერზე შარფი ჰქონდა შემოხვეული. შარფი, რითაც გასრულდა იმპერატორის სიცოცხლე.

ეს იყო 1801 წლის 12 მარტს, განთიადზე.

...საღამოსათვის პეტერბურგს ლუქნებსა და სარდაფებში ერთი ბოთლი შამპანური აღარ დარჩა: პეტერბურგი შუშხუნა ღვინის აღლუმით მიაცილებდა „უღიმღამო ზამთრის საშინელებებს.“ იდგა გაზაფხული, ახალი საუკუნის დასაწყისი.

მაგრამ დავუბრუნდეთ 1801 წლის მარტის შუაღამეს... პავლე პირველი მოკვდინებულია.

აღვიძებენ იმპერატრიცას. მარიამ თეოდორეს ასული შეშფოთებული შესაქერის სტატს-დამა ლიველს.

რაშია საქმე?

სასახლის რჩეულთა წინაშე მან უნდა დალოცოს ახალი ხელმწიფე ალექსანდრე!

დრამა კულმინაციურ წერტილს აღწევს.

ერთმანეთში ითქვიფება მწუხარება და პატივმოყვარეობა: განა თვითონ არ არის ტახტის კანონიერი განმგებელი?!

იგი ნეუღლის ოთახისაკენ გარბის. მაგრამ აჩერებენ:

„მადამ, რად გინდათ ეს კომედია?!“

არც სარკმელთან მისვლის უფლებას აძლევენ, რათა პავლეს ერთგული ჯარისკაცები იხმოს... „მოაცილეთ აქაურობას ეგ დედაკაცი!“

ყვირის ვიღაცა. ნუთუ ეს ის ნიკოლოზ ზუბოვია. პავლეს სიყვარულით რომ სარგებლობდა?

პალენი ალექსანდრესაკენ მიიჩქარის: „დიდო ხელმწიფევ, გთხოვთ დაიკავოთ თქვენი ადგილი!“

ისევ შეიცვალა სასახლის ცხოვრების წესი.

მაგრამ საქართველოს მისამართით მომზადებული მანიფესტი იგივე დარჩა: (თავდაპირველად ალექსანდრე პირველმა შორს დაიჭირა თავი, მაგრამ იგი დააჭერეს მანიფესტის აუცილებლობაში) საქართველო შეუერთდა რუსეთს!

დარიალი და მისი გზა ნომერ პირველ პრობლემად ცხადდება სამეფო კარზე. არსებობს საგანგებო ბრძანება, საღაც ჩამოთვლილია დარიალის ხეობაში ჩასატარებელი ყველა სამუშაო.

„ალექსანდრესეულ გზას“ საბჭედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. მისი დღევანდელი სახელწოდებაც სწორედ აქედან მოდის: Военно-Грузинская дорога“. გამოცოცხლდა ვაჭრობა. ჩრდილო კავკასია აგრარულ ზონად ცხადდება, მზადდება ვლადიკავკაზისა და მოსკოვის დამაკავშირებელი რკინიგზის პროექტი. (მარტო დარიალის ხეობის კეთილმოწყობისათვის რუსეთის მთავრობამ გამოჰყო 41 ათასი მანეთი. ხოლო კიდევ ოცდაათი ათასი ხიდების მშენებლობისათვის.

ფიქრით ვხედავ: გუგუნებს ხეობა. უზარმაზარი კლდეები უკან იხევენ. გაჰყავთ გზა. ლარსის ციცაბო ასასვლელი განზე რჩება. თერგი ძველ კალაპოტს უბრუნდება. აგერ—საფოსტო სადგურებიც. მიმოქრიან ომნიბუსები, დილიჟანსები, ეტლე-

ბი, ფურგონები... შემოღებულია საგანგებო საფოსტო კავშირი.

აგერ დიდი პუშკინი!

აგერ—უზარმაზარი ტოლსტოი!

აგერ საქართველოს მამა — ჭავჭავაძე.

იწერება: „მოგზაურობა არზრუმში“, „მგზავრის წერილები“, „კაზაკები“, „კავკასიის ტყვე“.

იქმნება „თერგდალეულთა“ უზარმაზარი მატიანე!

„მგზავრის წერილებს“ ვიხსენებთ.

„... — თქვენ ერთი რამ უნდა გკითხოთ: თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდის?

„ — მაგისას ვერას მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში არა ვყოფილვარ.

„ — ეგ არაფერი, მე ახლავე შევიტყობ, როგორ მიდის: რამდენი გენერალი გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

„ — იქნებ ერთი ოციოდე შეგროვდეს.

„ — რაო, ოციოდეო... ო, ო, ეგ დიდი საქმეა, — წარმოთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა — ოციოდე!.. ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი! არ მჯერა. იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვათ, დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკებსაც მართალ გენერლებში სთვლით, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, იქნება შტაცკის გენერლებსა, ანუ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა,

უულვაშო გენერლებსაც ბართალს გენერლებში ხთვლით?“...

დიდ ილიას თავისი ოპონენტის გასაჩუმებლად მარტო პეტრე ბაგრატიონის სახელიც ჰყოფნიდა. მან კი ბრძენი კაცის ღიმილი ამჯობინა: არა, ჩემმა მზემ, არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ.

იქნებ აქ, დარიალის გზაზე, იმ წუთს ილიას გენერალი პავლე ციციშვილი გაახსენდა? საქართველოს სამხედრო გზის ისტორია მის სახელს ყველაზე გამორჩეულ ადგილს უთმობს. ვინ იყო იგი? ძველ თავადთა შთამომავალი. გიორგი მეთორმეტეს მეუღლის მარიამის ნათესავი. დაიბადა მოსკოვში, 1754 წელს დიმიტრი ციციშვილის ოჯახში (სვესენწკას, ანუ ვსეხსვიატსკოეს ქართული კოლონია? ცხადია). თვით დიმიტრი ცნობილი პიროვნებაა. განათლება პეტერბურგში მიუღია. აღიზარდა კადეტთა კორპუსში. შვილიც სამხედრო სამსახურში გაამწესა. ჯერ პრეობრაჟენსკის ლეგიონი. 1778 წელი. თავადი პავლე ციციშვილი პოდპოლკოვნიკის ჩინით მეთაურობს გრენადერთა ლეგიონს. პირველი საბრძოლო ნათლობა ხოტინთან—მის სახელს დიდების შარავანდედით მოსავს. მერე ჰასან ფაშას არმიის განადგურება და პოლონეთზე ლაშქრობა. მის სიმამაცესა და თავდადებას ბრიგადერის წოდებით აღნიშნავენ. კიდევ რამდენიმე წელი და იგი გენერალ-მაიორია. ერთ-ერთი ლაშქრობის წინ სუვოროვი მიმართავს ჯარისკაცებს: „იყავით ისეთი შეუდრეკელნი და მამაცნი, როგორიც გენერალ ციციანო-

ვია!“ იმპერატორის კარზე იგი სასურველ და საყვარელ პიროვნებადაა მიჩნეული, ეკატერინე მეორე მას „ჩემო გენერალოს“ ეძახის. პავლე პირველს ეს აღიზიანებს. მას უკვე შედგენილი აქვს იმ მხედარმთავართა სია, სასახლის კარს რომ უნდა ჩამოაცილოს. პავლეს გამეფება და ციციშვილის გადასახლება — ერთია. მაგრამ ალექსანდრე პირველმა ისევ მოიკითხა მამაცი გენერალი. სახელმწიფო საბჭოს კანცელარიაში სამხედრო ნაწილის ექსპედიტორად მიიწვია და გენერალ-ლეიტენანტობაც უბოძა.

ალექსანდრე მეფეს სულ უფრო ხშირად აფიქრებს საქართველოს საკითხი. ლაზარევის ჯარი უკვე საქართველოშია. ქვეყანას რუსი მოხელე კოვალევსკი განაგებს. ეს არის თვითნებობისა და საყოველთაო უკმაყოფილების წლები. მმართველობის უმაღლესი მთავრობის ჩინოვნიკები გადასახლებაში ყოფნად მიიჩნევენ თავიანთ სამსახურს. ვითარება: მექრთამეობა, გამოძალვა, ანგარება! — აი, მათი საქმიანობის დევიზი. თვითონ კოვალევსკი ისე იქცევა, თითქოს „ცით მოვლენილი“ მბრძანებელია ამ მხარისა: მისი „გამეფება“ შეუმჩნეველი არ რჩება პეტერბურგს. გადაწყდა: რთული ვითარება უნდა გამოასწოროს ისეთმა პიროვნებამ, რომელმაც კარგად იცის კავკასია, ამასთან — სამხედრო და სახელმწიფო სამსახურში პირუთვნელ პიროვნებად არის მიჩნეული. არჩევანი

პავლე ციციშვილზე შეჩერდა. ალექსანდრე პირველი კმაყოფილებით შეხვდა ამ კანდიდატურას. ალექსანდრეს ბრძანებით გენერალ-ლეიტენანტი ციციანოვი ინიშნება კავკასიის ხაზის ინსპექტორად, ასტრახანის სამხედრო გუბერნატორად და საქართველოს მთავარმართებლად. მისი პირველი რეზიდენცია ქ. გეორგიევსკია. გეორგიევსკი მოწმეა ახალი ხელშეკრულებებისა. მაჰმადიანური პროვინციების ხანები იძულებულნი არიან სცნონ რუსეთის უზენაესი ხელისუფლება.

გენერალ ციციშვილს საქართველოს სამხედრო გზა საგანგებო ყურადღების საგნად გაუხდია. ამის გარდა იგი განუხრელად ზრუნავს:

აოხრებული ქვეყნის მოშენება-დასახლებისათვის;

სოფლის მეურნეობის გამოცოცხლება-გაუმჯობესებისათვის;

ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისათვის;

საფუძველი ეყრება საფაბრიკო-საქარხნო წამოწყებებს;

განათლებას...

იგი საგანგებო წერილში აყალიბებს თავის კრედოს:

— ჩემი დამოკიდებულება ჩემს წინაპართა საყვარელ სამშობლოსადმი მაიძულებს მოვაგონო დაბნეულ პირებს და საჯაროდ განვუცხადო მამაც

და ენერგიულ ქართველ ხალხს, რომ ვიბრძოლებ ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ*.

გაუქმდა სატრანსპორტო ბეგარა (ამოისუნთქა გლეხობამ).

ნატურალური გადასახადი ფულადი გადასახადით შეიცვალა.

განახლდა თუჯისა და სპილენძის დამუშავება.

დამთავრდა ქუთაის-სურამის ასი კილომეტრის სიგრძის გზის მშენებლობა.

ციციშვილს პირველს ებადება აზრი, რათა თბილისიდან ბაქოსკენ გაიყვანონ გზა...

ხოლო ჯარი?

მოჰყვა კი რაიმე პროგრესი მის შემოსვლას?

1803 წელი. 22 ოქტომბერი.

ჯავად ხანისადმი მიწერილი წერილიდან:

— განჯა თამარ მეფის დროიდან საქართველოს ეკუთვნოდა და მხოლოდ ქართველ მეფეთა სისუსტის გამო დაჰკარგა იგი...

ჯავად ხანი: უბედურ ღმერთს ჩამოუყვანიხართ პეტერბურგიდან და სამაგიეროთ პასუხსაც მიიღებთ...

„სამაგიერო პასუხი“ კი ის გახლავთ, რომ ციციშვილმა იერიშით აიღო განჯა. 17 ათასი ტყვე

---

* შ. მეგრელიძე ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები. აგრეთვე წიგნზე მუშაობისას გამოვიყენე „ქართლის ცხოვრება“, „თბილისის ისტორია“, ე. ვეიდენბაუმის „კავკასიური ეტიუდები“, ო. არჯევანიძის „საქართველოს სამხედრო გზა“. ს. მაკალათიას „ხევი“, თ. სანიკიძის „გერგეტი“, კრებული — მ. ი. ლერმონტოვი — თანამედროვეთა თვალით, ნ. ეიდელმანის — „საუკუნეთა მიჯნა“, ვლ. ციციშვილის „ქართველები მოსკოვში“.

ჩაიგდო ხელთ. განჯას ახალი სახელი ელისავეტოპოლი — დედოფალ ელისაბედ ალექსის ასულის პატივსაცემად უწოდა. სიონის ტაძრის გუმბათის გასაკეთებლად შესაწირავი გასცა. აღადგინა 1795 წლის დარბეული ზარაფხანა. ხოლო მისი გახსნის დღე აღნიშნა საგანგებო მედლით, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „იბერია“: „კოლხიდა“.

საქართველოს დაუბრუნდა ჭარ-ბელაქანი — მეთექვსმეტე საუკუნიდან მიტაცებული მიწა-წყალი. ამ ოპერაციისათვის პავლე ციციშვილი ალექსანდრე ნეველის ორდენით დაჯილდოვდა.

სოფელს ბიაშურა ლეკიანობით დაშინებულმა გლეხობამ. რუსის ჯარის სიახლოვე მათთვის იმედის ის შუქი გახლდათ, რომელმაც ათბუნა გაპარტახებული მეურნეობა. ფეხი მოიკიდა ხორბლის ახალმა ჯიშმა (ჩინურმა), იგი მშრალ ნიადაგს კარგად ეტანდა და გამოსავლიანობითაც ხასიათდებოდა. ფართოდ დაინერგა მეაბრეშუმეობა, სელის ღეროებიდან პირველი ქსოვილი დამზადდა.

სხვა? ციციშვილის მითითებით იხსნება თბილისის ორკლასიანი სასწავლებელი. მიზანი: „საქართველოში ევროპული განათლების პირველი სხივის შემოტანა“. თავადაზნაურობამ სამხედრო სამსახური ცხოვრების დიდ გზაზე გასვლის პირობად ჩათვალა. ცნობილ ოჯახთა შვილები სამხედრო სასწავლებლებში იგზავნებიან.

მაზრებში საექიმო უწყებები ამოქმედდნენ.

მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფა-

კულტეტზე ყოველწლიურად თორმეტი ახალგაზრდა იგზავნება.

თბილისში იხსნება პირველი აფთიაქი.

კიდევ რა გეგმები აქვს პავლე ციციშვილს?

ახშობს თიანეთის აჯანყებას. ლაშქრავს ლიახვის ხეობას, რუსეთის მფარველობის ქვეშ აერთიანებს ყარაბაღისა და შექის ხანებს, შურაღელის სულთანს და ჯარი ბაქოსაკენ მიჰყავს.

და აი, მაშინ...

ქსნის ერისთავი ელიზბარი მთავარმართებლის სახელით ეახლა ჰუსეინ ყული ხანს: დამორჩილება მოსთხოვა. ყული ხანმა თანხმობა განაცხადა. ციხის გასაღების გადაცემის დროს ბაქოდან ნახევარი ვერსის დაშორებით, მამასახლისები პურ-მარილით ეახლნენ სარდალს. მაგრამ კეთილგანწყობის უკან აღმოსავლური ცბიერება იყო დადარაჯებული. გასაღების გადაცემა და დამბაჩის გასროლა ერთი იყო: მთავარსარდალი სასიკვდილოდ განგმირული დაეცა მიწას...

სახელოვანი სარდალი ქართველმა ხალხმა ბაქოდან თბილისში გადმოასვენა. იგი დაიკრძალა სიონის ტაძარში.

ისევ გზა...

ისევ ფიქრი.

ისევ მოგონება.

ამჯერად: აწ დავჰშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!

არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა,

ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შეწყდეს, მოთქმით რა
ერგოს გულ-წყლულსა?
შეღამდა... მარტო ვზი ჭმუნვით; ჩემი ჩივილი ვის
ესმის?
დაყრუვდა არე... მხოლოდა ხმა ისმის ზოგჯერ
გუშაგის.
მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან
ცათამდის,
და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის...

ტარიელი ამყვა: წყალნი მთით დაქანებულნი,
უფსკრულსა იკარგებიან;
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს
ეუბნებიან!

ჩვენი მეგობრები მოჯადოებულნი სხედან. მათ ერთი სული აქვთ გაიგონ, თუ ვის ვკითხულობდით...

რას ეუბნებათ მათ გრიგოლ ორბელიანის სახელი?

სახელოვანი გენერალი და კავკასიის მეფისნაცვლის მრჩეველი საბჭოს თავმჯდომარე. კიდევ? ჩვენი მეგობრები დაჟინებით მისჩერებიან ერთმანეთს. მგონი კავკასიის მეფისნაცვალიც იყო, ამბობს კლავდიას მეუღლე.

ტარიელი იღიმება.

— მეგობრებო, — ამბობს იგი. — წამით წარმოიდგინეთ 1861 წელი. აგვისტო. საქართველოს სამხედრო გზა. მლეთა. უამრავი ხალხი. სახელდახელო მიტინგი. საქართველოს მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ ორბელიანი. (ეს სწორედ მისი ლექსი წაგიკითხეთ). იგი სი-

ტყვით მიმართავს შეკრებილთ. გასრულდა თითქმის ექვსი წლის სამუშაო: 1855 წლიდან 1859 წლამდე მიმდინარეობდა დუშეთის ტრასის მშენებლობა. ხოლო კიდევ ორი წელი დასჭირდა მლეთის აღმართ-დაღმართის მოწესრიგებას. მადლობა ამ გზის ავტორს ინჟინერ-პოდპოლკოვნიკ სტ[illegible]ოვსკის. მადლობა ყველა მშენებელს... გზა გახსნილად ცხადდება. ოფიციალური პირები, სამხედრო ნაწილთა წარმომადგენლები, მშენებლები, სტუმრები— ტაშს უკრავენ. ერთი წუთით არ წყდება ორკესტრის ხმა. გუგუნებს „ურა". გრიგოლ ორბელიანი ჭრის ლენტს... მლეთის დაღმართს ჯერ ესკადრონი ჩაუყვა, მერე ქვეითა ნაწილები. სულ ბოლოს — სამოქალაქო ტრანსპორტი.

პოეტი, მეომარი და სახელმწიფო მოღვაწე? — უკვირთ ჩვენს მეგობრებს. ამდენი შესანიშნავი ღირსება ერთ ადამიანში?

რა შეიძლება ურჩიო მათ? რომელი ლიტერატურით შეაიარაღო?

უმალ გვახსენდება: ელგუჯა მაღრაძე „გრიგოლ ორბელიანი".

ჩვენ უსათუოდ წავიკითხავთ ამ წიგნს, — ამბობენ ჩვენი მეგობრები, მაგრამ ახლა, ამ წუთს, ზოგადად ხომ შეიძლება წარმოგვიდგინოთ მისი პიროვნება?

ინებეთ: 1871 წელი. გამოჩენილ ქართველ პოეტს პირველი საოფიცრო ჩინის მიღებიდან ორმოცდაათი წელი შესრულებია. საქართველომ ერთხელ კიდევ გამოუცხადა თავისი დიდი სიყვა-

რული მხცოვან იუბილარს. სწორედ იმ სამ შესანიშნავ ღირსებათა გამო: სამხედრო, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა თითქმის ყველა უმაღლესმა პირმა მოიდრიკა მის წინაშე ქედი. მერე ზეიმმა ქალაქის ბაღში გადაინაცვლა. მთელი საქართველო ილხენდა იუბილარის სუფრასთან. ხოლო მეფემ ანდრია პირველწოდებულის ორდენი უბოძა იუბილარს...

— სად აღიზარდა იგი? — იკითხა კლავდიამ.

— ჩვენთან, საქართველოში!

— განათლება სად მიიღო?

— ჩვენთან, საქართველოში... ჯერ კეთილშობილთა სასწავლებელი. მერე თბილისის საარტილერიო სასწავლებელი...

— ეს არის სულ?

— ამას დაუმატეთ, დიდი ცხოვრება. რუსეთი. გარემო: ლერმონტოვი, პუშკინი, გრიბოედოვი, დეკაბრისტთა მთელი პლეადა... 1832 წლის შეთქმულება. ნევის საზღვაო პოლკი... და, რა თქმა უნდა, ის ღვთიური ნიჭი, რომლითაც თვითონ იყო დაჯილდოებული. დღეს ჩვენ ვამბობთ: დიდი ქართველი პოეტი — რომანტიკოსი, გამოჩენილი სარდალი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე... „თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“... მაგრამ თქვენ იცით, კიდევ რამდენი ასეთი სახელოვანი სამხედრო ადამიანი ჰყავდა ჩვენს ერს? მე, მგონი, უკან რომ დავბრუნდეთ, და თავიდან დავიწყოთ მოგზაურობა, მათ ჩამოსათვლელად მაინც არ მეყოფა დრო... ასე არ არის განა?

ილია ჭავჭავაძე: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ...

თითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თითოეულს ჩვენგანს მის გამონაკვებზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონაკვების მიხედვით გამოურჩევია“.

აკაკი წერეთელი: ...„ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსა-

ხორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.

იაკობ გოგებაშვილი: „უმჭიდროესი ერთიანობა რუსეთთან — აი ორკეცი დევიზი, რომელიც მოისმის ხალხის ცხოვრების სიღრმიდან და რომლისადმი მტკიცე ერთგულება, გონებრივი, ზნეობრივი და მატერიალური წარმატების პირობებში ჩვენს განაპირა მხარეს გადააქცევს ერთ-ერთ მადლიან კუთხედ და ბრწყინვალე მომავალს შეუქმნის მას.

...ქართველი, მაგალითად, რომელსაც შეიძლება არც კი ესმოდეს არც ერთი რუსული სიტყვა და რომელსაც უყვარს თავისი ეროვნება და თავისი დედა ენა, რომლებიც მან ათასწლოვან ბრძოლებში გადაარჩინა და დაიცვა მილიონობით მტრებისაგან, დიდი ხანია რუსეთს თვლის თავის სამშობლოდ და რუსი ერის თავისებურებათა და თვისებათა პატივისცემასა და სიყვარულში ნამდვილ მოსკოველს არ ჩამორჩება.

დიდ რუს ხალხთან მჭიდრო დაახლოება აზიარებს მას სხვა, უკეთეს, უფრო ფართო და უფრო ნათელ ცხოვრებას და გადაუშლის დიად მომავალს, ყველასათვის ცნობილია და ყველას თვალში ეცემა ის ფაქტი რომ რაც უფრო განათლებულია ესა თუ ის კავკასიელი ხალხი, მით უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული რუსეთთან.

...ეს პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე.

ერთხანს ჩვენი გეორგიევსკიელი მეგობრები ჩუმად სხედან. მერე კლავდია კითხულობს: „რამდენი კილომეტრი იქნება მცხეთიდან ორჯონიკიძემდე?“ „მე მგონი 195! — ამბობს ტარიელი. — ხომ არ დაიღალეთ?“ — „რას ამბობთ — უცნაურად აფახულებს წამწამებს კლავა,—არ მეგონა ამ გზასთან ამდენი რამ თუ იყო დაკავშირებული“. „ჯერ სადა ხარ, — ისმის მისი მეუღლის ღუღუნა ბარიტონი. — მთავარი წინ გველის. თუ ჭკვიანად იქნები, შეიძლება დემონისა და თამარის სამფლობელოც გიჩვენოთ“. „თქვენ გგონიათ, ჩემი პატარა გული დაიტევს ამდენ სიხარულს?“ — კისკისებს კლავა.

თამარის ციხე მართლაც არის დარიალში. ამ ციხის აშენებას თამარ მეფეს უკავშირებენ. მაგრამ მას არავითარი კავშირი არა აქვს XII საუკუნის მეფის პიროვნებასთან. ეს სახელი მას დაერქვა მწერლის ფანტაზიის წყალობით. ისიც, აგერ ახლა — მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ლერმონტოვმა ღარიალის ხეობით იმოგზაურა. მოჯადოვდა მიუვალ კლდეზე აშენებული ციხით, ზღაპრული სანახებით, მკაცრი ბუნებით. საქართველოში ყოფნის დროს მან მოისმინა ლეგენდა თამარ ცბიერზე, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს დედოფალზე, სახელოვან მეფეთა და მთავართა ქიშპობის საბაბი რომ გამხდარიყო. მოიხაზა დემონის სიუჟეტი. ხოლო მოქმედების ადგილად თავისთავად გამოიწვერა დარიალის ხეობა,

მისი ციხე. ასე გაჩნდა საქართველოს სამხედრო გზაზე „თამარის ციხე“.

— მაშასადამე, დარიალი რომ არ ყოფილიყო, არც „დემონი“ გვექნებოდა? — გაკვირვებით გვიყურებს კლავდიას მეუღლე.

— ვინ იცის, — მხრები აწურა ტარიელმა. — ეს კია, რომ დიდმა მგოსანმა ჩვენს მიწაზე განძს მიაგნო.

— ასეთები ბევრნი იყვნენ! — ამბობს კლავდია. — პუშკინი, გრიბოედოვი, ტოლსტოი...

მე ვუმატებ: ბესტუჟევ—მარლინსკი, ოდოევსკი, ვერდერევსკი, კიუხელბეკერი, ოსტროვსკი, უფრო აქეთ — უსპენსკი, ჩაიკოვსკი, ჩეხოვი...

— გორკი?! — წამოიძახა კლავდიამ. — გორკი რატომ დაგვავიწყდა?

— იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ წარსულში ვიმყოფებით, — იცინის კლავდიას მეუღლე, — იმიტომ რომ გორკის ეპოქამდე მთელი საუკუნეა გასავლელი!

უკან დარჩა თერგი, ორჯონიკიძე, სუნჟის სანახები. წინ ხუთი მთაა — მთათა თანავარსკვლავედი. — ბეშთაუ, მაშუკი, ზმეინაია, ლესოი, ჟელეზნაია. მათ შორის დევს ლამაზი ქალაქი პიატიგორსკი... აქედან გეორგიევსკამდე ორმოციოდე ვერსია. ჩვენი მეგობრები თითქმის შინ არიან. მაგრამ, ვატყობთ, არ ეჩქარებათ...

— ლერმონტოვის ადგილებს არ ნახავთ?

— ვინა თქვა, რომ არ ვნახავთ? — გაოცება ეხატება ტარიელს. — ჩვენ ხომ სწორედ იქითკენ მივეშურებით?

— ლერმონტოვი ჩემი სტიქიაა! — სიამაყით წარმოსთქვამს კლავდია.

მერე ჩვენ აუჩქარებლად მივყვებით მაშუკის ბილიკებს. ახალნაწვიმარია და ფეხსაცმელის ლანჩა სრიალებს სველ ბალახზე. ირგვლივ უამრავი ხალხი ირევა. გარბიან ჯგუფებად — ექსკურსიამძღოლითა და გზამკვლევებით შეიარაღებულნი...

აქ მოჰკლეს ლერმონტოვი? ამ ხესთან? ამ ბუჩქთან? ამ ქვის ახლო?

ჩვენს ზევით ცისარტყელაა. ერთი წვერი ბეშთაუს კალთაზე უდევს. მეორე სადღაც, კავკასიონის მთაგრეხილთან იკარგება.

ჩვენს წინ ტანწერწეტა გოგონა მიაბიჯებს. ჯინსებში გამოკვართულს, სიარული უჭირს. ვშველით.

კლავდია ჩაფიქრებულია.

— აი, აქ ამ ადგილას მოჰკლეს ლერმონტოვი... — ამბობს ბოლოს.

— რას ამბობთ! — თითქმის ჩურჩულებს გოგონა და შეშინებული გვიყურებს.

— მაშინ წვიმდა, — განაგრძობს კლავდია. — უფრო ზუსტად, მაშინ გაწვიმდა, როცა იგი უსულოდ დაეცა მიწაზე. ატყდა ქარიშხალი და მეხთატეხა. მარტინოვი მაშინვე გაიქცა, რათა კომენდანტისთვის მოეხსენებინა დუელის ამბავი. გლებოვი, ტრუბეცკოი და სტოლიპინი გაცბუნებულნი იდგნენ ლერმონტოვის ცხედართან.

მე წარმოვიდგინე ის საღამო.

ცა გუგუნებს. წვიმს კოკისპირულად.

სტოლიპინი და გლებოვი პიატიგორსკისაკენ მიეშურებიან ეტლის მოსაყვანად: ცხედარია წასა-

ლები. ახლა კი ცხედარი მიწაზე დევს. ლაბადა აქვს გადაფარებული. მის გარშემო ბალახზე სხედან ალექსანდრე ვასილჩიკოვი და სერგეი ტრუბეცკოი. ეტლი იგვიანებს. როგორც მერე ირკვევა, არავის უნდა დუელში მოკლულის გადაყვანა.

ძალზე ჩამობნელდა. რამდენიმე ნაბიჯზე ვეღარაფერს გაარჩევ.

თქეში მატულობს.

უცებ ბორბლების ჭრიალი და ცხენის ფეხის ხმა გამოკვეთა ქარმა. ვასილჩიკოვმა და ტრუბეცკოიმ ცხედარი წამოსწიეს...

— რომელი წელი იდგა? — გვეკითხება ჯინსებიანი გოგონა. — ათას რვაას ორმოცდაერთი?

— ჰო, ათას რვაას ორმოცდაერთი, — კვერს უკრავს კლავდია. — მაგრამ მისი სიკვდილი გაცილებით ადრე მზადდებოდა...

1838 წელი. კავკასია. იგი ატყობს, რომ გასრულდა სიყმაწვილის უზრუნველი ჟამი. ბევრს ფიქრობს. მუშაობს. პეტერბურგში გამომცემელს თავის ბოლო რვეულს უგზავნის. მაგრამ ხდება გაუთვალისწინებელი და გამოუსწორებელი რამ: თბილისიდან გასულ ფოსტას საქართველოს სამხედრო გზაზე ესხმიან ჩეჩნები. იკარგება ყველა პაკეტი და ამანათი. მათ შორის ლერმონტოვის რვეულიც. ამ რვეულის აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა. დარჩა მხოლოდ რამდენიმე შავი მონახაზი. ვითომ ამან წარმოშვა სევდა? იგი ადგილს ვერ პოულობს კავკასიაში. ღამითაც თითქოს ღაბნი (მელანქოლია)

უზის საწოლთან და ძილს უმძიმებს. ეს თანდათან იჭოლება მის ნაწერებშიც. იქნებ პეტერბურგს ჰპოვოს შვება? მას აძლევენ იმპერიის დედაქალაქში გამგზავრების უფლებას, ლერმონტოვს, როგორც დიდ პოეტსა და გმირს ეგებება პეტერბურგი. ბუნებრივია, იგი პოპულარულია ქალთა წრეშიც. პეტერბურგის სალონებში იგი სასურველ სტუმრად მიაჩნიათ. ეს მამაკაცებს აღიზიანებს. ერთ სალონში მისი თანდასწრებით კამათობენ პუშკინის სიკვდილზე. ეს საკმარისია, რათა გრაფმა დე ბარანტიმ იპოვოს ლერმონტოვის გაღიზიანების საბაბი. ბარანტი საოცრად ახალგაზრდაა, იგი ჯერ ისევ მამის — საფრანგეთის ელჩის კალთასაა ამოფარებული. მაგრამ კარგად იცის, რა მოჰყვება დუელს. პირველი სროლის უფლება ხომ მისია! ეს იყო მეორე დუელი — რუს პოეტსა და რუსეთში მცხოვრებ ფრანგ მოხელეს შორის, პუშკინი და დანტესი.

ახლა?

ლერმონტოვი და ბარანტი!

ვითომ ესეც ბედისწერაა?

მაგრამ ფრიად გასაიდუმლოებული ბრძოლის ამბავი მაინც იჟონება.

პეტერბურგს შიშის ქარბორბალა აფორიაქებს.

ო, ეს უკვე მეტისმეტია! — კვინიხს აღწევს საფრანგეთის ელჩის ბედოვლათი ვაჟის თავხედობით გამძვინვარებული პეტერბურგის ხავილი.

მაგრამ რა ხდება თვით ლერმონტოვის სულში?

რატომაა იგი შეწუხებული?

იგი ერთ-ერთ თავის ნაცნობს სთხოვს მოინახუ-

ლონ პეტერბურგელი მისანი — ვინმე ალექსანდრა ფილიპეს ასული კირხჰოფი.

ამ გერმანელ მისანს თავის დროზე ალექსანდრე პუშკინისთვის უწინასწარმეტყველებია: „თეთრი კაცის“ ხელით მოკვდებიო.

ალექსანდრა მაკედონელი?* — უკვირს მეგობარს. — შენ რაღა გაქვს სამარჩიელო?

ლერმონტოვი უდარდელი კაცის ნიღაბს ეფარება.

— მომწონს სალონური ცხოვრება. მინდა გავიგო, გამიგრძელებენ თუ არა შვებულებას.

...ალექსანდრა ფილიპეს ასული დიდხანს დასცქერის ლერმონტოვის ხელისგულს.

გაქვავებული სახე.

ცივი თვალები...

ოთახში ბნელა.

თითქოს ქვესკნელიდან ისმის მისანის ჩახრინწული ხმა:

არა, ლერმონტოვი აწი ვეღარასოდეს იხილავს პეტერბურგს. არც შვებულებაში გასვლა ეღირსება. რადგან: მას ელის „სხვა შვებულება“, რომელიც ყოველგვარ საზრუნავ-საფიქრალისაგან გაანთავისუფლებს...

წყეული მეგერა! — გულიანად იცინის ლერმონტოვი. იცინის მეგობრის დასანახავად. სინამდვილეში კი — ო, როგორ მძიმედ უძგერს გული!

შებინდებისას იგი თანდათან მშვიდდება: რო-

* გერმანელ მისან ქალს ამ სახელით იხსენიებდა მაშინდელი პეტერბურგი. ეს ზედმეტი სახელი უკბილო ხუმრობის ნაყოფი გახლდათ და ალექსანდრე მაკედონელის მამის — ფილიპეს სახელთან იყო დაკავშირებული.

ვორც იქნა, გაუგრძელეს შვებულების ვადა! ესეც შენი მისანი! ესეც მისი წინასწარმეტყველება?!

ქრება გულში აფართქალებული ეჭვი.

ასეთი გახალისებული იგი იშვიათად უნახავთ კარამზინების სახლში. აქვეა ვლადიმერ სოლოგუბიც. ერთი წლის წინათ ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკში“ — გამოქვეყნდა მისი ვრცელი ამბავი „დიდი სამყარო“ — მთავარი გმირი ლეონინი ლერმონტოვის პროტოტიპია. კნეინას მარიამ ნიკოლოზის ასულის კარნახით შეიქმნა ეს ნაწარმოები. მიზანი: ფართო საზოგადოების თვალში პოეტის დამცირება, სახელის გატეხა... მაგრამ ხდება პირიქით, ლერმონტოვის სახე ძალზე შენიღბული და მკრთალი აღმოჩნდა, ხოლო კრიტიკის მთელი სუსხი თვით უმაღლესმა საზოგადოებამ იწვნია. ლერმონტოვი ღიმილით ხვდება სოლოგუბს. არა, მას არ ეხება „მაღალი სამყარო“ და ლეონინი. რა თქმა უნდა! ყოველ შემთხვევაში ასე უჭირავს თავი.

ლერმონტოვი: — ვლადიმერ! ღმერთმანი, შესანიშნავი ნაწარმოები დაგიწერია! — ერთხანს დუმს, დაჟინებით უყურებს სოლოგუბს და მერე თანდათან ექუფრება სახე. — გეთაყვა, ოღონდ სიმართლე მითხარი. როგორც კეთილმა და მართალმა მეგობარმა, ვარ ვითომ ნიჭიერი?.. სიმართლე მითხარი!

ყველა ამჩნევს, როგორ დაიბნა სოლოგუბი, როგორ აერია სახე.

ბოლოს, იგი თითქმის ყვირის:

— ღმერთს ნუ სცოდავ, ლერმონტოვ! ასეთი წიგნების შემდეგ?!

— კარგი, აბა, — აწყვეტინებს ლერმონტოვი,— თუ ეგრეა, ყური დამიგდე. როცა უკან დავბრუნდები, შენ, უკვე დაცოლშვილებულს გიპოვი, უფრო დადინჯდები, დაბრძენდები. ალბათ, მეც. და ჩვენ ორთავენი გამოვცემთ სქელტანიან ჟურნალს...

იგი სარკმელთან დგას და კითხულობს:

На воздушном океане
Без руля и без ветрил
Тихо плавают в тумане...

რა მოსდის ლერმონტოვს? რამ დაუნამა თვალთა უპენი? იქნებ პუშკინის ხსენებამ იმოქმედა?

— არა, ძმებო, — ამბობს ლერმონტოვი. — აბა, სად მე და სად პუშკინი. თან იმის დროც არა მაქვს, რომ ვიმუშაო. — და უცებ ნაღველი ეპარება.— ალბათ მე მომკლავენ, ვლადიმერ!

რა არის ეს, წინათგრძნობა? წამიერი შიში?

რამდენიმე დღის შემდეგ იგი ილებს კავკასიაში გაწვევის უწყებას. წყეული მეგერა!— თრთის ლერმონტოვის ყოველი ნერვი. — ნუთუ დადგა საბედისწერო ჟამი...

პეტერბურგის უკანასკნელი ღამე.

გამოსათხოვარი ვახშამი. გულჩათხრობილია იმ დროის ცნობილი პოეტესა ევდოკია როსტოპჩინა, ზის მობუზული, ნაღვლიანი თვალებით მისჩერებია ლერმონტოვს.

მათ ბევრი რამ აკავშირებთ ერთმანეთთან: სიყმაწვილე, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, მეგობრობა, შეხედულებები...

შეიკრა ჯადოსნური წრე. გაირკვა ლერმონტოვის მოულოდნელი გამოძახების საიდუმლოც:

ფრანგ ბარანტისთან დანიშნული დუელისათვის დაისაჯა იგი!

ლერმონტოვი სარკმელთან ზის.

ილევა ღამე.

იცრიცება ცა.

რას ხედავს იგი?

რომელ ვარსკვლავს მისჩერებია?

...გაივლის სულ მცირე დრო და იგი ისევ გახედავს გაცრეცილ ცას და მიმწუხრის ვარსკვლავს, ოღონდ ამჯერად მის ზემოთ პიატიგორსკის ცაა და შოტლანდიიდან დანიშნული ადგილისაკენ მიეშურება. დგას 1841 წლის 15 ივლისი. ღამდება.

მისი სიცოცხლის წუთები დათვლილია.

რას გრძნობს იგი?

რას კარნახობს შინაგანი ხმა?

გლებოვი (სეკუნდანტი): იგი ისე გახალისებული გამოემგზავრა, თითქოს ნადიმზე მიეჩქარებოდა. არავითარი წინათგრძნობა მოახლოებული სიკვდილისა. მხოლოდ სინანული: ნეტავ, დაეთხოვათ სამხედრო სამსახურიდან და პეტერბურგში დაეტოვებინათ! მაშინ იგი თავისუფლად შეძლებდა დიდი ხნის ჩანაფიქრის ხორცშესხმას. ეს გახლავთ ორი რომანი. ერთი კავკასიას ეხება, კერძოდ, თბილისს. მოქმედება ხდება ერმოლოვის დიქტატურის ჟამს, სპარსეთის ომითა და კატასტროფით, რომლის დროსაც დაიღუპა გრიბოედოვი, ახლა კი (სამხედრო სამსახურს გულისხმობდა!) იგი იძულებულია გულხელდაკრეფილი იჯდეს, როცა ამ ჩანაფიქრთა საძირკველია ჩასაყრელი. ორი კვირის შემდეგ ნაწილს უნდა დაუბრუნდეს. ნაწილი კი შე-

მოდგომაზე ექსპედიციაში მიდის. იცის განა ვინმემ, როდის დაბრუნდება ნაწილი უკან?

ლერმონტოვს გატენილ დაშბაჩას აწვდიან.

რას ნიშნავს ეს?

წინა ღამის უბრალო გახუმრებამ მოიყვანა იგი აქ.

უცებ გონს მოეგო.

„როგორ ფიქრობთ, განა მე ძალმიძს იგი გავიმეტო?“

...მარტინოვის ნასროლი ტყვია საბიკვლილოა!

ამჯერად ვერავინ შეაჩერა ეს ორთაბრძოლა.

●

ახლა ჩვენ ყველამ ვიცით, რა სულიერი საზრდო მისცა მას კავკასიამ.

თავადაც ამბობდა: — ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ჩვენი დამოუკიდებლობით. რა საჭიროა, ევროპასა და საფრანგეთს რომ ვეპოტინებით? მე ბევრი რამ ვისწავლე აზიელებისაგან. ჩვენ მათ ცუდად ვიცნობთ. მაგრამ, მერწმუნეთ, — იქ, აღმოსავლეთში ზეშთაგონების უმდიდრესი საცავი მეგულება.

მიაგნო მან ამ საცავს?

თავად განსაჯეთ, — კავკასიამ და საქართველომ დააწერინა „ჰაჯი აბრაგი“, „დემონი“, „ისმაილბეი“, „მწირი“, „თერგის ნობათი“, „დავა“, „ვალერიკი“, „თამარი“, „პაემანი“, „ყაზბეგს“, „ლტოლვილი“, „კავკასია“... ეს შთაგონება ისევ აგრძელებს თავის ტრიუმფალურ სვლას. შეიქმნა: „კაზაკური იავნანა“, „ხანჯალს“, „ნუ სტირი, ნუ

სტირი, პატარავ“, „ოდოევსკის ხსოვნას“, „ჩვენი დროის გმირი“...

იმპერატორი ნიკოლოზ პირველი იძულებულია თვალი ადევნოს ლერმონტოვის შემოქმედებას:

„13/25 ივნისი. 1840 წ. 10 $\frac{1}{2}$...მე ვმუშაობდი და მხოლოდ „გმირს“ ვკითხულობდი. იგი კარგადაა დაწერილი.

„14/26. დღის სამი საათია. ვმუშაობდი და ვაგრძელებდი ლერმონტოვის კითხვას“...

ხომ არ გახდა ლერმონტოვი ამ მეტისმეტი ყურადღების მსხვერპლი?

იგი იმ მიწაზე მოჰკლეს, რომელსაც სამუდამო ერთგულება შეჰფიცა:

— მიყვარს კავკასია. მიყვარს კავკასია. მიყვარს კავკასია!

დაატარებს ქარი ჭაღარა მწვერვალებსა და ხევებს შორის იდუმალ მელოდიას.

●

— თქვენ იცით, რომ ლერმონტოვს კიდევ ჰქონდა ერთი დუელი?

გეორგიევსკელი მეგობრები გაკვირვებულნი მიყურებენ.

— ისიც თქვენს მშობლიურ ქალაქში. — განვაგრძობ მე.

— კარგით ერთი, ხუმრობთ. — ხელს იქნევს კლავდია. — დუელი გეორგიევსკში და მე არაფერი ვიცი?

— სიმართლე თუ გინდათ, ასეა.

— მეც არ გამიგონია, — გადაწურა წყალი კლავდიას მეუღლემ.

— ღმერთმანი, არ გეხუმრებით, — ვამბობ. — რომელი წელი იყო, ბატონი პორუჩიკი თქვენთვის კარგად ცნობილი მიზეზის გამო, გვარდიიდან ვეულიამინოვის რაზმში რომ გადმოიყვანეს?

— 1837!

— მართალი ბრძანდებით. მაგრამ სად იდგა ეს ველიამინოვის რაზმი?

— ვითომ გეორგიევსკში?

მე თავს ვუქნევ.

— ჰოდა, წარმოიდგინეთ: პიატიგორსკიდან გეორგიევსკისაკენ დაძრულ რაზმს ეტლით მისდევს ოთხი ოფიცერი. მათ შორის ლერმონტოვიცაა. პუშკინის სიკვდილის შემდეგ იგი ამზერით უყურებს გარშემო მყოფთ. გამომწვევად უჭირავს თავი. მისი ოხუნჯობა და იქედნური ღიმილი აცოფებს ოფიცრებს. წყდება მოთმინების ძაფი. შეურაცხყოფა ბარიერთან, დამბაჩებითა და სისხლით უნდა წარირეცხოს. ლერმონტოვი სიამოვნებით იღებს გამოწვევას. იგი იძულებულია ეტლიდან ჩამოხტეს და დარჩენილი გზა ფეხით გაიაროს. მაგრამ გეორგიევსკში მას სამი გამძვინვარებული ოფიცერი ელოდება.

სამი—ერთის წინააღმდეგ! — ასეთია დუელის პირობა.

მოიძებნა სეკუნდანტები. გეორგიევსკის ციხესიმაგრის ახლო მოინიშნა დუელის ადგილი. შეგროვდნენ ცნობისმოყვარენი. სეკუნდანტები უარზე არიან—ასეთი დუელი სასაკლაოდ მიიჩნიეს. ის სამი ჩქარა დაიყოლიეს შერიგებაზე. ლერმონტოვის დაყოლიება უფრო ძნელი გამოდგა: იგი უკმაყოფილო იყო დუელის ჩაშლით.

ტარიელი ჩუმად, მაგრამ გამოკვეთილად კითხულობს:

— მე ტფილისში ვარ პეტრე. გ. სწავლული თათარი და ახმედი; ქართველ დედაკაცს მივსდევ(აბანოებისაკენ; იგი მაძლევს ნიშანს. მაგრამ ვერ შევდივართ, რადგან — შაბათია. გამოსვლის ჟამს იგი ისევ მაძლევს ნიშანს. მივყვები. იგი თანახმაა დამნებდეს, ოღონდ მე ფიცი უნდა დავდო, რომ მის ნებისმიერ სურვილს შევასრულებ. ცხედარია გამოსატანი. გამომაქვს და ვაგდებ მტკვარში...

— რა არის ეს? — ვეკითხები. — ამონაწერი დაკითხვის ოქმიდან?

— არა, ჩემო ბატონო გიორგი, — ეშმაკურად წკურავს თვალებს ტარიელი, — სიუჟეტი მომავალი რომანისათვის...

— შენაც, შენაც გაცდუნა მუზების მფარველმა?

— რა, განა არ შეიძლება, მე რაც მზამზარეული სიუჟეტები მომდის! ათ და რატომ მეტ მწერალს არ გამოკვებავს!

— მერე რა გიშლის ხელს?

ტარიელი ხელებს შლის და თავს აქნევს.

— ნიჭი, ძამიკო, ნიჭი! ფა-ფუ!

— აბა, ეგ რა მოგიმზადებია? — ლამაზად ნაწერ ფურცელზე მივანიშნე.

— სიუჟეტი.

ამან მთლად დამაბნია. რა სიუჟეტი, რის სიუჟეტი, მეხუმრები?

— ნუ ცხარობ. — მამშვიდებს იგი — ჯერ ბოლომდე ჩავიდე?!

რა გზა მაქვს, ვუსმენ.

— მაშ ასე. გვამს მტკვარში ვაგდებ. გული შემიწუხდა. მიპოვეს და ჰაუბვახტში წამიყვანეს. მე დამავიწყდა ქალის სახლი. ჩვენ გადავწყვიტეთ მისი მოძებნა. ნივთმტკიცებისათვის ვვაძს ხანჯალი შევხსენი... წავუღეთ გეურქას. იგი ამბობს, რომ ეს ხანჯალი რომელიღაც რუს ოფიცერს გამოუჭედა. ჩვენ ვავალებთ ახმედს გამოარკვიოს, ვის ჰყვარობდა ოფიცერი. დენშჩიკისაგან იგებს, — ეს ოფიცერი დიდხანს დადიოდა მეზობელ სახლში, სადაც დედაბერი ცხოვრობდა ქალიშვილთან ერთად. მერე ქალიშვილი გათხოვდა. ვპოულობთ ამ სახლს. მაგრამ ქალი არა ჩანს. ახმედი სახლის გარშემო დაეხეტება. იგი გებულობს, რომ ერთხელაც ქმარი შინ მოსულა და მისთვის ვიღაცას ჩაუწვეთებია, რომ შენი არყოფნის დროს შენი სახლის ფანჯრიდან ვიღაც კაცი გადმოძვრაო... ჯერ ქმარმა თურმე დაჰკითხა ის ქალი, მერე — მთელმა ოჯახმა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქარვასლისაკენ მივდივართ. ვხედავთ: მოდიან — ქალი და კაცი. შეჩერდნენ და ჩვენსკენ დაიწყეს ცქერა. როცა გვერდით ჩავუარეთ, ქალმა თითით ანიშნა ჩემზე. ქმარმა კი თავი დაუქნია. იმ ღამის შემდეგ ხიდზე დამხვდნენ. ორნი იყვნენ. ხელი წამავლეს და სახელი მკითხეს. ვუთხარი. ერთ-ერთი მეუბნება: „მე ამა და ამ ქალის ქმარი ვარ“. ხიდიდან გადაგდება დამიპირა. მაგრამ მე დავასწარი და თვითონ გადავაგდე...

ტარიელი ფურცელს კეცავს და მაწვდის. ანგარიშმიუცემლად ვართმევ.

ტარიელს კი თვალები უციმციმებს. ოი, რა ეშმაკურად უციმციმებს.

— ვერაფერი გამიგია, ეს რა კოშმარი წამიკითხე?

— ხომ გითხარი, სიუჟეტია-მეთქი. სამწუხაროდ, მის შემდგენელს არ დასცალდა, თორემ ნაღდად გვექნებოდა ერთი მშვენიერი რომანი...

— კარგი ერთი, ამ კოშმარული ნაზავისაგან?

— თუკი მას თვით ლერმონტოვი შეასხამდა ხორცს? — როგორც იქნა გახსნა ტარიელმა თავისი მთავარი კოზირი. ამან მთლად დამაბნია. სიმართლე გითხრათ, ვერ დავიტრაბახებ, რომ ლერმონტოვის ყველა ნაწერი წაკითხული მაქვს-მეთქი. მაგრამ რაც კავკასიის პერიოდს ეხება... ხომ არ ეშლება რაიმე, ბატონ ტარიელს? — შევაპარე მორიდებით.

— ამ კითხვას ველოდი. — გაიღიმა ტარიელმა. — ამიტომ უტყუარ წყაროს ვიმოწმებ მ. ი. ლერმონტოვი, რჩეული თხზულებანი, ტომი მეოთხე, გვ. 350. ჟღერს?

ჩვენ დიდხანს ვიდექით იმ ადგილას, სადაც 1841 წლის 20 ივლისს მეფის რუსეთში დატრიალებული კიდევ ერთი ტრაგედიის ბოლო აქტი გათამაშდა.

მარტინოვის ტყვია სასიკვდილო აღმოჩნდა.

აქ, სწორედ აქ, მოჰკლეს ლერმონტოვი! — ვინ იცის, მერამდენედ იმეორებს გიდი.

— მართლა? — ამბობს მის გვერდით მდგომი ყმაწვილი. — მშვენიერი ადგილი ყოფილა! — და მეტი არაფერი. მორჩა, გაქრა, ამით ამოიწურა მისი დამოკიდებულება ისტორიასთან, რუსეთის უზარმაზარი პოეტის ბედთან.

მე წინააღმდეგი ვარ კოლექტიური ექსკურსიებისა. განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც სიჩუმე, მოკრძალება და თაყვანისცემაა საჭირო. უნიჭიერესი და ფრიად მომზადებული გიდიც რომ გყავდეს, კოლექტიური ექსკურსია მაინც მოვალეობის მოხდას ჰგავს. რჩება სამახსოვრო სურათი, ღია ბარათი, სუვენირი, მაგრამ არ გრჩება მთავარი — ის შორეული ამოძახილი, რომელიც გაფიქრებს, სულში გეღვენთება, გაფორიაქებს. რამდენჯერ მინახავს ამათუიმ წმინდა ადგილზე ღამისთევით რომ გაკრეფილან თანამეინახენი. ვითომ არის ეს სახელოვანი წინაპრის სახელის პატივისცემა? მაღალფარდოვანი სადღეგრძელოებით ვერ დაფარავ მათ „ნამოღვაწარს“ — მიყრილ-მოყრილ ბოთლებს, ცარიელ ქილებს, დაჭმუჭნილ ხელსახოცებს... აჩეხილ ბუჩქნარს. ამ რამდენიმე წლის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ წავიკითხე შესანიშნავი თაოსნობის შესახებ — უნივერსიტეტის სტუდენტებმა ერთი კვირა დღე არმაზის მიდამოების მოწესრიგებასა და აეურში მოყვანას მოანდომეს. ბარაქალა მათ! მაგრამ ერთი დღე კმარა? განა ჩვენი ძველთაძველი ძეგლები არ ითხოვენ განუხრელ ყურადღებას? უნივერსი-

ტეტის სტუდენტებს ამას ვერ დაავალდებულებ. მათ კარგი მაგალითი მოგვცეს. ამ მაგალითს ატაცება და გაგრძელება უნდოდა. ნუთუ მაინც-დამაინც „ზემოდან“ უნდა მიგვითითოს ვინმემ? თუ ის „ზემოთ“ მყოფი სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებითაა დაკავებული? რაო? არსებობს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი? დიახ, არსებობს. არსებობს ბუნების დაცვის კომიტეტი და საბჭოთა მილიციაც. მაგრამ ვისაც გულის მაგივრად ჭუჭყიანი ჩვრების ბურთი უდევს, იმას ვერავითარი კომიტეტითა და ადმინისტრაციით ვერ შეაშინებ. იგი ცხოვრების მომხმარებელია. გაქსუებული და უპასუხისმგებლო. ამასთან პატივმოყვარეც. იმდენად პატივმოყვარე, რომ თუ ხელი მიუწვდა, ერეკლე მეფის საფლავის ქვაზეც ამოკვეთავს ღილაკიანი დანით: „აქ ვიყავით 1981 წლის 7 აგვისტოს. გია — მარინა“. მადლობა ღმერთს, რომ ამ ბოლო დროს ასეთი „უკვდავების“ მაძიებელთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო. თორემ მათი სახელებით ლამის წაილეკა უნიკალური ძეგლები — საძარხები, ეკლესიები, ტაძრები, სასახლენი... არა, ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის კედელზე იგი არ ამოჭრის გვარსა და სახელს... სახლი ხომ მუდამ არ იქნება? გერგეტის სამება, სვეტიცხოველი, ჯვარი და ქაშვეთი ყოველთვის იყო და იქნება. შეინახავენ ვითომ ეს წმინდა ძეგლები ბებერ მხრებზე ამოკაწრულ სახელებს? რისთვის? რა დამსახურებისათვის? რომ „იყო“? მაგრამ იყო დავით, ფარნაოზ, ლაშა, თამარ, თეიმურაზი... იყო

სახელმწიფო მოღვაწეთა მთელი წყება, საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრით სამშობლოს გარეთ რომ დალიეს სული...

დონის მონასტრის მირქმის ეკლესია!

ყოფილხართ შიგ? ან ვიცით მის უნიკალურ თაღებქვეშ მოთავსებული ქართული აკლდამების არსებობა?

მარტო ამ საფლავების წარწერების ამოკითხვაც კმარა, რათა თვალწინ გადაგვეშალოს ჩვენი ერის ქარიშხლიანი და მწუხარე თავგადასავალი.

აი, ამ ვიწრო გზით წავიდნენ ისინი მოსკოვისაკენ. ილოცეს არმაზში, მუხლი მოიდრიკეს ჯვართან, ცრემლი აპკურეს სვეტიცხოველს და დარიალის ჭიშკრით გასულნი სამუდამოდ დარჩნენ იქ, რუსეთში.

ხომ იყვნენ ისინი?

იყვნენ! სულით მაღალნი, ძლიერნი, თავდადებულნი!

დარჩა მათი კვალი კეთილი — „ბოლშაია გრუზინსკაია“, „მალაია გრუზინსკაია“...

დარჩა ხვალინდელი დღე...

●

კლავა ამბობს: კარგი იყო გიტარა გვქონოდა... ერთი ძველებური რომანსი გამახსენდა. მეცხრამეტე საუკუნის რომანსი. მას მთელი რუსეთი მღეროდა. ეს იმიტომ, რომ იყო ერთი შესანიშნავი რომანისტი ბესტუჟევ-მარლინსკი. ადვილი შესაძლებელია ლერმონტოვსაც მისმა „ამა-

ლათ-ბეგმა“ შეაყვარა კავკასია. ეს ხომ ლერმონტოვის ადრეული წლების ჩანახატებიდანაც ჩანს, მახსოვს ასეთი ნახატი: ორი რუსი ოფიცერი დასცქერის ხანჯლის ტარს, — ზედ აწერია: „ნუ იჩქარი წყენას. იჩქარე — შურისგებისას“. იქვე წევს ხელშეხვეული დაჭრილი. ეს ხომ ამალათ-ბეგია! სულ მალე იგი რაშზე ამხედრებული თავზე ფაფახითა და მხრებზე მოგდებული ნაბდით — ჩაუქროლებს რუსთა სიმაგრეს... ამის შემდეგ თავად მიხვდებით, რა პოპულარობითაც სარგებლობდა იმდროინდელ რუსეთში „ამალათ-ბეგი“ და, საერთოდ, ბესტუჟევ-მარლინსკის სხვა რომანები... ეს იყო რომანტიზმის ვულკანისეული ამოფრქვევა. აფორიაქდა რუსეთი. პირველად დაინახა, რომ კავკასია სულაც არ გახლავთ ველური ტომებით დასახლებული მხარე, რომ იგი კეთილშობილებისა და ჭეშმარიტი რაინდობის უბოლოო საბადოა. მართალია, აქ მცხოვრებთ ვერ მოსთხოვ ევროპულ განათლებას, მაგრამ მათ გონიერებას, მათ კულტურას, საუკუნეებით გამომუშავებულ ტრადიციებს ნებისმიერი ცივილიზებური ერიც ისესხებდა. გაჩნდა გმირობის, სიყვარულის, კარიერის, დიახ, სწორედ რომ აგრე — კარიერის ასპარეზი. კავკასიაში ნამყოფ ახალგაზრდებს გმირებად რაცხდა რუსეთის დედაქალაქი. აი, სწორედ მაშინ გაჩნდა ის რომანსიც, მე რომ მინდა გიმღეროთ... „ვ გორახ ია ვსტრეტილა ჩერკესა...“ მღეროდნენ ქალიშვილები და სულთანიეტას ცეცხლოვანი საყვარელი ეზმანებოდათ. ასე უბრძოლველად დაიპყრეს რუსეთი ამალათ-ბეგმა და

მოლა-ნურიმ. ხოლო ვიდრე ცისფერთვალა გოგონები მთის ბილიკზე მიმავალ ჩერქეზ ჭაბუკზე ოცნებობდნენ, მათი საქმროები კავკასიის მთებში ეძებდნენ სახელს, დიდებას, მომავალს...

— და ეს ყველაფერი ბესტუჟევ-მარლინსკიმ გააკეთა? — იკითხა ტარიელმა.

— მეტწილად, კი. მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებსაც. გადაშალეთ ნებისმიერი მათგანი. კავკასიის ბრძოლების აღწერა... ფანტასტიკური ამბები მთიელებთან ტყვეობაში ყოფნისა, ულამაზესი ჩერქეზი ქალები, და ასე დაუსრულებლად... იმდროინდელი პრესა ომს ამ მხარის ბუნებრივ აუცილებლობად თვლიდა, სადაც, მთებისა და გაუვალი ტყეების ფონზე თურმე სამხედრო ხელოვნების პრაქტიკას გადიოდნენ რუსეთის მეომრები... არავის დაბადებია კითხვა, რის გამოა ეს უსასრულო ომი?

— მართლაც! — თქვა ტარიელმა. — როცა უნივერსიტეტში ვსწავლობდი, შესაძლებლობა მქონდა გადამეხედა მეცხრამეტე საუკუნის სამართლებრივი ურთიერთობებისათვის. ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდი იმ სიტუაციასაც, იმდროინდელ კავკასიაში რომ სუფევდა. არის ასეთი რომანი „შავი წელიწადი“. მისი ავტორი ვასილ ნარეჟნი გახლავთ. სხვათა შორის, იგი გენერალ ციციშვილის დროს ჩამოვიდა კავკასიაში. „შავი წელიწადი“ დოკუმენტური პროზის ნიმუშია. მასში აირეკლა მთელი ის ვითარება, რომელიც მეფის მოხელეთა თავგასულობით გამეფებულიყო კავკასიაში. მან ნაწილობრივ გასცა პასუხი, თუ

რატომ გრძელდებოდა ეს ომი და საიდან იღებდა ძალას უკვე „დაპყრობილი“ მთის ხალხი. ამ რომანის მთავარი გმირი თავადი კაიტუკი გახლავთ. არ ვიცი, ვინ არის მისი პროტოტიპი, მაგრამ კაიტუკის თავგადასავალი და მეფის მოხელეთა საქმიანობა იმდენად მძაფრი, იმდენად დამაფიქრებელი აღმოჩნდა, რომ ნარეჟნის სიცოცხლეში არ ეღირსა ამ რომანის გამოქვეყნება. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, მგონი, პასკევიჩის დროს გაეცნო ფართო მკითხველი „შავ წელიწადს“.

— იცით, რას გეტყვით, — სათვალეები მოიხსნა კლავდიას მეუღლემ და უპეები მოისრისა. — ეგ რომანი მეცა მაქვს წაკითხული. კი, ნაღდად ასეა. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც უსამართლობისა და უუფლებობის ამსახველი კრიტიკული ნაწარმოები. მაგრამ თქვენ, ალბათ, არ დაუკვირდით მის ჭკუისსასწავლებელ ტირადას: **კანონიერმა ხელისუფლებამ ისე უნდა მოთოკოს ყოველგვარი წინააღმდეგობა, როგორც ჩვენ ველურ ცხენს მოვთოკავთ ხოლმე!** დიახ, ეს დიდად პატივცემული ავტორის შეგონება გახლავთ. ამიტომაც (მართალია, დაგვიანებით), გამოქვეყნდა „შავი წელიწადი“. ახლა კიდევ ისიცაა გასარკვევი, რომელი ნიმუშით ხელმძღვანელობდა ნარეჟნი. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსათვის მოდაში გახლდათ ისეთი სატირულ-ზნეობრივი რომანები, რომელთაც აღმოსავლური საფანელი ჰქონდათ. მთელი ევროპა სავსე იყო ამგვარი ლიტერატურით. მაგალითად, ფრანგებს ჰყავდათ იმ დროისათვის ძალზე პოპულარული მწერალი კლოდ დ'

აკურა. მისი რომანის „Memoires turcs“-ის მთელი მეორე ნაწილი აგებულია ყუბანის სანაპიროთა მბრძანებელ კაკუკანის ცხოვრებაზე. კაკუკანი თავის ხალხს კერპის პირით ელაპარაკება მხოლოდ. „შავ წელიწადშიც“ არის ამგვარი წარმართული ღმერთი—კუკამი... თანაც თუ ფაბულებსაც გადავხედავთ... მაგრამ ასეა თუ ისე, ნარეჟნის რომანი მაინც შეიცავს რეალისტურ საფუძველს. თავის დროზე მას მეტად საპატიო ადგილსაც კი უწინასწარმეტყველებდნენ რუსული ლიტერატურის ისტორიაში...

— თუ გახსოვთ, როდის გამოქვეყნდა ტოლსტოის „კაზაკები? — იკითხა ტარიელმა.

— 1863 წელს, თუ მეხსიერება არ მღალატობს „რუსკი ვესტნიკში“.

— ჰოდა, ჩემო საყვარელო მეგობრებო, როგორ ფიქრობთ, მთელ ამ რომანტიკულ ფეიერვერკს არ დაუსვა წერტილი დიდმა მწერალმა? — მოჭუტული თვალებით შეგვათვალიერა ტარიელმა და თითები გაატკაცუნა. — ლევ ნიკოლოზის ძემ იცის თავისი საქმე! რა დახვდა მის ოლენინს ბესტუჟევ-მარლინსკის პოეტური ხილვებისაგან? ამალათ-ბეგები? ჩერქეზი ლამაზმანები? მთები, უფსკრულები, მოგუგუნე ჩანჩქერები და ხიფათები? ოლენინმა კავკასიაში იხილა ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი ადამიანები და პირველყოფილი, შეურყვნელი ბუნება. ცხადია, ესეც პოეზია გახლდათ, მაგრამ უფრო სხვა, უფრო რეალური. რეალობის პოეტური აღქმა ტოლსტოისათვის მხატვრობის უმაღლესი ამოცანაა: „კაზაკები“, დამეთანხმე-

ბით, ერთ-ერთი საუკეთესო პოეტური ქმნილებაა მის ნაწარმოებებს შორის. ნაწარმოებზე მუშაობისას იგი ბესტსელერებად ქცეულ რომანებისაკენ კი არ იხედებოდა, არამედ მას ჰყავდა ისეთი წინამორბედნი, როგორიც პუშკინი და ლერმონტოვია. გაიხსენეთ, რას ამბობდა იგი კავკასიაზე 1854 წელს, და თქვენ მიხვდებით, რომ ეს სიყვარულის ახსნა სავსებით ემთხვევა ლერმონტოვისეულ „ისმაილ-ბეის“ შესავალს: „საოცარია ეს ველური მხარე, სადაც ასე უცნაურად და პოეტურად შეუერთდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მცნება: ომი და თავისუფლება.“ თვალი მიადევნეთ ოლენინს. იგი კონფლიქტში იმყოფება იმ სამყაროსთან, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს რომ აღმოჩნდა. დაუოკებელი და მოუსვენარი მისი სული ილტვის საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებულ ტრადიციათა დასარღვევად, მაგრამ ეს არც ისე იოლია. მას ძლიერი და ბრძენი მოწინააღმდეგე ჰყავს. და აი, ამ ორთაბრძოლის დროს ორივე ხვდება, რომ ეს შორით დგომა დროებითია, რომ ოდესღაც უსათუოდ უნდა დადგეს მათი დამეგობრების ჟამიც... ასე არაა, ძმებო? — თვალთა კაკლებში ისევ ეშმაკეული ნაპერწკლები უციმციმებს ტარიელს.

ჩვენი მანქანა კარგახანია დაბლობში მიჰქრის.

მე გამახსენდა ანდრია ნიკოლოზის ძე მურავიოვი, მეცხრამეტე საუკუნის კიდევ ერთი შესანიშნავი მწერალი. იგი მეგობრობდა პუშკინს, ლერმონტოვს, გრიბოედოვს, ვიაზემსკის... მრავალ

თხზულებასთან ერთად მან დაგვიტოვა მემუარებიც. აგერ ერთი ნაწყვეტი:

— 1843 წელს კიევში შევხვდი ადამიანს, რომელსაც მძიმე ტვირთად აწვა ლერმონტოვის სიკვდილი. ამ ორთაბრძოლაზე მას არ შეეძლო აუღელვებლად ლაპარაკი. ყოველ წელიწადს, ლერმონტოვის მოკვლის საბედისწერო დღეს, იგი იხდიდა პანაშვიდს. მოხდა ისე, რომ ამ დღეს ვიღაცამ გამოუგზავნა ლერმონტოვის პორტრეტი... ამან სულით ხორცამდე შეძრა იგი. კავკასიაში ყოფნისას, წმინდა დავითის მთაზე მუხლი მოვიყარე გრიბოედოვის განმარტოებული საფლავის წინაშე, მაგრამ ვერ შევძელი მენახა ლერმონტოვის საფლავი წყლებზე (პოეტის ნეშტი უკვე გადატანილი იყო მის მშობლიურ ტარხანიში). / სუფევა უდიდეს პოეტთა სულს! პირველს ჩემი ცხოვრების განთიადზე შევხვდი, მეორეს კი ჩემი ცხოვრების პაპანაქებიან შუადღეს. მაგრამ მათი ხსოვნა აქამდე ცოცხლობს ჩემს გულში, ორივე კავკასიის მდუმარე სიდიადით იყო მოხიბლული. ამ სიდიადეს თავისი ცეცხლოვანი დაღი დაასვა პუშკინმა. პუშკინმა, ლერმონტოვმა, მარლინსკიმ კავკასია კიდევ უფრო დააახლოვეს რუსეთს.

— შეხეთ, — წამოიძახა მოულოდნელად კლავდიამ. — არწივი!

მაღლა, მთებისა და თეთრი ღრუბლების ფონზე ჩვენ დავინახეთ უზარმაზარი ფრინველი. იგი ჩვენს ზემოთ რიალებდა ჰაერის ჭავლებით ატაცებული და მისი ირაო იმ იდუმალ რიტუალს გავდა, რომელსაც, ალბათ, ვერასოდეს ამოიკი-

თხავს მოკვდავი. ქროდა ნიავი. გალობდნენ ჩიტები. შხუოდნენ ნაკადულები. აბიბინებულ მდელოზე პატარა ბალღები დასდევდნენ მოკუნტრუშა ბატკნებს. მიწის მაშვრალნი მათთვის მონიჭებული გულმოდგინებით შესდგომოდნენ საქმეს — ეზოებიღები წესრიგში მოჰყავდათ, იხვნებოდა მინდორი, იყო შრომის ზეიმი და სუფევა!

ჩვენი მანქანა გეორგიევსკს უახლოვდებოდა.

აგერ გეორგიევსკიც!

კავკასიონის მთისწინეთის ტრამალის მშვენება! — სიამაყით ამბობს კლავდიას მეუღლე.

პანორამა: შორეული ველ-მინდვრები, მოლურჯო-მონაცრისფრო კვამლში გახვეული იალბუზი, დაგრეხილი, დაკბილული კავკასიონი...

ჩვენ უკვე ბევრი რამ ვიცით ამ ქალაქზე.

მართლაც, რა იღბლიანად აეწყო ჩვენი მოგზაურობა?!

— თქვენ, იცით, რომ იქ გადიოდა საფოსტო გზა, კავკასიისა და რუსეთის ცენტრის დამაკავშირებელი, — გვიყვებიან ჩვენი მეგობრები, — მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატამდე აქ მხოლოდ პაწია დასახლებას შეხვდებოდით. მხოლოდ 1786 წელს მოიხსენიეს იგი სამაზრო ქალაქად. შემდეგ კი — საგუბერნიო ქალაქად...

— აბა, ფეხბედნიერი ყოფილა რუსეთისა და საქართველოს დიპლომატთა შეხვედრა თქვენს მიწაზე! — ასკვნის ტარიელი.

— ეგრეა! — იღიმება კლავდია და უცებ ბრძანების კილოთი მოგვმართავს, — აწი ჩვენს ტყეე-

ობაში იმყოფებით! თავად დარწმუნდებით, რა ხალხიცა ვართ გეორგიევსკელები!

— ნუ წინამძღვარობ, კლავა! — აფრთხილებს მეუღლე.

გზას კლავდია გვასწავლის. მოედანზე, საბჭოების სასახლის წინ ლენინის ძეგლია. აქვეა აღმართული (რამაც ძალზე გაგვახარა) მეგობრობის ტრაქტატის ორასი წლის აღსანიშნავი მემორიალი. სამკუთხა სვეტებზე ეტრატია გაშლილი. ზედ ამოკვეთილია: „მეგობრობის ტრაქტატი — 200“. იქვეა სხვა ფარიც: „რუსეთი და საქართველო — მარად ერთად!“

— მარჯვნივ, წარწერას ხედავთ? — გვეუბნება კლავდია, — „სალამი ქართველ სტუმრებს!“ — კითხულობს ხმამაღლა. — მე, მგონი, ეს თქვენ გეხებათ!

მზე დაგვხვდა გეორგიევსკში და მზე ხმიანებდა ჩვენს სულში. არ გვეგონა, რომ ეს ლამაზი ქალაქი ასე სათუთად ინახავდა წარსულს...

ირგვლივ სკვერები, პარკები — ყველაფერი გაზაფხულის ფერებით სუნთქავს. უმალ გვენიშნა — აქაურები დიდ პატივს სცემენ კაკლის, ატმის, ალუბლის, ქლიავისა და ვაშლის ხეებს. მთელი ქალაქი ამ ხეებითაა მოკავებული.

აგერ ჩრდილოეთ კავკასიის მთავარმართებლის ყოფილი რეზიდენცია. აი, ამ ძველთაძველი სახლიდან გაემართნენ გეორგიევსკის ციხესიმაგრისაკენ საქართველოს წარმომადგენლები.

მომავლის სახელით!

დიადი ძმობის სახელით!...

აი, მისია, რომელიც გარსევან ჭავჭავაძესა ღა იოანე მუხრანბატონს ანდო ისტორიამ.

ჩვენი გეორგიევსკელი მეგობრების დახმარებით მივაგენით იშვიათ წიგნს, სანკტპეტერბურგში გამოცემული „გეორგიევსკაია სტოროონას“. წიგ წერია: ძნელია კავკასიაში იპოვო გეორგიევსკის მსგავსი მოსაწყენი და უღიმღამო ქალაქი. უხეირო იერი. ისლითა და ლერწმით გაწყობილი შენობები. უკაცრიელი და ტალახით აზიმზიმებული ქუჩები. მოწყენილობა და სევდა. აი, ასეთია ამ ქალაქის ცხოვრების წესი. ნუთუ ასეთ ჯურღმულში შესაძლოა სიცოცხლე?!

...რა არის ისტორიისათვის ორი საუკუნე! თვალის დახამხამება — ერთი ამოსუნთქვა. დღეს გეორგიევსკი ძლიერი ქალაქია: — მაღალი სახლებით. კრიალა მოედნებით, კინოთეატრებით, სკოლებით, მრეწველობით, მუზეუმებით... ოდესღაც ხუთასკაციან „უეზდის გოროდში“ დღეს სამოცდახუთი ათასი მცხოვრებია:

გავიცანით: ინასარიძეები; ჩოფიკაშვილები; ბერაძეები; ჯმუხაძეები; რეხვიაშვილები; ვაჭარაძეები; ბერიშვილები; ლობჟანიძეები...

— ისინი აქ ცხოვრობენ — რუსების, ჩეჩნების, ოსების, სომხების და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა გვერდით.

არმატურის ქარხანა.

ვრცელი დარბაზი.

კედლიდან შემოგვცქერის ერეკლე მეფე.

უკვე დადებულია საუკუნო მეგობრობის პირობა.

აქვეა „პირობის“ ქართული ტექსტიც.

ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად სანკ-პეტერბურგში რუსეთის იმპერატრიცას რესკრიპ-ტით მოკრიან ბრინჯაოს მედალს. ერთ მხარეს გამოსახულია ეკატერინე მეორე. წარწერა: Вере! მეორე მხარეს საქართველოს მეფე — ერეკლე მეორე. წარწერა: Верности!

ამ უიშვიათესი მედლის ფოტოპირმა მრავალი რამ გაგვახსენა.

ნაცნობი სახეები: პეტრე ბაგრატიონი, ალექსანდრე რაევსკი, დენის დავიდოვი...

რა ხდება აქ, ამ ხალვათ დარბაზში?

მეგობრობის მუზეუმში ვიმყოფებით?

ჩვენს გეორგიევსკელ მასპინძლებს კიდევ მრავალი სიურპრიზი აქვთ მომზადებული.

ნიკოლოზ ლარინსკი.

ამ მხცოვანი მხატვრის სახლში ჩვენ ვხვდებით... საქართველოს! აქ გამოფენილ ტილოებში სუნთქავენ ქართული სოფლები, მთები, მდინარეები, ჭალები, სვეტიცხოველი და ჯვარი. ბიჭვინთა და არაგვის ხეობა... ხოლო ექსპოზიციის ყველაზე თვალშისაცემ ადგილას მოთავსებულია „დიდი მეგობრობის ტრაქტატის დადების წინ“..

ტრადიციული სტუმარ-მასპინძლობა: ჩაი—ვერანდაზე... საუბრის თემა: საქართველო!

გონების თვალით გავხედე ჩვენს მიერ განვლილ გზას. გზას — თბილისიდან—გეორგიევსკამდე... ეს იყო ისტორიასთან, წარსულთან შეხვედრა. ეს ისტორია ღრუბელივითაა, — რამდენ ტკი-

ვილს, ოცნებას, ბრძოლას, ვნებას და ცხოვრებას მოიცავს!

„დრევნაია როსიისკაია ვივლიოფიკიდან“ მოყოლებული მაიაკოვსკამდე რუსი ხალხი ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ ღრუბელს.

ისევ ძველ. გამოცემებში ვიქექებით. 1762 წლის „ვედომოსტი“ პერიოდულად აქვეყნებს ცნობებს საქართველოზე. აქვეა (დაწვრილებით) ქართველ მეფეთა და რუსეთის ხელისუფალთა შეხვედრათა ანგარიშები, თეიმურაზ მეორეს ჩასვლა მოსკოვს, ელჩების ურთიერთობა, სამეცნიერო ექსპედიციები, პროფესორ გულდენშტედტის ფუნდამენტური გამოკვლევები, გერრგიევსკი ტრაქტატის შემდეგ საქართველოში რეზიდენტად მყოფი ბურნაშოვის ჩანაწერები — „საქართველოს სურათი, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოთა პოლიტიკური აღწერილობა“...

ეს იყო ჟამი, როცა რუსეთმა ხელმეორედ აღმოაჩინა საქართველო.

გარბის ფიქრის გორგალი.

ღამდება.

ვერანდის ერთ კუთხეში მოლბერტი დგას, სურათი დაუსრულებელია. მაგრამ მაინც ვამჩნევთ — ცხენზე ამხედრებულა პუშკინი... იგი დაღლილია.

საით მიეშურება იგი? რა ელის მას იქ, კლდეებისა და აბობოქრებული მდინარის იქით?

— ეს ხომ დარიალის ხეობაა! — უხარია კლავდიას. — პუშკინს ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ეს წამია შთაგონება ეწვია...

— „არზრუმის მოგზაურობა“ თუ ჩაიფიქრა. —

კვერს უკრავს ტარიელი. — იცი, — მეუბნება, მერე, — მომავალ კვირას მე ისევ გავიარ ამ მარშრუტს...

გაკვირვებით ვუყურებ.

— ვითომ გამოგვრჩა რამე?

— არა, შვილებს წამოვიყვან. ჩვენმა შვილებმა უსათუოდ უნდა იცოდნენ ეს გზა...

— გზა, რომელზედაც ბობოქრობდნენ საუკუნენი! — ახსენდება კლავდიას ჩვენი გაცნობისას წარმოთქმული სიტყვები... ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ხელით შევეხე წარსულს... — და მოულოდნელად წამოიძახა. — თქვენ იცით, რომ გეორგიევსკის თეატრი ამზადებს ორ დადგმას — „ძმანი გახდნენ სამარადისოდ“ და „იბერიის დედოფალს?“ მოდით, დავთქვათ, შევხვდეთ პრემიერის დღეს...

გ ო ლ ო თ ქ მ ა

...როგორც იქნა, ავედით მთაზე. აქედან ხელისგულივით მოჩანს დაბლობი. რამდენმა თაობამ ჩაიარა აქ, რამდენმა ათასწლეულმა? იქნებ ამ ტიალ ადგილსაც ძგერდა სიცოცხლის ძარღვი? იქნებ ჩვენ რომელიღაც შორეული წინაპრის საფლავზე მოვკალათდით? ან ეს თლილი ქვები ოდესღაც მოქმედი ეკლესიის ნანგრევები გახლავთ? ცხოვრობდა ხალხი. ებრძოდა მიწას. ებრძოდა მომხდურს. ებრძოდა - - ავადმყოფობებს. წამით წარმოვიდგინოთ, რომ ისინი კი არ გარდაცვლილან, არამედ ბუნებაში განქარდნენ, ბუნებას შე-

ერიენენ და სადღაც, ჩვენს ახლო რიალებენ, მაშინ? რას გვამცნობენ ნეტა მათი ლანდები?“ გახედე, ძმობილო, შენს მამათ, რა წარიღეს ამა ქვეყნიდან იმ კეთილ საქმეთა გარდა, თავისი სულისთვის რომ მსახურობდნენ?“ სიბრძნის რომელი კიდობნიდან ამოიხაპა ეს სიტყვები? გააჩერეთ ათასი კაცი და ჰკითხეთ, ვინ იყო მისი პაპისპაპა, რა საქმეს აკეთებდა ქვეყნისათვის. ათასი კაციდან შეიძლება ათმაც ვერ გაგცეთ სწორი პასუხი. მაგრამ ხომ იყვნენ ისინი? ხომ უვლიდნენ ამ მიწას, ხომ წერდნენ სიგელ-გუჯრებს, ხომ შემოგვინახეს რუსთაველი, ხომ გადაგვირჩინეს ენა და ხატი?

ახლა, როცა რუსეთთან საქართველოს თანდგომის ორასი წელი მოახლოვდა, ისევ აფორიაქდა სული. ისევ მომინდა ამ ორი ქვეყნის დამაკავშირებელი გზის ნახვა. დიახ, საქართველოს სამხედრო გზაზე მოგახსენებთ.

ერთი შეხედვით, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერია: დუშეთში შეისვენა პუშკინმა; სტეფანწმინდიდან ლერმონტოვი გასცქეროდა გერგეტის სანახებს, გველთთან გაძარცვეს ცნობილი მოგზაური და სწავლული გიულდენშტედტი, და ასე უსასრულოდ... შეიძლება ეს მოსაწყენიც კი გახდეს. მოგწყინდეს გზაც. მაგრამ სინამდვილეში, თუკი ღრმად ჩაუკვირდები, რაღაცნაირი სიამაყეც გეუფლება.

აი, სიონის ასახვევი. აგერ ბაზალეთისაკენ მიმავალი ბილიკნი... რამდენი ლეგენდა, რამდენი თქმულება გელოდება!

მართლაც, მშვენიერ ადგილთ რა დალევს ჩვენს გარშემო — რა მთები. რა სოფლები, რა მინდვრები... განა ყველა მონაკვეთისაკენ გიწევს გული? მაგრამ როცა ბეთლემს ახსენებ? განა არ გინდა ინახულო მისი მღვიმე? ან — ღამე გასტეხო ანა ურის ბებერ ციხესთან? ეძებ ძველ წიგნებს. ფულდაგულ იწერ იმ სახელებს, შენს გვერ-

დით რომ ჩაიარეს ამ ორი და უფრო მეტი საუკუნის წინათ. ამაოდ არ ბობოქრობდა პუშკინი: ადამიანი ზანტია და ცნობისმოყვარეობის ნატამალი არ გააჩნიაო. რის თქმა უნდოდა ამით? რომ ადამიანი კვდება და მასთან ერთად კვდება მისი სიცოცხლის საიდუმლოც?

ადამიანმა უნდა ისწავლოს წარსულის ხედვა. ეს აუცილებელია ისევ მისი მომავლისათვის, ისევ მისი წვლილის განსაზღვრისათვის.

აქედანვე ვიცი, ჩემი მეგობრის მსგავსად მეც არაერთხელ დავუბრუნდები დარიალს, არაერთხელ გავიხსენებ ღუდის ლეგენდასა და დევდორაკის მყინვარს, ლურჯ ხეობასა და ჭაღარა მწვერვალებს... და, რა თქმა უნდა, იმ ადამიანებს, რომელთა გარეშე არავითარი სილამაზე და ინტერესი არ ექნებოდა ბობოქარი საუკუნეებით დაღდასმულ გზასაც...

ახლა კი მაღალ მთაზე ვდგავართ და იქედან გავცქერით სივრცეს. შორს დიდი ქალაქი მოჩანს. ავტომანქანების უწყვეტი ნაკადი მიემართება დიდი ქალაქისაკენ.

გესმით მისი გუგუნი?

გესმით მისი ძალუმი მაჯისცემა?

ეს საქართველოს გულია.

ახსოვს თავისი წარსული?

ახსოვს.

ძმობამ, ერთგულებამ გადაარჩინა იგი. ამიტომ ვიხედები ჩემი შორეული წინაპრებისაკენ, მუხლს ვიდრეკ სანთლებად აციაგებული სახელების წინაშე და ვამბობ: გმადლობთ ამ ძმობისათვის, გმადლობთ ამ თანდგომისათვის... ხსოვნა გულისა ფერუცვლელი ყოფილა თურმე!

თბილისი — გეორგიევსკი
1982 წ. მაისი-ივნისი

Георгий Александрович Санадирадзе

ДОРОГА, ПО КОТОРОЙ БУШУЮТ ВЕКА

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1983

რედაქტორი ე. მესხი
მხატვარი რ. მაჭარაშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე
კორექტორი ე. ჟვანია, ნ. კირთაძე
გამომშვები ნ. მანაგაძე

ს. ბ. 2938

გადაეცა წარმოებას 10.01.83, ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.04.83. საბეჭდი ქაღალდი №1. 70×90¹/₃₂. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6,14. სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,43. პირობითი საღებავ. გატარება 6,16. უე №07536. ტირაჟი 10.000 შეკვ. №761.

ფასი 35 კაპ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 33.

Кутаисское полиграфическое производственное
объединение, Государственного комитета
по делам издательств, полиграфии и
книжной торговли Грузинской ССР.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.